# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ნოემბერი ორშაბათი 2012 №274 (13 880) ფასი 80 თეთრი

# SLOVENაი, ჩვენი ბედი:

## ჩემპიონი და მასპინძელი




12

პოლონეთის ნაკრები და მარცინ გორტატი ჩვენთვის ნაცნობია

EuroBasket SLOVENIA 2013

ესპანეთი
სლოვენია
ხორვატია
პოლონეთი
საქართველო
ჩეხეთი

სლოვენიაში, პოსტოინას გამოქვაბულში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. უკრაინული კალათბურთის ლეგენდა **ალექსანდრე ვოლკოვმა** მეხუთე კალათიდან ამოიღო ლამაზად გაფორმებული ფურცელი, რომელსაც GEORGIA ეწერა და ჩვენი გუნდი C ჯგუფში მოათავსა, იქ სადაც მანამდე მოხვედრილიყვნენ ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია და პოლონეთი, მეექვსე კალათიდან კი მეტოქედ ჩეხეთი გვერგო.

აქვე გეტყვით, რომ ოთხი ჯგუფის 6-6 ნაკრებიდან მომდევნო ეტაპზე საუკეთესო სამ-სამი გავა. ასე რომ, 2011 წლის შედეგის გასამეორებლად საქართველოს ნაკრებს ჯგუფის ზედა სამეულში მოხვედრა სჭირდება, რაც ურთულესი საქმეა, მაგრამ შესრულებადი.

მეორე ეტაპზე კი, 12 გუნდი ორ ჯგუფად გაიყოფა და მეოთხედფინალის რვა საგზურისთვის იბრძოლებს, რასაც ნახევარფინალი და ფინალი მოჰყვება.

ევროპის ჩემპიონატი სლოვენიაში 4 სექტემბერს დაიწყება და 22-ში დასრულდება. ჩვენი ჯგუფის მატჩები ქალაქ ჩელიეში გაიმართება.

წილისყრისას გამართლება-არგამართლებაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია, რადგან არავინ იცის, 2013 წლის სექტემბერს რომელი გუნდი როგორ კონდიციებსა და შემადგენლობით შეხვდება. რეალობა კი ასეთია: ძალების შესაფასებლად მოქმედ ევროპის ჩემპიონ ესპანეთზე უკეთეს მეტოქეს ვერ ვინატრებდით; მასპინძლებთან შეხვედრა ყოველთვის ემოციური და დაძაბულია, არც სლოვენია-საქართველოს მატჩი უნდა იყოს გამონაკლისი; ჩემპიონატის გახსნით შეხვედრაში გამარჯვებისთვის ბედმა პოლონეთი გვარგუნა, რომელსაც 2010 წელს შესარჩევი ეტაპის პირველივე შეხვედრაში 19 ქულის სხვაობით ვაჯობეთ; ხორვატიის ნაკრებში ახალი თაობა გამოჩნდა და უძლეველი გუნდი რომ არ არის, შესარჩევზე უკრაინასთან მატჩებმაც დაგვარწმუნა; ჩეხეთი კი 2011 წელს მეორე დივიზიონში თამაშობდა, თუმცა ამის მიუხედავად მისი აუტსაიდერად მიჩნევა არ შეიძლება.

მეტოქეებზე და წილისყრასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ხვალ-ზეგ კიდევ გაგაცნობთ, აქ კი ჩვენი ჯგუფის ფავორიტის, ესპანეთის ნაკრების თავკაცის, **სერჯიო სკარიოლოს** კომენტარი გადავიკითხოთ:

*- ვიდრე ჯგუფის თითოეული ბინადრის შემადგენლობას არ გადავხედავ, ძლიერ-სუსტებად დახარისხება გამიჭირდება. თუმცა, ფაქტია, რომ სლოვენიას ხარისხიანი ნაკრები ჰყავს და ზურგს ფანებიც გაუმაგრებენ. ხორვატია ხელახლა დაიბადა და ერთიანი, ახალგაზრდა გუნდია. პოლონეთი საშუალო დონის ნაკრებებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. საქართველოს არაერთი მაღალი დონის კალათბურთელი ჰყავს. ჩეხეთს კი ძლიერი შიდა პირველობა აქვს და მოთამაშეები ევროპულ ტურნირებში არიან გამოცდილნი.*

გაგრძელება მე-12 გვერდზე



2-4

ფოტო: www.fcdinamo.ge

მომდევნო ტურის ინტრიგა

# დინამო დილა





13

# დასანანი არეკნი

საქართველო-იაპონია 22:25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური

# ალვარომ, აქ ვარო და ჩისკოც აქაარო!

## გლადიატორების ტაშ(კენტ)ი ფაზისზე: დინამოს დიდი გამარჯვების დღე ესპანელებმა მიულოცეს

18.10. ფოთი. ფაზისი
500 მაყურებელი

კოლხეთი **0**
დინამო (თბ) **2**

0:1 ალვარო (45+1), 0:2 ჩისკო (73. დვალის პასით)

| კოლხეთი 4-1-4-1 | დინამო 4-4-2 |
|---|---|
| მიქაბერიძე | ლორია |
| კილასონია | სეთურიძე |
| ტყეშელაშვილი | გ. კვარაცხელია |
| ფარულავა | ხიზანეიშვილი |
| გაბუნია | გლიშიჩი |
| გოგონაია | ალვარო |
| კრასოვსკი | ძარია |
| ქებაძე | ხმალაძე |
| კობერიძე | მერებაშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | ჩისკო |
| კვანტალიანი | დვალი |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი დ. უჟრინი |

**კოლხეთი**

43. კრასოვსკი - **ნაზრია**
68. ტყეშელაშვილი - **ცხვიტარია**
76. ქებაძე - **ბუხაიძე**
*სათადარიგოები: ხარშილაძე, პავლიაშვილი, მოსიაშვილი, ცხადაია*

**დინამო**

82. დვალი - **ვოსკოზოინიკოვი**
86. მერებაშვილი - **რობერტინიო**
87. ჩისკო – **ნ. კვეკვესკირი**
*სათადარიგოები: ზარქუა, ტვილდიანი, პარუნაშვილი, გველესიანი*
გაფრთხილება: გოგონაია (66), გლიშიჩი (84), ნაზრია (89)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

მატჩს გუნდები სხავადასხვა განწყობით დაუხვდნენ — მოუგებელი და ზედიზედ 7 მარცხის მქონე „კოლხეთი“ ზედიზედ 9 ტურის მანძილზე წაუგებელ „დინამოსთან“ კლუბში ახალდაბრუნებული **სოსო ფილიას** გამოცდილების ხარჯზე თუ ეცდებოდა ფონს გასვლას, თორემ მიმდინარე ჩემპიონატს კოლხები მეტად წარუმატებლად ატარებენ და მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ურიგო ფეხბურთს თამაშობენ, ამდენი მარცხის შემდეგ გუნდი ფსიქოლოგიურადაც მოშლილია. სწორედ კოლხთა თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე ცუდად ასპარეზობა აძლევდა მნიშვნელოვან უპირატესობას ქართული ფეხბურთის ფლაგმანს, თუმცალა **სოსო ფილიას** გუნდს „ფაზისზე“ არაერთი ლიდერი გაუმწარებია და მატჩს თითქმის ერთადერთ ინტრიგას ესლა უტოვებდა.



ჩისკომ ანგარიში ორამდე გაზარდა

ფოტო: fcdinamo.ge

თითქოს მასპინძლებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეს, მაგრამ უწინდებურად დაცვაში დაშვებული მიუტევებელი შეცდომები „კოლხეთს“ აგერ უკვე ათ ტურზე მეტია, ძვირად უჯდება. ვერ ვიტყვით, რომ „დინამომ“ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, თუმცა უფრო მაღალი კლასი და გამოცდილება სამი ქულის მოსაპოვებლად საკმარისი გამოდგა.

თუმცა თბილისელებს იოლად მაინც არ მოუგიათ და შეხვედრის მანძილზე იყო ორი გადამწყვეტი მომენტი, როცა კოლხებს მატჩის ბედის სათავისოდ შემოტრიალება შეეძლოთ.

ეს პირველად 68-ე წუთზე მოხდა, როცა ცენტრალურ დაცვას **ლაშა ქებაძე** უმეთვალყურეოდ დარჩა, ფოთელთა კაპიტანს უთუოდ მართებდა **გიორგი ლორიას** კარის დალაშქვრა, მაგრამ თავური ისეთი გამოუვიდა, დინამოელთა მეკარემ იოლად მონადირა და თავისიანებს ერთბურთიანი უპირატესობა შეუნარჩუნა.

მეორედ კი უკვე 81-ე წუთზე, **შალვა კვანტალიანს** მიეცა შანსი, მატჩისთვის ინტრიგა დაებრუნებინა - მოედნის ცენტრალურ რკალში მას ბურთი სავარაუდოდ სტუმარი მობურთალისგან მიუვიდა, რადგან აშკარად მცველებზე წინ იდგა და ლაინსმენს თამაშგარე არ დაუფიქსირებია, მაგრამ კოლხთა ფორვარდმა „დინამოელებთან“ დისტანცია ვერ შეინარჩუნა და მცველწამოწეულმა ისე უხეიროდ დაუტყა **ლორიას**, მეკარეს რომ არ აელო, საფრთხეს მაინც არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება „დინამოს“, გატანის შანსი არაერხულ მიეცა. მხოლოდ პირველ ტაიმში ჯერ **ჩისკოს** სახიფათო დარტყმული ასცდა კარს, შემდეგ მაღალ ბურთზე გამოსვლისას **არდალიონ მიქაბერიძე** შეცდა, თუმცა მეკარე იქვე **ჯაბა დვალს** გადაეფარა და ფორვარდის დარტყმა ძელს მოხვდა, დამატება კი ფორვარდს უკვე **ჯემალ გაბუნიამ** აღარ დააცალა. რამდენჯერმე მოწოდების სიმაღლეზე კოლხთა კარის დარაჯი აღმოჩნდა, განსაკუთრებით რთული ბურთის მოგერიება მას მაშინ მოუხდა, როცა მცველები თამაშგარეს დაფიქსირებას ითხოვდნენ და **ჯაბა დვალმა** ცოტათი ნაჩქარევად ათიოდ მეტრიდან ძლიერად დაურტყა.

„დინამოს“ ასეთი უპირატესობის მიუხედავად, „კოლხეთი“ გასახდელში შეიძლებოდა გამარჯვებული გასულიყო, როცა **ჯემალ გაბუნიამ** ჯერ საჯარიმოში ჩაჰკიდა, ხოლო გამოვარდნილი ბურთი საჯარიმოს მისადგომებიდან კარისკენ გაგზავნა - **ლორიამ** კარგი რეაქცია გამოავლინა და ბურთი ხელებში გააქვავა.

ამას წამებში თბილისელთა გოლი მოჰყვა — მარცხნიდან არცთუ სახიფათოდ ჩაწოდებული ბურთი ცენტრალურმა მცველებმა რატომღაც ვერ მოიგერიეს, მეკარემ ერთ დინამოელს კი ჩაუშალა გატანის შანსი, მაგრამ მოგერიება არცთუ ხეირიანი გამოუვიდა და იქვე საჯარიმოში დადარაჯებულმა **მიკელ ალვარომ** ანგარიში გახსნა, 1:0.

ამას მეორე ტაიმში **ჩისკომ ჯაბა დვალთან** გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მეორე „ესპანური“ გოლი მოაყოლა, 2:0. მანამდე კი **ჩისკოს** ჩაწოდებულზე **გივი კვარაცხელიას** თავური მოიგერია **მიქაბერიძემ**, უფრო ადრე კი მეკარემ დუბლის შესრულება **ალვაროს** არ დაანება.

**მატჩის შემდეგ:**

**დუშან უჰრინი (დინამო):** „საკმაოდ რთული თამაში გამოვიდა. თავიდანვე სწრაფი გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, თუმცა ბიჭები საკუთარ შანსს მოთმინებით დაელოდნენ, პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიშის გახსნაც მოვახერხეთ და შესვენებაზე უპირატესობით გავედით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საბოლოოდ დასახულ მიზანს მივაღწიეთ და მორიგი სამი ქულა მოვიპოვეთ.“

**სოსო ფილია (კოლხეთი):** „დღევანდელი „დინამო“ ყველანაირად დაბალანსებულია, დღეს კლასითა და საშემსრულებლო ოსტატობით გვაჯობეს. გუნდში ახალდაბრუნებული ვარ, აქცენტს უახლოეს 4 თამაშზე ვაკეთებთ, კონკურენტებთან გვაქვს და წარმატებით ასპარეზობა მნიშვნელოვანია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „დინამოსთან“ წარმატებაზე არ ვფიქრობდით. დღევანდელ მატჩშიც გვქონდა ჩვენი გეგმა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევასრულეთ“.

*P.S. თამაშზე „დინამოს“ ფანებმა ტრანსპარანტი გამოფინეს წარწერით „ტაშკენტი 64“, ამით „გლადიატორებმა“ სსრკ-ის პირველი ჩემპიონობიდან 48 წლისთავი აღნიშნეს — ტაშკენტის „ოქროს მატჩიც“ ხომ 18 ნოემბერს გაიმართა.*

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

# ისევ ფრე

17.10. მცხეთა. მცხეთა პარკი
200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **0**
სიონი **0**

| ვიტ ჯორჯია 4-1-3-2 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| დაუშვილი | ბობღიაშვილი |
| ხურცილავა | ორბელაძე |
| გოგიაშვილი | სვანიძე |
| გეთიაშვილი | მაჭავარიანი |
| ჯავაშვილი | ჩიავილაძე |
| კასრაძე | ჯოჯუა |
| ღიბრაძე | ქუცურუა |
| დავლაშელიძე | ფეიქრიშვილი |
| გურ. გურეშიძე | თარხნიშვილი |
| კორიფაძე | ჭედია |
| გაბრიჭიძე | ჯიქია |
| მწვრთნელი: მ. კოჭლაშვილი | მწვრთნელი: ა. ჯელაძე |

**ვიტ ჯორჯია**

71. გაბრიჭიძე – **ლოგჯანიძე**
*სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, უბილავა, ვასაძე, ჯუღელი, კუხალეიშვილი.*

**სიონი**

88. ქუცურუა - **ჭანკოტაძე**
64. ფეიქრიშვილი – **ვ. ისიანი**
78. ჭედია - **ნემსაძე**
სათადარიგოები: ლობჟანიძე, ხუბუა, ლომაია, ხურციძე.
გაფრთხილება: ხურცილავა (25), ქუცურუა (28), გეთიაშვილი (54), სხვანიძე (57), მაჭავარიანი (80)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

გუნდების პირველი მატჩი ბოლნისში ფრედ (1:1) დასრულდა. მაშინ **არმაზ ჯელაძემ** მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოედანზე "სიონი" პირველად გაიყვანა. მას შემდეგ ბოლნისური კლუბმა მდგომარეობა გამოასწორა, ბოლო ტურებში უშუალო კონკურენტები, ფოთის "კოლხეთი" და ბათუმის "დინამო" გასვლაზე დაამარცხა. გუნდი ახლაც ბევრად უფრო მოტივირებული და აზრიანი იყო.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ანგარიში მატჩის მსვლელობას ვერ ასახავს. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, მაგრამ საინტერესოდ, საკმაოდ მაღალ ტემპში წარიმართა და მეტოქეებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შემქნეს.

"სიონის" თამაში **გიორგი ქუცურუას** მიჰყავდა, შეტევების გამწვავებას ფლანგებზე **გიორგი ჭედია** და **გიორგი ფეიქრიშვილი** სისწრაფის ხარჯზე ცდილობდნენ.

"ვიტ ჯორჯიას" წინა ტურში "ჩიხურასთან" დაშავებული თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე** აკლდა. ვეტერინარების ახალგაზრდული გუნდი, ისევე როგორც მთელი ამ ჩემპიონატის განმავლობაში, ამჯერადაც მეტოქის წინააღმდეგობის ჩახშობას ენერგიულად ცდილობდა. ურიგოდ არ გამოიყურებოდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, 20 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ირაკლი ღიბრაძე** - შეტევებს უნარიანად წარმართავდა და არც ტექნიკაში მოიკოჭლებდა.

პირველი სახიფათო მომენტი 26-ე წუთზე შეიქმნა: ქუცურუას შესრულებული ჯარიმის შემდეგ, მასპინძლები ძელმა იხსნა. ორიოდე წუთში იგივე გაიმეორა, ოღონდ, "სიონის" კართან: დაარტყა ღიბრაძემ, დამატებაზე კი **ლაშა კასრაძეს** სიზუსტემ უმტყუნა.

კასრაძეს თავის გამოჩენა ტაიმის მიწურულსაც შეეძლო: საჯარიმოში უმეთვალყურეოდ ნახევარმცველს **გიორგი კორიფაძემ** უპასა, მაგრამ მცველი ბურთს დროულად გადაეფარა და მომენტი განმუხტა.

ვეტერინარებს რამდენიმე ეპიზოდში პრეტენზია გაუჩნდათ ლაინსმენის, **ზვიად ერქვანიას** მისამართით და ჩათვალეს, რომ თამაშგარეების (მათი აზრით) არასწორი დაფიქსირების გამო მწვავე შეტევა ჩაეშალათ.

მეორე ტაიმიც ორმხრივ შეტევებში წარიმართა. მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ, მაგრამ სტუმრებიც მწავედ უტევდნენ: 49-ე წუთზე კარგი მომენტით ვერ ისარგებლა ქუცურუამ - მან მეკარე **ნიკა დაუშვილს** ვერ აჯობა.

55-ე წუთზე 40-მეტრიანი რეიდი საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა **დავით ხურცილავამ**, ეგაა, თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მწვავე შეტევა უშედეგოდ დასრულდა.

მალე ღიბრაძის ჩაწოდების ეფექტური დარტყმით დასრულებას 16 მეტრიდან **გურამ გურეშიძე** ცდილობდა და ბურთი კარს ააცილა. მერე თავად ღიბრაძე საჯარიმოში მშვენიერ პოზიციაზე დარჩა, თუმცა ძალიან ცუდად დაარტყა.

ანგარიშის გახსნის ყველაზე რეალური მომენტი **ვილი ისიანს** მიეცა: მცველის მოგერიებული ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიუგორდა და დაუხანებლად კარში გაგზავნა – მართალია, ბადე მხოლოდ გარედან შეარხია, მაგრამ ვეტერინარები ძალიან აანერვიულა. ამ დროს შეხვედრის დასრულებამდე სულ რაღაც 9 წუთი რჩებოდა.

საკმაოდ დახუნძლული მომენტების მიუხედავად, შეხვედრა 0:0 დასრულდა, რაც სტუმრებისთვის უფრო მისაღები შედეგი აღმოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი

პოზიცია

# სიონი: პრემიერლიგას მეტი დაფიქრება სჭირდება

კლუბების შეხვედრაზე სახეცვლილი პროფესიული ფეხბურთის ლიგის (პრემიერლიგა) აღდგენა გადაწყდა. შეხვედრას მედია არ დაასწრეს და ვიცოდით, რომ კლუბებმა ინიციატივა მოიწონეს, მერე კი თანადგომისთვის მიმართეს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას – ისინი ქართულ ფეხბურთში ჩადებული თანხის (სავარაუდოდ ფედერაციისთვის განკუთვნილი ყოველწლიური 7 მილიონი ლარის, ან მისი ნაწილის) ეროვნულ ჩემპიონატისკენ გადამისამართებას ითხოვენ.

მიუხედავად შეთანხმებისა, ყველა კლუბს ერთგვაროვანი რეაქცია არ აქვს – ზოგი წამოწყებას ოპტიმისტურად უყურებს, ზოგიც - პესიმისტურად.

საინტერესოა ბოლნისის "სიონის" პოზიცია, რომელსაც დღემდე ქვემო ქართლის გუბერნატორი, დავით კირკიტაძე პატრონობდა. "ლელო" ბოლნისელთა გენერალურ დირექტორს, **ნუგზარ ლომთაძეს** ელაპარაკა:

*"პრემიერლიგის ჩამოყალიბება ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება და ამიტომაც გვსურს, ყველა დეტალი მის დაფუძნებამდე მოგვარდეს და არა შემდეგ. არის ბევრი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. შეკრებაში არ მონაწილეობდნენ "დილას", "ჩიხურასა" და ფედერაციის წარმომადგენელი, არადა, ამ უკანასკნელთან საკითხების შეთანხმება აუცილებელია. "ტორპედოსაც" რაღაცები აქვს გასარკვევი.*

*დღეისათვის არსებული მდგომარეობა არ მაკმაყოფილებს და კონკრეტული კითხვებიც მაქვს - რა სახსრებით იარსებებს ორგანიზაცია, საიდან დაფინანსდებიან მსაჯები, ვინ ჩაატარებს პირველ ლიგას, დუბლშემადგენლობების ტურნირს და ჭაბუკთა ლიგას, არის თუ არა საამისო სახსრები, გუნდებს გაეზრდებათ საწევრო შენატანი თუ შემოსავალი... არის სახელმწიფოს დაფინანსების იმედი, მაგრამ რას, როგორ და როდის მოგვცემს, ამაზე ჯერ კიდევ უნდა ვიმუშაოთ.*

*ეს პროცესი ზაფხულშიც ნაჩქარევად მიმდინარეობდა, ივლისში გაჟღერებული პროექტის 2-3 კვირაში განხორციელება გადაწყდა. ახლა არსად გვეჩქარება. მთავარია, საკონსულტაციო საბჭო შეიქმნას, რომელიც აბსოლუტურად ყველა საკითხს მოამზადებს, პრემიერლიგამ გამართულად რომ იმუშაოს. დრო არის და რატომ ვიჩქაროთ? ახალ სეზონამდე დარჩენილ 8 თვეში აბსოლუტურად ყველა საკითხის მოგვარება არის შესაძლებელი. ამიტომ, ჩვენი აზრით, ჩემპიონატი ფედერაციამ უნდა ჩაამთავროს, პრემიერლიგამ კი ახალი სეზონიდან მიხედოს"* – ამბობს ლომთაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური



ფოტო: fctorpedo.ge

# ტორპედოს რთული გამარჯვება

18.10. ქუთაისი. ტორპედო
1500 მაყურებელი

ტორპედო 1
მეტალურგი 0

1:0 კუხიანიძე (39. პენ.)

| ტორპედო 4-4-2 | მეტალურგი 4-4-2 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბათიაშვილი |
| რიგვავა | ჯაფარიძე |
| ჭელიძე | სუხიაშვილი |
| გურული | გავაშელიშვილი |
| შერგელაშვილი | ინწკირველი |
| დოლიძე | ხაბელაშვილი |
| გიგაური | მაისურაძე |
| კუხიანიძე | რაზმაძე |
| ე. გრიგალაშვილი | გენაძე |
| ბერიაშვილი | ტატანაშვილი |
| საბანაძე | სიხარულიძე |
| მწვრთნელი: გ.გეგუჩაძე | მწვრთნელი: გ. ყიფიანი |

**ტორპედო**

76. გრიგალაშვილი - **ფირცხალავა**
90. დოლიძე - **ვ. ბოლქვაძე**
90. საბანაძე - **ფანცულაია**

სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, იოსელიანი, ვ.კვარაცხელია

**მეტალურგი**

55. ხაბელაშვილი - **თექთურმანიძე**
79. ტატანაშვილი - **ხიდეშელი**
82. გენაძე - **მიქაბერიძე**

სათადარიგოები: პოსმანი, კაკუშაძე, გურეშიძე, ქავთარაძე

გაფრთხილება: დოლიძე (43), გიგაური (85), სუხიაშვილი (90)

არბიტრი: ჯ.ხორავა

„მეტალურგთან" მატჩამდე „ტორპედოს" სამმატჩიანი მოუგებელი სერია დაუგროვდა, რაც ქუთაისური გუნდის პოზიციებს სატურნირო ცხრილშიც დაეტყო. **გია გეგუჩაძის** შეგირდებს საკუთარი გულშემატკივარის წინაშე რეაბილიტაცია და მდგომარეობის გამოსწორება მართებდათ. შეხვედრა სტუმრებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. რუსთაველები საუკეთესო ექვსეულს ძალიან დასცილდნენ და ქულების დაკარგვა მათთვისაც მტკივნეული იქნებოდა. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ტორპედომ" „მეტალურგი" გასვლაზე 4:0 გაანადგურა და სხვა რომ არაფერი, რუსთაველებისთვის ქუთაისში რევანშისთვის მაინც უნდა ებრძოლათ. გულშემატკივრები ღია და შემტევი ფეხბურთის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ საწყისი 25 წუთი ისე მიილია, რომ დასამახსოვრებელი მოედანზე არაფერი მომხდარა. ფეხბურთელები საკმაოდ დუნედ მოქმედებდნენ და შესაბამისად შეხვედრა დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. ტრიბუნები **ელგუჯა გრიგალაშვილის** დარტყმამ გამოაფხიზლა, თუმცა ამ ეპიზოდში **ზურაბ ბათიაშვილი** ბურთს საკმაოდ იოლად დაეუფლა. ტაიმის ბოლო ათ წუთში მოვლენები გაცილებით საინტერესოდ და დინამიკურად განვითარდა. პირველად რუსთაველებს მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი, **რევაზ გენაძის** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ქუთაისელმა მცველებმა კარის წინ **ივანე ხაბელაშვილი** დატოვეს უყურადღებოდ, თუმცა სტუმართა ნახევარმცველს ხეირიანი თავური არ გამოუვიდა და „ტორპედო" აშკარა გოლს გადაურჩა. მასპინძელთა საპასუხო შეტევისას **ალექსანდრე ინწკირველმა** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და რუსთაველთა მხრიდან გაპროტესტების მიუხედავად **ჯენერ ხორავამ** თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი **გიორგი კუხიანიძემ** ცოტა რისკიანად, თუმცა ეფექტურად შეასრულა და მასპინძლები დააწინაურა. რუსთაველებმა მალევე გენაძის სახიფათო, თუმცა უზუსტო დარტყმით უპასუხეს. სტუმრები უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ, მაგრამ შესვენებამდე მეტი დასამახსოვრებელი აღარაფერი მომხდარა.

რუსთაველთაგან ყველაზე აქტიური გენაძე გახლდათ. იგი მარცხენა ფლანგზე ხშირად ახორციელებდა სახიფათო რეიდებს და საჯარიმოშიც კარგად აწვდიდა, მაგრამ აქტიურობას თანაგუნდელები სათანადოდ ვერ უფასებდნენ. ერთ ეპიზოდში მისი დიაგონალური გადაცემის შემდეგ ტატანაშვილს შეეძლო მეტოქის დამწუხრება, მაგრამ ბურთს მიმართულება ვერ შეუცვალა. მალე ტორპედოელებს გოლის გატანის 100%-იანი შანსი მიეცათ, დოლიძის ფლანგური გადაცემის შემდეგ **ბერიაშვილმა** კარის წინ **მერაბ გიგაურს** დაუგორა, ქუთაისელთა ნახევარმცველს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ შვიდიოდე მეტრიდან ხარიხას „დაუმიზნა", დამატებაზე თავადვე ცდილობდა გატანას, მაგრამ მცველებმა მდგომარეობა განმუხტეს. საერთოდაც, მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა. დასამახსოვრებელი იყო ელგუჯა გრიგალაშვილის სახიფათო დარტყმა, რომელიც მეკარემ ნახტომში მოიგერია. რუსთაველებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი და თანდათან უპირატესობაც მათ ხელში გადავიდა. თანაგუნდელებმა **ტატანაშვილი** კარგ პოზიციაში დატოვეს, მაგრამ სტუმართა ფორვარდმა ბურთის დამუშავებას დიდი დრო მოანდომა და მცველებმა აართვეს. შემდეგ სიხარულიძე ურტყამდა მახვილი კუთხიდან, მაგრამ მეკარე **მიგინეიშვილმა** უშეცდომოდ ითამაშა. აქტიურად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული **გიორგი თექთურმანიძე**, რომლის ფლანგურ ჩაწოდებას **სიხარულიძე** გამოეხმაურა, თუმცა მიგინეიშვილმა აქაც უშეცდომოდ ითამაშა. შემდეგ თავად „ჩიორასაც" მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ქუთაისელთა კიპერმა მისი ძლიერი დარტყმაც მოიგერია. მატჩის მიწურულს რუსთაველები ორ ეპიზოდში ითხოვდნენ პენალტს, მაგრამ ამაოდ... ბოლოს, შეცვლაზე შემოსული **გიორგი ხიდეშელი** ურტყამდა სახიფათოდ, მაგრამ რუსთაველებმა ქულის გადარჩენა ვერ შეძლეს. „ტორპედომ" მეტად საჭირო სამი ქულა აიღო და რადგანაც ამ ტურში „ზუგდიდმა" წააგო, გეგუჩაძის გუნდი მესამე პოზიციას დაუბრუნდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

18.10. გორი. თ. ბურჯანაძე
3000 მაყურებელი

დილა 3
ზუგდიდი 0

1:0 გვალია (54. ლეონარდოს პასით), 2:0 კახელიშვილი (56), 3:0 გ. ონიანი (65)

| დილა 4-2-3-1 | ზუგდიდი 4-5-1 |
|---|---|
| სანდერი | ძაგანია |
| ბეჟვაია | აფაქიძე |
| გ. ონიანი | თოდუა |
| თომაშვილი | გამეზარდაშვილი |
| კვირკველია | რ. ონიანი |
| გვალია | გუგუჩია |
| გოგუა | სიხარულია |
| კახელიშვილი | ტყემალაძე |
| ჟუნიორი | კოშკაძე |
| ლეონარდო | კუბალია |
| მოდებაძე | კუკავა |
| მწვრთნელი გ. დარასელია | მწვრთნელი ე. ქომეთიანი |

**დილა**

59. ჟუნიორი — **არზიანი**
70. მოდებაძე — **ახალკაცი**
75. გოგუა — **სალუქვაძე**

სათადარიგოები: შეყრილაძე, გურული, კლიმიაშვილი, კაშია

**ზუგდიდი**

73. გუგუჩია — **ფარჯიკია**
75. კუკავა — **ეხვაია**

**სათადარიგოები:** მერლანი, ნ. შონია, ფოფხაძე, აქუბარდია, აკობია

გაფრთხილება: **გუგუჩია (26), ბეჟვაია (34), ტყემალაძე (64), რ. ონიანი (77)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

# დარასელიამ მოგებებით წრე შეკრა

გორის „დილას" ხელმძღვანელობა რასაკვირველია ძალიან კმაყოფილი იქნება, რომ თავის დროზე მთავარი მწვრთნელის შერჩევისას **გიორგი დარასელიაზე** გააკეთა აქცენტი. მისი ხელმძღვანელობით „დილამ" უკვე ზედიზედ მეთერთმეტედ მოიგო, გაიტანა 24 გოლი და საპასუხოდ მიიღო ერთადერთი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზუგდიდთან მატჩში დარასელიამ შეკრა ერთი წრე, ანუ შეხვდა უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს და ქულაც კი არავისთან დაუკარგავს! მეტად შთამბეჭდავი შედეგია! სატურნირო ცხრილში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მომდევნო ტურის მატჩი თბილისში „დინამოსთან" უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ორივე გუნდისთვის, მათ შორის ხომ მხოლოდ ორი ქულაა სხვაობა. გორელი გულშემატკივრები ზუგდიდთან მატჩის დასრულებისთანავე „დინამოსთან" თამაშზე გასამგზავრებლად იჭერდნენ თადარიგს. ამჟამად საყვარელი გუნდის საქომაგოდ გორელები სტაბილურად რამდენიმე ათასნი დადიან. ისე კი მაყურებლის სიმრავლე ამ სტადიონზე მთლად მოულოდნელი არაა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სასიკეთო ცვლილებები გულშემატკივრის ხასიათზეც ადეკვატურად აისახა — ადრე მუდამ გაბრაზებული, უკმაყოფილო და მოჩხუბარ გორელ გულშემატკივარს ახლა უკვე სულ მოზეიმე იერი აქვს.

მასპინძელთა ქომაგს დადებითი განწყობა არც ამ მატჩში შეცვლია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში გოლი არ ჩანდა, ვითარება „დილას" გულშემატკივარს უფრო პირდებოდა უკეთესს. თამაშის სადავეები დარასელიას შეგირდებს ეპყრათ ხელთ. „ზუგდიდი" კი მოლოდინისამებრ კონტრშეტევებით იბრძოდა სასურველი შედეგის მისაღწევად. სტუმრები **ქობალიას** და **გაბედავას** მოისაკლისებდნენ, მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობიდან კი **შაშიაშვილი** არ ყოფილა მინდორზე. დაცვაში მის პოზიციაზე **გიგა ბეჟვაია** გახლდათ დაწეული, ხოლო ამ უკანასკნელის ამპლუაში **ლაშა გვალია** მოგვევლინა, რომელიც გარდა იმისა, რომ კარგად გაირჯა, გოლითაც შეიტანა გუნდის წარმატებაში წვლილი.

ზუგდიდელ მცველებს და მეკარეს „დილა" ფლანგებიდან გარღვევით და საჯარიმოს მისადგომებთან მაღალი ჩაწოდებებით უქმნიდა პრობლემებს. შესაბამისად, საჰაერო ბრძოლა სტუმართა კართან არაერთხელ ვნახეთ, პირველი სახიფათო მომენტიც თამაშში **ჟუნიორმა** მე-6 წუთზე სწორედ თავურით შექმნა. ჟუნიორი გამოკვეთილი თავდამსხმელის, **ირაკლი მოდებაძის** უკნიდან მოქმედებდა, პერიოდულად კი თანამემამულე ლეონარდო რამოსს უცვლიდა პოზიციას შეტევის მარცხენა ფრთაზე. „დილას" ორივე ბრაზილიელი ლეგიონერი რიგიანად ირჯებოდა, მაგრამ გაცილებით ნაყოფიერი და ეფექტური ინდივიდუალური მოქმედებებით **ლეონარდოს** გამოვარჩევთ. აქტიური ფლანგური ჩაწოდებებით **კვირკველიაც** ხშირად აწუხებდა მეტოქეს.

32-ე წუთზე ამ გზით **გიორგი კახელიშვილს** მართებდა გატანა, მაგრამ მან, ისევე როგორც ცოტა ხანში ჟუნიორმა, კარგი პოზიციიდან დარტყმები დააგვიანეს. 30-ე წუთზე შორიდან ძლიერი, ოღონდ მცირეოდენ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა **გიორგი ონიანს**. შესვენებამდე „ზუგდიდი" ყველაზე ახლოს გოლთან 36-ე წუთზე **ლუკა გუგუჩიას** მიერ შესრულებული სტანდარტულის დროს იყო, იქამდე კი თანაგუნდელისგან უკან დაბრუნებული ბურთის მოგერიებისას **სკენდერი** კინაღამ შეცდა და ბოლო წამს მასვე რომ არ ევარგა, იქვე ჩასაფრებული **კუკავა** ანგარიშს გახსნიდა.

54-ე წუთზე ლეონარდოს პასით ლაშა გვალიამ საჯარიმოს მისადგომებიდან აულებელი დაურტყა **ლაშა ძაგანიას** - 1:0. ამ ეპიზოდს „დილას" ერთგვარი აფეთქება მოჰყვა. კიდევ ერთი შეტევა განვითარდა სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან რამდენიმე ფაზად, რა დროსაც ლეონარდოს, **გოგუას**, ჟუნიორსა და კახელიშვილს შეეძლოთ მისი დაგვირგვინება, მაგრამ ამაოდ. 56-ე წუთზე ძაგანია მაინც ვერ გადაურჩა მეორე გოლს — კახელიშვილის შორეული დარტყმული ზუსტი გამოდგა — 2:0. კიდევ ორ წუთში გოგუა იყო ახლოს მიზანთან. ამ დროს უკვე აშკარა გახდა, რომ ზუგდიდელები მატჩს ვერ შემოატრიალებდნენ. თამაში უფრო გაიხსნა და სახიფათო მომენტებმა იმატა, ცხადია პირველ ყოვლისა სტუმართა კართან იყო საგოლე ეპიზოდების სიმრავლე, ცალკეულ შემთხვევებში **ელგუჯა ქომეთიანის** შეგირდებმაც გამოილეს ხელი, თუმცა გოლამდე საქმე ისევ გორელებმა მიიყვანეს. 65-ე წუთზე გოგიტა გოგუას მიერ შესრულებული სტანდარტული ძაგანიამ მოიგერია, ბურთთან პირველი ონიანი გაჩნდა და ახლოდან იოლად შეაგდო - 3:0. თვალსასეირო თამაში მატჩის საფინალო სასტვენამდე გაგრძელდა, ოღონდ გოლი მეტჯერ აღარ გასულა.

**მატჩის შემდეგ:**

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): „გორში შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვედით. ქობალია და გაბედავა არ არიან ის ფეხბურთელები, რომელთა შეცვლა ჩვენთვის იოლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაშისგან მაინც მეტს ველოდი. სამწუხაროდ დავმარცხდით, თუმცა ეს არ არის ტრაგედია. მომავალში შევეცდებით, უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. რაც შეეხება კლუბში არსებულ ფინანსურ ვითარებას, მდგომარება გამოსწორებულია. ხელფასის გაცემას უახლოეს ხანებში შეგვპირდნენ და როგორც გვითხრეს, საგაისო ბიუჯეტსაც არ შეექმნება პრობლემა".

**გიორგი დარასელია (დილა):** „დღევანდელ მატჩში ჩემმა გუნდმა შეასრულა მაქსიმუმი იქიდან, რაც დავავალე. ზუგდიდს ჩვენს მერე ყველაზე ნაკლები გოლი ჰქონდა გაშვებული, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. მაგრამ ჩვენ სამჯერ გავუტანეთ. საგოლე მომენტი იმდენი იყო, რომ რამდენიმე შეხვედრას ეყოფოდა, ოღონდ ცხადია, ყველას რეალიზაცია ვერ მოხერხდა. ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმშივე გვმართებდა, თუმცა ცოტა დავაგვიანეთ, შესვენების შემდეგ კი უფრო ზუსტად გაირჯნენ ჩვენი ფეხბურთელები და შედეგმაც არ დააყოვნა"

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან


გიორგი დარასელია

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 15 | 11 | 3 | 1 | 43 | 13 | 36 |
| 2 | დილა | 15 | 11 | 1 | 3 | 27 | 8 | 34 |
| 3 | ტორპედო | 15 | 9 | 2 | 4 | 30 | 13 | 29 |
| 4 | ჩიხურა | 15 | 9 | 2 | 4 | 22 | 14 | 29 |
| 5 | ზუგდიდი | 15 | 7 | 5 | 3 | 19 | 12 | 26 |
| 6 | ზესტაფონი | 15 | 7 | 4 | 4 | 20 | 12 | 25 |
| 7 | მეტალურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 9 | 19 | 17 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 15 | 4 | 4 | 7 | 10 | 20 | 16 |
| 9 | სიონი | 15 | 3 | 5 | 7 | 11 | 22 | 14 |
| 10 | მერანი | 15 | 4 | 2 | 9 | 7 | 24 | 14 |
| 11 | დინამო (ბთ) | 15 | 2 | 3 | 10 | 16 | 34 | 9 |
| 12 | კოლხეთი | 15 | 0 | 3 | 12 | 5 | 28 | 3 |

ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (დინამო თბ) | 12 |
| ალვარო (დინამო თბ) | 9 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 9 |
| საბანაძე (ტორპედო) | 7 |

**XVI ტური**

**24 ნოემბერი, შაბათი**

დინამო (თბ)-დილა
მერანი-ტორპედო
მეტალურგი-დინამო (ბთ)
ზესტაფონი-კოლხეთი
ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია
სიონი -ჩიხურა

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი -- 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური

# თამაშის ბედი ავტოგოლმა გადაწყვიტა

17.10. ივანწმინდა
500 მაყურებელი

**ჩიხურა 1**

**მერანი 0**

1:0 ქარქუზაშვილი (32, საკუთარ კარში)

| ჩიხურა | მერანი |
|---|---|
| მწყერაშვილი | შეროზია |
| ოდიკაძე | გეგეჭკორი |
| გუშარაშვილი | ქვანია |
| საჯაია | ქარქუზაშვილი |
| ჩიკვაიძე | მელიავა |
| დილმელაშვილი | ბუკია |
| ლომაშვილი | ნოზაძე |
| ნ. კვასხვაძე | ფონიავა |
| კირკიტაძე | კუჭუხიძე |
| დეკანოიძე | ტორონჯაძე |
| შარაშენიძე | ლომია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| სოსო ფრუიძე | მ. ქვანია |

**ჩიხურა**

67. კირკიტაძე – **მაისურაძე**
67. შარაშენიძე – **ბაკურაძე**
90. დილმელაშვილი – **ზაზახიძე**

სათადარიგოები: ბერდელიძე, ჭელიძე, ქიმაძე, მუმლაძე

**მერანი**

67. ლომია – **ამბროლაძე**

სათადარიგოები: ბერია, იობაშვილი, კიკალიშვილი, გელაჭეიშვილი, გაბისონია, მჭედლიშვილი

გაფრთხილება: კვასხვაძე (56), კუჭუხიძე (85)

არბიტრი: ბ. ნინუა

მიუხედავად გამარჯვებისა, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ "ჩიხურამ" "მერანი" ვერ "მოათვინიერა". მართალია, ტრავმირებული **სომხიშვილის** არყოფნა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ არა გვგონია, ეს განაპირობებდა საჩხერელთა ზედმეტად ფრთხილ სათამაშო ტაქტიკას, ვინაიდან სათადარიგო **მწყერაშვილი** საიმედოდ იცავდა კარს მთელი მატჩის განმავლობაში.

"მერანმა" კი, რახან თავისუფალი სივრცე იხილა, აიწყვიტა და მის ჟინებას მართლაც არ ჰქონდა საზღვარი. ამიტომაც ჩაიარა შეხვედრამ დინამიურად, ორმხრივ საინტერესოდ, თვალსასეიროდ და ერთგვარად სანერვიულოდაც.

სტუმრებმა თავიდანვე აგრძნობინეს მასპინძლებს, რომ იოლად არაფერს დაუთმობდნენ. დაუთმობდნენ კი არა, რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს, ხოლო მე-10 წუთზე **ნოზაძის** ყუმბარისებურს ამბრაზურასავით გადაეფარა **გუშარაშვილი.**

15 წუთი დასჭირდა "ჩიხურას" გონს მოსაგებად. ჩიკვაიძის ჯარიმამ მილიმეტრებით გადაუქროლა ხარიხას. მალევე **შეროზიამ** აუღო **კვასხვაძეს** კარგი დარტყმა.

შემდეგ ისევ "მერანის" იერიშებიანი, ლაღი, თუმცა უშედეგო ნავარდი და, აი, საბედისწერო 32-ე წუთიც: **შარაშენიძის** მახვილგონივრული, გამჭოლი ჩაწოდება, რომლის აღება თუ არა, მოგერიება მაინც არ უნდა გასჭირვებოდა სწორ პოზიციაზე მდგარ მეკარეს, **ქარქუზაშვილის** თავის "გავლით" ბურთი მისი კარის "ცხრიანში" რომ არ ჩაშვებულიყო.

შემთხვევითმა გოლმა უფრო გაახელა „მერანი", სწრაფად ეკვეთა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. 37-ე წუთზე 100 პროცენტიანი საგოლე მომენტი გაანიავა **ტორონჯაძემ,** 37-ე წუთზე კი კიდევ უფრო უკეთეს პოზიციიდან დააზარალა გუნდი მეკარესთან პირისპირ გასულმა **ლომიამ.**

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ პერიოდში ისევ მოეგენ გონს საჩხერლები. 43-ე წუთზე მოხდა ის, რითაც ფეხბურთი ხიბლავს მაყურებელს: **დეკანოიძის** დიდოსტატურად ჩაკიდებულ ბურთს სარაგბო ზედახორა მოჰყვა სტუმართა საჯარიმო მოედანში. ორიოდე მეტრიდან ურტყამდნენ **კირკიტაძე, კვასხვაძე, შარაშენიძე** და ყველა, ვისაც არ დაეზარა. რომ იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს მცველებმა და მეკარემ.

მეორე ტაიმიც მარტვილელების იერშებით დაიწყო. პირველივე წუთზე ვერ შეირგო **ოდიკაძის** შეცდომა **ბუკიამ.** სხვადასხვა დროს ვერც **მელიავამ, ნოზაძემ** და **ფონიავამ** შეძლეს საჩხერელთა კარის გასალების მონახვა. ეტყობოდა, ეს მათი დღე არ იყო.

საჩხერლებიც არანაკლებ სცოდავდნენ: 68-ე წუთზე მოედანზე ახალშემოსულ **მაისურაძეს** უმტყუნა მიზანმა; 72-ე წუთზე **შეროზიამ** ზედიზედ ორჯერ აუღო მძლავრი თავურები **გუშარაშვილს** და **დეკანოიძეს**; მე-40 წუთზე სოლო რეიდით რამდენიმე მცველს გაცდენილი **დეკანოიძის** ზედმეტი მცდელობა რომ არა მეკარის მოტყუებისა, საჩხერლები ორგოლიანი სხვაობით გაიმარჯვებდნენ, თუმცა გამარჯვება მინიმალური ანგარიშითაც გამარჯვებაა. გამარჯვებულს კი, როგორც წესი, არ ასამართლებენ.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

18.10. ქობულეთი. ჩელე არენა
700 მაყურებელი

**დინამო (ბთ) 3**

**ზესტაფონი 3**

1:0 ბაციკაძე (10), 1:1 ბენაშვილი (24), 1:2 გორგიაშვილი (70), 2:2 ცნობილაძე (78), 2:3 შარვაძე (85), 3:3 ცნობილაძე (90+2)

| ბათუმი 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| პიცანი | მამალაძე |
| დიასამიძე | თ. ღონღაძე |
| ზ. ლობჟანიძე | კაჭკაჭიშვილი |
| ა. ბაჯელიძე | მ. კობახიძე |
| [illegible] | თორ. გრიგალაშვილი |
| ვარშანიძე | შარიქაძე |
| კილაძე | მენთეშაშვილი |
| სიჭინავა | ბენაშვილი |
| ბერიძე | ბაბუნაშვილი |
| ა. მუჯირი | მილხრაუმი |
| ბაციკაძე | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელები |
| გ. გურული | დ. მუჯირი, ზ. ზამთარაძე |

**ბათუმი**

58. ბერიძე – **ცნობილაძე**
59. სიჭინავა – **ვ. თევდორაძე**
88. ვარშანიძე – **კლოვისი**

სათადარიგოები: მამინაშვილი, აბუსელიძე, ივანიაძე, ზოიძე

**ზესტაფონი**

46. ბაბუნაშვილი – **აფციაური**
58. ბენაშვილი – **გორგიაშვილი**
82. შარიქაძე – **შარვაძე**

სათადარიგოები: მეშველიანი, თორ. გრიგალაშვილი, ელიავა, იელიჩი

გაფრთხილება: კაჭკაჭიშვილი (22)

არბიტრი: თ. გვანცელაძე



ფოტო: www.fczestafoni.ge

# ბევრი გოლი და სტუმართა უკმაყოფილება ქობულეთში

ქობულეთში დრამატული მატჩი გაიმართა, ბათუმის "დინამომ" "ზესტაფონს" ქულა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გამოჰგლიჯა, ამაზე არანაკლებ ნიშანდობლივი კი ის არის, რომ სტუმრები უკმაყოფილონი დარჩნენ სტადიონზე შექმნილი პრობლემების გამო.

კონკრეტულად, როგორც "ზესტაფონის" პრესსამსახურმა გვაცნობა, სტუმართა გუნდი კარგა ხანს ვერ ახერხებდა გასახდელში შესვლას და ეს მატჩის დაწყებამდე მხოლოდ საათითა და ხუთი წუთით ადრე შეძლო. ამის გამო "ზესტაფონმა" წინასამატჩო მოთელვა არასრულყოფილად ჩაატარა.

გასახდელში შესვლა ფეროელებს იმის გამო შეაგვიანდათ, რომ იგი ქობულეთის გუნდის ფეხბურთელების მიერ იყო დაკავებული. ხოლო "ზესტაფონის" გასახდელში შესვლამდე იქაურობის დასუფთავებაზე არავის უზრუნია. სათანადო ჰიგიენური პირობების მსგავსად, გასახდელში ფეხბურთელებს არც სკამები დახვედრიათ და ეს პრობლემა დაგვიანებით გადაიჭრა. ნამატჩევს კი, "ზესტაფონის" პრესსამსახურის თქმით, მსაჯებმა, რომელთა ოთახშიც შხაპი არ იყო, წყალი სტუმართა გასახდელში გადაივლეს.

"ზესტაფონის" წარმომადგენლებმა შეხვედრის დელეგატ **სერგო გაბელაიას** ამ ფაქტების დაფიქსირება სთხოვეს, ფეროელები უმაღლესი ლიგის კლუბების შეკრებაზე გუშინდელი ამბის განსახილველად გატანას აპირებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ფუტსალი. XX ეროვნული ჩემპიონატი. I წრე. II ტური

# ცენტრალურ შეხვედრაში თსუ-მ იმარჯვა

ფუტსალში ჩემპიონატის I წრის II ტურის შეხვედრები გაიმართა. „იბერია სტარი" ვერც ამჯერად შეაჩერეს: ამჯერად საქართველოს ჩემპიონმა GIEC დაამარცხა - 5:1.

მეორე შეხვედრაში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ავთანდილ ასათიანის** გაწვრთნილმა თელას-მა "თელავს" სძლია - 6:2.

ტურის ცენტრალურ შეხვედრა თსუსა და „სოკარს" შორის სტუდენტთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ, მათ 6:2 გაიმარჯვეს.

**მერაბ მამულაშვილი**




### ლეგიონის უქმეები




სანდრო კობახიძემ შახტარს ბრწყინვალე გოლი გაუტანა

# არნახული პროგრესი

**სანდრო კობახიძე, ლევან ყენია, გურამ კაშია, ლადო დვალიშვილი, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ალავერდაშვილი** – ეს ის ქართველები არიან, რომლებმაც გასულ უქმეებზე საკუთარი კლუბების შემადგენლობაში გოლი გაიტანეს. განვლილი შაბათ-კვირა მხოლოდ მათთვის არ ყოფილა წარმატებული. ჩვენი თანამემამულეებისთვის პოზიტიური ფაქტები სხვა მატჩებშიც მოხდა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. ჩვენი ლეგიონერებისგან მსგავს შედეგიანობით, დიდი ხანია, აღარ ვართ განებივრებულები და იმედს დავიტოვებთ, რომ სულ მალე მსგავსი მონაგარი არა იშვიათობა, არამედ კანონზომიერება გახდება.

დავიწყოთ უკრაინით, სადაც ერთპიროვნული ლიდერის, დონეცკის "შახტარის" 15-მატჩიანი (!) გამარჯვებათა სერია კიევის "არსენალმა" შეწყვიტა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სანდრო კობახიძემ, რომელმაც შეხვედრის მიწურულს, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შორეული ეფექტური დარტყმით საბოლოო ანგარიში, 2:0 დააფიქსირა.

მოედანი უგოლოდ არც ამჯერად დაუტოვებია ლევან ყენიას, რომელმაც 65-ე წუთზე "ვოლინის" კარი დალაშქრა და კობახიძის მსგავსად, ანგარიში მანაც 2:0 გახადა. რაღა თქმა უნდა, ყენიას ასეთი პროგრესი მეტად პოზიტიური ფაქტია.

"ვიტესის" კაპიტანმა გურამ კაშიამ თავისი გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი მხოლოდ დაცვაში საიმედო თამაშით კი არა, გოლითაც შეიტანა. საქართველოს ნაკრების მცველმა თავი 46-ე წუთზე გამოიჩინა და არნემელები 2:1 დააწინაურა, საბოლოოდ კი, "ვიტესმა" მოედანზე 8 კაცის ამარა დარჩენილი "ნეიმეგენი" 4:1 გაანადგურა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლეგიონის უქმეები

# არნახული პროგრესი

მე-4 გვერდიდან

ლადო დვალიშვილმა კი, რომელიც გარკვეული პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ეგვიპტესთან ამხანაგურ მატჩში დაუბრუნდა, "პოლონიას" ქულა გადაურჩინა. მან "გორნიკის" კარი 56-ე წუთზე დალაშქრა, ანგარიში 1:1 გახადა და ეს შეხვედრა ასევე დასრულდა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს **კახა ცხადაძის** მიერ გაწვრთნილი "ინტერი", რომელმაც პრემიერლიგის გასულ ტურში თურანს 2:0 სძლია, 55-ე წუთზე კი ბაჩანა ცხადაძემ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აზერბაიჯანული პრემიერლიგის შესახებ უფრო ვრცლად "ლელოს" ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

ლიტვური "ბანგას" ფორვარდმა გიორგი ალავერდაშვილმა 87-ე წუთზე "შაულაის" კარში გამარჯვების გოლი გაიტანა – "ბანგამ" 2:1 მოიგო.

**ნიკოლოზ გელაშვილი** კვლავ არ ჩანს "ბოხუმის" 18-კაციან განაცხადში, **ლევან მჭედლიძე** კი რამდენიმეტურიანი პაუზის შემდეგ "ემპოლის" რიგებში გამოჩნდა. "ალანიას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი გაზაევმა შოთა გრიგალაშვილი** ძირითადი შემადგენლობიდან სათადარიგო სკამზე გაამწესა, თუმცა შეცვლაზე თამაშის საშუალება მაინც მისცა.

სეზონის პირველი შეხვედრა ჩაატარა ფრანგული "ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძემ**. მისმა გუნდმა საფრანგეთის თასია ადრეულ ეტაპზე სტუმრად "ობერვილი" 3:0 გაანადგურა, ქართველმა კიპერმა კი, როგორც ანგარიშიდან ხედავთ, კარი მშრალად შეინახა.

**შოთა არველაძემ** "ქაშიმფაშას" თავისი ხელი აშკარად დაატყო – თურქული სუპერლიგის ბოლო ოთხ მატჩში მისმა გუნდმა მესამე გამარჯვება მოიპოვა (შუალედში ერთი ფრე იყო) და მესამე ადგილზე ალზევდა. "ქაშიმფაშამ" სტუმრად "აქჰისარს" 2:0 სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | ანგ. | შენ. | სტ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | ბოხუმი | ზანდჰაუზენი | 5:2 (მ) | 75-ე წთ-მდე | 14 თ. |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | ზანდჰაუზენი | 5:2 (მ) | არ უთამ. | 6 თ. |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ზტ. პაული | (მ) | დისკვალ. | 0 თ. |
| იტალია. სერია ბ. XV ტური | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 22 | ემპოლი | გროსეტო | 3:2 (მ) | 69-ე წთ-დან | 6 თ. |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | გროსეტო | 3:2 (მ) | არ უთამ. | 5 თ. |
| საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 22 | ლე მანი | ობერვილი | 3:0 (გ) | 90 წთ | 1 თ. |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XVI ტური | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 26 | დნიპრო | ტავრია | 2:1 (გ) | 46-ე წთ-მდე, გაფრ. | 15 თ, 2 გ. |
| ალექსანდრე კობახიძე | 25 | არსენ. | შახტარი | 2:0 (მ) | 76-ე წთ-დან, გოლი | 15 თ, 2 გ. |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევ. | მეტალისტი | 0:2 (მ) | 60-ე წთ-დან | 15 თ, 1 გ. |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 20 | ილიჩევ. | მეტალისტი | 0:2 (მ | 90 წთ | 15 თ, 1 გ. |
| ჯაბა ლიპარტია | 24 | ზარია | მეტალურგი ზ. | 0:0 (გ) | 81-ე წთ-მდე | 15 თ, 1 გ. |
| უჩა ლობჟანიძე | 25 | კრივბასი | ვორსკლა | 3:2 (მ) | 90 წთ | 15 თ. |
| მურთაზ დაუშვილი | 23 | კარპატი | ვოლინი | 2:0 (მ) | 90 წთ | 10 თ. |
| ლევან ყენია | 21 | კარპატი | ვოლინი | 2:0 (მ) | 87-ე წთ-მდე, გოლი | 8 თ, 2 გ. |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XIII ტური | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ნეიმეგენი | 4:1 (მ) | 90 წთ, გოლი | 13 თ, 1 გ. |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ვიტესი | ნეიმეგენი | 4:1 (მ) | არ უთამ. | 1 თ. |
| ვაკო ყაზაიშვილი | 19 | ვიტესი | ნეიმეგენი | 4:1 (მ) | არ უთამ. | 0 თ. |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი | ვოლგა | 1:1 (გ) | არ უთამ. | 9 თ, 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | 25 | კრასნოდ. | ტერეკი | (მ) | დღეს | 4 თ. |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრასნოდ. | ტერეკი | (მ) | | 13 თ. |
| შოთა გრიგალაშვილი | 26 | ალანია | რუბინი | 0:2 (მ) | 58-ე წთ-დან | 8 თ. |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | სპარტაკი | 1:1 (მ) | 90 წთ, გაფრ. | 15 თ, 1 გ. |
| თურქეთი. სუპერლიგა. XII ტური | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | გაზიანთეფი | 1:1 (მ) | 90 წთ | 8 თ. |
| რუმინეთი. ლიგა I. XVI ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 26 | გაზ მეთ. | რაპიდი | (გ) | დღეს | 7 თ. |
| დანია. სუპერლიგა. XVII ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 24 | ორჰუსი | ნორდს. | 0:2 (მ) | არ უთამ., დისკვ. | 12 თ, 3 გ. |
| დავით სხირტლაძე | 19 | ორჰუსი | ნორდს. | 0:2 (მ) | არ უთამ. | 8 თ, 1 გ. |
| მათე ვაწაძე | 23 | ორჰუსი | ნორდს. | 0:2 (მ) | 90 წთ | 6 თ, 1 გ. |
| პოლონეთი. ეკსტრაკლასა. XII ტური | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | პოლონ. | გორნიკი | 1:1 (მ) | 90 წთ, გოლი | 12 თ, 5 გ. |
| ნიკა ძალამიძე | 20 | იაგელ | კორონა | 0:0 (მ) | 90 წთ | 12 თ, 3 გ. |

საფრანგეთი. ლიგა 1. XIII ტური.

# პსჟ კრიზისშია

**ლორიანი-ლილი 2:0**

გოლები: 1:0 ბურიონი (24), 2:0 კორნე (69)

**პსჟ-რენი 1:2**

გოლები: 0:1 ალესანდრინი (14), 1:1 ნენე (21), 1:2 ფერე (35)

**აიაჩო-სოშო 0:1**

გოლი: 0:1 ბუპური (10-ს.კ.)

**ტრუა-ნანსი 3:3**

გოლები: 1:0 ნგოი (20), 1:1 პუიგრენიე (32), 1:2 მოლო (34), 1:3 ანდრე ლუისი (45), 2:3 ნივე (82), 3:3 ნივე (87-პენ)

**ევიანი-სტ. ეტიენი 2:2**

გოლები: 0:1 გრადელი (10), 0:2 გრადელი (28), 1:2 რაბიუ (48), 2:2 ანგულა (80)

**ბრესტი-ბასტია 3:0**

გოლები: 1:0 ლ. ტურე (44), 2:0 ბენ ბასატი (61-პენ), 3:0 ლ. ტურე (67)

**ვალანსიენი-მონპელიე 1:1**

გოლები: 0:1 შარბონიე (16), 1:1 პუჟოლი (39)

**ლიონი-რეიმსი 3:0**

გოლები: 1:0 ვებერი (45-საკ. კარში), 2:0 გომისი (73), 3:0 ლ. ლოპესი (90)

**ნიცა-ტულუზი 1:0**

გოლი: 1:0 ცვიტანიჩი (60).

**ბორდო-მარსელი 1:0**

გოლი: 1:0 გუფრანი (52)
გაძევება: მენდესი (93. მარსელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 12 | 7 | 4 | 1 | 23-11 | 25 |
| 2. ბორდო | 13 | 6 | 6 | 1 | 18-10 | 24 |
| 3. პსჟ | 13 | 6 | 5 | 2 | 19-10 | 23 |
| 4. მარსელი | 12 | 7 | 2 | 3 | 16-11 | 23 |
| 5. სენტ ეტიენი | 13 | 6 | 4 | 3 | 23-10 | 22 |
| 6. ვალანსიენი | 13 | 6 | 4 | 3 | 27-15 | 22 |
| 7. რენი | 13 | 7 | 1 | 5 | 18-16 | 22 |
| 8. ლილი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-14 | 20 |
| 9. ტულუზი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-16 | 19 |
| 10. ლორიანი | 13 | 4 | 6 | 3 | 21-25 | 18 |
| 11. ნიცა | 13 | 3 | 7 | 3 | 18-19 | 16 |
| 12. ბრესტი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-18 | 16 |
| 13. რეიმსი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-14 | 15 |
| 14. მონპელიე | 13 | 3 | 5 | 5 | 18-18 | 14 |
| 15. აიაჩო | 13 | 4 | 4 | 5 | 14-18 | 14 |
| 16. სოშო | 13 | 4 | 2 | 7 | 13-19 | 14 |
| 17. ბასტია | 13 | 4 | 2 | 7 | 19:32 | 14 |
| 18. ევიანი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-22 | 12 |
| 19. ტრუა | 13 | 1 | 5 | 7 | 14-25 | 8 |
| 20. ნანსი | 13 | 1 | 3 | 9 | 8-24 | 6 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 10 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 7 – ბენ იედერი (ტულუზი); 6 – ერდინჩი (რენი), გომისი (ლიონი).

**მეცამეტე** ტურის მთავარი მოულოდნელობა პარიზში მოხდა. "პარი სენ ჟერმენმა" 9-კაციან "რენს" ვერაფერი მოუხერხა და საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეორედ დამარცხდა. სტუმრებს 26-ე წუთზე მეკარე ბენუა კოსტილი, ხოლო 52-ე წუთზე ჟან მაკუნი გაუძევეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ფრედერიკ ანტონეტის შეგირდებმა ერთბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნეს და ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს.

ანგარიში სტუმრებმა მე-14 წუთზე გახსნეს – თავი ახალგაზრდა **რომენ ალესანდრინმა** გამოიჩინა, თუმცა "ზოროს" ნილაბით მოასპარეზე **ნენემ**, რომელიც ლამის ერთთვიანი პაუზის მერე დაუბრუნდა მინდორს, ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ იყო შემთხვევა, რომელსაც თითქოს შეხვედრის ბედი პარიზელთა სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტა – შეხვედრის არბიტრმა "რენის" მეკარე ბენუა კოსტილი გააძევა, სტუმართა კარში კი **შეიკ ნდიაიე** ჩადგა, რომელსაც ლიგა 1-ში აქამდე სულ 1 თამაში, ისიც 2008 წელს, ჰქონდა ჩატარებული. ამის შემდეგ პსჟ-ს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მასპინძლებმა გოლი ვერაფრით გაიტანეს, 35-ე წუთზე კი აქეთ გაუშვეს.

მეორე ტაიმში **კარლო ანჩელოტიმ** თამაშში **გიომ ოარო** და **კევინ გამეირო** ჩართო, მაგრამ მასპინძლებს ვერც მათ უშველეს. ცხრა ფეხბურთელის ამარა დარჩენილმა "რენმა" სენსაციური გამარჯვება მოიპოვა, რაც მათთვის ბოლო 7 შეხვედრაში მე-6 მოგება იყო. ამ საოცარი თამაშის წყალობით ანტონეტის გუნდი უკვე მე-6 ადგილზეა, კარლო ანჩელოტიმ კი მატჩის შემდეგ კრიზისი ახსენა: *"დაუჯერებელია. ზედიზედ ორი საშინაო მატჩი წავაგეთ, რაც იმ გუნდისთვის, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა სურს, უბრალოდ მიუღებელია. ახლა ცუდი პერიოდი გვაქვს და მე ცვლილებების გაკეთება მომიწევს. არ შემეშინდება და ვიტყვი, რომ კრიზისში ვართ. ამ სიტუაციიდან გამოსვლა სწრაფად უნდა მოვახერხოთ"*.

მორიგი მატჩი მოიგო "ლიონმა" და პსჟ-ს სატურნირო ცხრილში გადაასწრო. გოლებით თავი **ბაფეტემბი გომისმა** და **ლისანდრო ლოპესმა** გამოიჩინეს. "ოლიმპიკის" მწვრთნელი **რემი გარდი** საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო: *"დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. ბევრი საგოლე მომენტი არ გვქონია, მაგრამ რაც შევქმენით, იმით მაქსიმალურად ვისარგებლეთ. მიუხედავად იმისა, რომ შემტევი ფეხბურთის თამაშს ვცდილობდით, დაცვაშიც საკმაოდ სოლიდურად გამოვიყურებოდით, ამის გამო კი უზომოდ კმაყოფილი ვარ"*.

**ტატო ბაციკაძე**



ნენეს და პსჟ-ს არ გაუმართლა

## ჰოლანდია

**ერედივიზიე. XIII ტური.**

**დენ ჰააგი-პსვ 1:6**

გოლები: 0:1 ნარსინგი (14), 0:2 სტროოტმანი (23), 0:3 მერტენსი (33), 0:4 ვაინალდუმი (53), 1:4 ვისენტო (62), 1:5 დერაიკი (72), 1:6 ენგელაარი (81).

**ჰერენვენი-ვაალვიკი 0:2**

გოლები: 0:1 ჯოზეფზოონი (7), 0:2 ჯოზეფზოონი (60).

**ზვოლე-ბრედა 2:0**

გოლები: 1:0 რენიერსი (69), 2:0 ავდიჩი (79).

**აიაქსი-ვენლო 2:0**

გოლები: 1:0 ბურიგტერი (47), 2:0 ჰუსენი (84)

**გრონინგენი-ალკმაარი 1:1**

გოლები: 1:0 სპარვი (57), 1:1 მაჰერი (72).

**ვიტესი-ნაიმეგენი 4:1**

გოლები: 0:1 პლატიე (3), 1:1 ბონი (11), 2:1 კაშია (46), 3:1 ბონი (80), 4:1 ჰავენაარი (86).

**ფეიენოორდი-ვილემ II 3:0**

გოლები: 1:0 იმერსი (33), 2:0 პელე (53), 3:0 პელე (60).

**უტრეხტი-ტვენტე 1:1**

გოლები: 0:1 იანსენი (2), 1:1 მულენგა (17).

**ჰერაკლესი-როდა 5:1**

გოლები: 1:0 დუარტე (15), 1:1 მალკი (33), 2:1 დუარტე (37), 3:1 ოვერტოომი (58-პენ), 4:1 კასტილიონი (69), 5:1 არმენტეროსი (76).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 13 | 11 | 0 | 2 | 48-11 | 33 |
| 2. ტვენტე | 13 | 9 | 3 | 1 | 25-7 | 30 |
| 3. ვიტესი | 13 | 8 | 4 | 1 | 25-10 | 28 |
| 4. აიაქსი | 13 | 6 | 6 | 1 | 31-16 | 24 |
| 5. ფეიენოორდი | 13 | 7 | 3 | 3 | 26-18 | 24 |
| 6. უტრეხტი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-14 | 22 |
| 7. ნაიმეგენი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-24 | 19 |
| 8. ჰერაკლესი | 13 | 4 | 5 | 4 | 29-26 | 17 |
| 9. ვაალვიკი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-17 | 16 |
| 10. დენ ჰააგი | 13 | 3 | 7 | 3 | 22-23 | 16 |
| 11. გრონინგენი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-23 | 15 |
| 12. ალკმაარი | 13 | 3 | 5 | 5 | 20-24 | 14 |
| 13. ჰერენვენი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-26 | 13 |
| 14. ზვოლე | 13 | 3 | 2 | 8 | 12-23 | 11 |
| 15. ბრედა | 13 | 3 | 2 | 8 | 11-25 | 11 |
| 16. როდა | 13 | 2 | 4 | 7 | 13-26 | 10 |
| 17. ვენლო | 13 | 2 | 3 | 8 | 16-32 | 9 |
| 18. ვილემ II | 13 | 1 | 3 | 9 | 9-31 | 6 |

**ბომბარდირები:** 14 – ბონი (ვიტესი); 9 – ალტიდორი (ალკმაარი), ფინბოგასონი (ჰერენვენი); 8 – იმერსი (ფეიენოორდი), პელე (ფეიენოორდი).

ფუტსალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბრაზილია აქაც პენტაჩემპიონია

**1/2 ფინალი**

**იტალია-ესპანეთი 1:4**

**გოლები:** 0:1 ასისი (9-ს.კ.), 1:1 მერლიმი (30), 1:2 ალემაო (30), 1:3 ლოსანო (33), 1:4 ლინი (38).

**ბრაზილია-კოლუმბია 3:1**

**გოლები:** 1:0 გაბრიელი (1), 1:1 ტორო (19), 2:1 გაბრიელი (28), 3:1 ტორო (29-ს.კ.).

2012 წლის ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალები ლოგიკური შედეგებით დასრულდა და ფინალში ის გუნდები გავიდნენ, ვინც ფავორიტად ითვლებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფინალს ბრაზილიის ან ესპანეთის გარეშე ჩაევლოს, ამჟამად კი გამეორდა 2008 წლის მუნდიალის ფინალი, სადაც ბრაზილიამ ესპანეთს პენალტების სერიაში სძლია.

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**იტალია-კოლუმბია 3:0**

**გოლები:** 1:0 რომანო (28), 2:0 ფორტინო (33), 3:0 ფორტინო (40).

**ფინალი**

**ესპანეთი-ბრაზილია 2:3 დ.დ.**

**გოლები:** 0:1 ნეტო (25), 1:1 ტორასი (30), 2:1 აიკარდო (31), 2:2 ფალკაო (37), 2:3 ნეტო (50).

მუნდიალის ბოლო შეხვედრა ისეთი გამოდგა, როგორიც ფინალს ეკადრება. მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი, 2-გზის გამარჯვებულის წინააღმდეგ. საბოლოოდ, ამ დაძაბულ და ემოციურად დატვირთულ შეხვედრაში გამარჯვება ბრაზილიელებმა მოიპოვეს და მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთედ მოიგეს. ფინალში გოლი ისევ გაიტანა ფუტზალის ლეგენდა **ფალკაომ**, რომელსაც მუნდიალებზე 38 გოლი დაუგროვდა და კიდევ ერთი ლეგენდის, **მანოელ ტობიასის** შემდეგ, ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, 9 გატანილი გოლით, რუსეთის ნაკრების ბრაზილიელი ფორვარდი **ედერ ლიმა** გახდა, საუკეთესო ფეხბურთელი კი ფინალის გმირი **ნეტო**. საუკეთესო მეკარედ იტალიის ნაკრების კიპერი **სტეფანო მამარელა** დაასახელეს, ხოლო ფეირ პლეის პრიზი არგენტინამ მიიღო.

**ტატო ბაციკაძე**

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

# ბაიერნმა ფრეთით წინ წაიწია

## შალკე უმაქნისია, დორტმუნდს არ სძინავს!

**„ბაიერნმა“ ვერ მოიგო, მაგრამ მაინც წინ წაიწია, რადგან რეკორდმაისტერის უახლოესი მდევარი „შალკე“ ლევერკუზენში უშანსოდ დამარცხდა. სამაგიეროდ მოიგო და ლიდერს მიუახლოვდა დორტმუნდის „ბორუსია“. სამი ქულა აილო და კვლავ საუკეთესო სამეულშია ფრანკფურტის „აინტრახტიც“.**

### ნიურნბერგმა კი ივაჟკაცა, მაგრამ...

შაბათის ნომერში ვწერდით, რომ „ნიურნბერგი“ „ბაიერნთან“ უშანსოდ არ იყო, რადგან ეს ბავარიული დერბია, რომელიც „ბაიერნმა“ სტუმრად ბოლო ოთხი მცდელობიდან მხოლოდ ერთხელ (შარშან) მოიგო. მოლოდინი გამართლდა: მიუნხენურმა გრანდმა ნიურნბერგში ორი ქულა დაკარგა, თუმცა იმის გამო, რომ უახლოესმა მდევარმა „შალკემ“ ლევერკუზენში წააგო, ბავარიელები გელზენკირხენელებს უკვე 8 ქულით უსწრებენ.

**მანუელ ნოიერს** ამ სეზონში არცერთ გასვლით მატჩში გოლი არ ჰქონდა გაშვებული და ეს სერია 495-ე წუთზე შეწყვიტ. მისი კარი **მარკუს ფოილნერმა** დალაშქრა. არადა, მიუნხენელები **მარიო მანჯუკიჩის** ადრიანი გოლით იგებდნენ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ კიდევ მოიგებდნენ. ორი ქულის დაკარგვა კატასტროფა არ არის, მაგრამ ბავარიელები განერვიულებულები ჩანდნენ. ეს განსაკუთრებით ნოიერზე და **ბასტიან შვაინშტაიგერზე** ითქმის.

ფოილნერის გოლი მარტო ნოიერის ბრალი არ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მანუს ამ დარტყმის მოგერიება შეეძლო. მან ფოილნერის დარტყმისას რეაქცია დააგვიანა. შვაინშტაიგერი ნიურნბერგელებს ლანძღავდა, მთელი მატჩის განმავლობაში ფეხებში გვირტყამდნენ და თან მსაჯის პროვოცირებასაც ცდილობდნენ, რას ვიზამთ, სხვანაირად არ შეუძლიათო.

ფრანკების თავკაცი **დიტერ ჰეკინგი** კი, რომლისთვისაც „ბაიერნთან“ მოპოვებულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, უჩვეულოდ მშვიდი იყო და შვაინშტაიგერის ამ რეპლიკას ასე უპასუხა: „მე მგონი, ბასტიანი უბრალოდ იმედგაცრუებულიაო,“ - თქვა მან.

### ...შალკე ღმერთს არ უქნია!

ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ „შალკემ“ ლევერკუზენში წააგო, რადგან ალოგიკური არაფერი მომხდარა - ბოლოს და ბოლოს „ლევერკუზენი“ ის გუნდია, რომელმაც ამ სეზონში „ბაიერნს“ ბუნდესლიგაში ის ერთადერთი მარცხი აგემა. საქმე ისაა, რომ „შალკეში“ ისევ სკანდალმა იფეთქა. გელზენკირხენელებს 0:2-ზე გაცილებით დიდი ანგარიშით წაგებაც შეეძლოთ. ეს იმ დროს, როცა **ჰუუბ სტევენსის** გუნდი „ბაიერნის“ უპირველესი მდევარია.

69-ე წუთი მიმდინარეობდა, ის იყო, ლევერკუზენელებმა მეორე გოლი გაიტანეს, როცა „შალკეს“ თავკაცმა სტევენსმა **ჯეფერსონ ფარფანი** მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად თამაშში **ჩიპრიან მარიკა** ჩართო. 28 წლის პერუელი ნახევარმცველი განრისხებული იყო შეცვლით და სათადარიგოთა სკამზე პოლემიკა წამოიწყო, რის გამოც სტევენსმა ფარფანიცა და **ლუის ჰოლტბიც** (ეს უკანასკნელი ჰუუბმა მე-60 წუთზე შეცვალა და დისკუსიაში ისიც აქტიურობდა) გასახდელში გაუშვა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, სტევენსმა და „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მატჩის შემდეგ ფარფანს და ჰოლტბის ნახევარსაათიანი ლექცია წაუკითხეს. ჰელდტი: *„მთელმა გუნდმა ამაზრზენად ითამაშა, ფარფანი და ჰოლტბი კი ძალიან ცუდად მოიქცნენ. ჩვენი წაგება აბსოლუტურად დამსახურებულია. არ მახსოვს, როდის ვითამაშეთ ბოლოს ასე საშინლად. ნორმალურად მხოლოდ ორი-სამი ფეხბურთელი გამოიყურებოდა.“* სტევენსი: *„დაუჯერებელია, ჩვენი ფეხბურთელები ლევერკუზენელებს ფაქტობრივად ეხვეწებოდნენ“ მოდით და გოლები გაგვიტანეთო. რომ შემძლებოდა, 9 ფეხბურთელს შევცვლიდი!“*

მატჩის მიწურულს „შალკეს“ მოედნიდან **პაპადოპულოსიც** გაუძევეს, რომელმაც გასახდელისკენ მიმავალ გზაზე ფეხი წყლიან ბოთლს დაჰკრა და ტელევიზიის თანამშრომელი გაწუწა. ამის გამო სტევენსს „ლევერკუზენის“ თავკაცი **სამი ჰიიპია** წაეკიდა, თუმცა მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა ხელი ხელს დაჰკრეს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შერიგდნენ. სანამ გვირაბში მიიმალებოდა, თავად პაპადოპულოსმაც მოიხადა ბოდიში, რაც შაბათს შალკელთა მხრიდან ერთადერთი კარგი საქციელი გახლდათ.

### გრანდიოზული გიოტცე და შემცვლელი კლოპი

დორტმუნდის „ბორუსიამ“ კი შეამცირა ჩამორჩენა როგორც „ბაიერნთან“, ისე „შალკესთანაც“ და მოქმედ ჩემპიონს მეორე ადგილამდე ახლა მხოლოდ ერთი ქულალა აშორებს. **იურგენ კლოპის** შეგირდებმა „ფიურტი“ 3:1 დაამარცხეს და ეს ანგარიში პირველივე ტაიმშივე დააფიქსირეს. ორი აზრი არ არსებობს: დორტმუნდელებმა ძალები ოთხშაბათისთვის დაზოგეს - მათ ამსტერდამის „აიაქსთან“ ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით („დორტმუნდს“ ფრეც ჰყოფნის იმისათვის, რომ მერვედფინალის საგზური გაინაღდოს).

*„ასეთი მატჩი იშვიათად მინახავს: მეორე ტაიმში ფაქტობრივად არაფერი მომხდარა,“* - ეს დორტმუნდელთა ცენტრალური მცველის, **ნევენ სუბოტიჩის** სიტყვებია.

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ კლოპმა ხორვატი **ივან პერიშიჩი** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. არადა, ეს უკანასკნელი მთელი კვირა წუწუნებდა, იურგენი ბოლო დროს ძალიან იშვიათად მათამაშებს, რის გამოც ზამთარში კლუბის გამოცვლაზე ვფიქრობო, რაზეც პარასკევს კლოპმა უპასუხა, საჯაროდ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, საბავშვო ბაღში ხომ არ ვართო. ამ ფონზე უცნაური იყო ის, რომ ხორვატი შემტევი ნახევარმცველი „ფიურტთან“ სასტარტოში იყო გამწესებული. კლოპი: „ეს იმიტომ არ გამიკეთებია, რომ ივანმა იწუწუნაო“.

რაც შეეხება სუფთა საფეხბურთო მხარეს: შეუდარებელი იყო **მარიო გიოტცე**, რომელმაც ჯერ **ლევანდოვსკის** გაატანინა, მერე კი სოლორეიდი მოხდენილი გოლით თვითონვე დააგვირგვინა. „დორტმუნდი“ „ბაიერნს“ ახლა 9 ქულით ჩამორჩება, არადა, შარშან, მე-12 ტურის შემდეგ „ბორუსიას“ ამჟამინდელზე მხოლოდ ერთით ნაკლები ქულა ჰქონდა. გიოტცესთან ერთად ძალიან კარგად ითამაშა გამოჯანმრთელებულმა **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმაც**.

### აინტრახტი სამეულში დარჩა

„აინტრახტმა“ არც მეშვიდე საშინაო მატჩი წააგო. პრინციპში, „აუგსბურგისგან“ სასწაულს არც არავინ ელოდა. **არმინ ფეეს** ბიჭებმა აუტსაიდერი 4:2 დაამარცხეს. ფრანკფურტელთა ლიდერმა **ალექს მაიერმა** კი დუბლი შეასრულა და მის ანგარიშ აე უკვე 9 გოლია. „გლადბახმა“ საკუთარ მოედანზე „შტუტგარტთან“ წააგო და ესეც მოსალოდნელი იყო, რადგან მიონხენგლადბახელებს საკუთარ კედლებში შვაბებთან წარმატების მიღწევა უჭირთ ხოლმე. აი, „ფრაიბურგის“ ჰანოვერში გამარჯვება კი მე-12 ტურის სენსაციაა. „ჰამბურგმა“ „მაინცი“ მინიმალური ანგარიშით (**სონის** გოლით) დაამარცხა და საუკეთესო ექვსეულს მიუახლოვდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ბაიერნს გოლი მარკუს ფოილნერმა (მარცხნივ, ჯერდან შაჩირისთან ორთაბრძოლაში) გაუტანა

#### მომდევნო ტური

**23 ნოემბერი.** ფორტუნა-ჰამბურგი.
**24 ნოემბერი.** ბაიერნი-ჰანოვერი, შალკე-აინტრახტი, ვოლფსბურგი-ვერდერი, მაინცი-ბორუსია (დ), ფიურტი-ნიურნბერგი.
**25 ნოემბერი.** ფრაიბურგი-შტუტგარტი, ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი, აუგსბურგი-ბორუსია (მ).

#### ბორუსია (დ)-ფიურტი 3:1

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (3), 1:1 შტიბერი (5), 2:1 ლევანდოვსკი (15-პენ), 3:1 გიოტცე (42)
**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (73. გროსკროიტცი), ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი (83. ლაიტნერი), გიოტცე (66. როისი), პერიშიჩი - ლევანდოვსკი.
**ფიურტი (4-2-3-1):** გრიუნი - ნერიგი, სობიეხი, მავრაი, შმიდტგალი - ფიურშტნერი, ცილნერი (82. ნიოთე) - შტიბერი, პრიბი, სარარერი - აზემი (73. ედუ).
**გაფრთხილება:** ლევანდოვსკი, პერიშიჩი - აზემი, შმიდტგალი
**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 15(6)-5(2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.
**მაყურებელი:** 80 645

#### ბორუსია (მ)-შტუტგარტი 1:2

**გოლები:** 1:0 შტრანცლი (7), 1:1 ჰარნიკი (8), 1:2 ბრუვერსი (72-საკ. კარში)
**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანჩკე (46. ბრუვერსი), შტრანცლი, ალვარო დომინგესი, ვენდტი - ნორდტვეიტი, მარქსი - რუპი (76. მლაპა), არანგო - ჰერმანი, ჰანკე (66. დე კამარგო).
**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, ტასკი, მასა, მოლინარო - კვისტი, კუზმანოვიჩი (92. რიუდიგერი) - ჰარნიკი, `გენტნერი, ტრაორე (66. ოკაზაკი) - იბიშევიჩი.
**გაფრთხილება:** მარქსი, დე კამარგო, ალვარო დომინგესი - ტასკი, ტრაორე, კუზმანოვიჩი, ოკაზაკი
**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12(5)-13(6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურებელი:** 52 120

#### ჰანოვერი-ფრაიბურგი 1:2

**გოლები:** 0:1 შმიდი (11), 1:1 აბდელაუ (33-პენ), 1:2 როზენტალი (56)
**ჰანოვერი (4-1-2-1-2):** ცილერი - ჰ. საკაი (62. ია კონანი), ეგიმანი, ჰაგი, რაუში - კ. შულცი (46. და სილვა პინტუ) - შტინდლი, ჰუშტი - შლაუდრაფი - მ. დიუფი, აბდელაუ (59. ზობიხი).
**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - მუიჯა (86. ჰედენსტადი), კრმასი, დიანიე, ზორგი - მაკიადი (76. გუედე), შუსტერი - შმიდი, დ. კალიჯური - როზენტალი (84. დემბელე), მ. კრუსე.
**გაფრთხილება:** ჰუშტი, ზობიხი - მუიჯა
**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15(5)-21(8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 43 800

#### ნიურნბერგი-ბაიერნი 1:1

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (3), 1:1 ფოილნერი (46)
**ნიურნბერგი (4-3-2-1):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - ფოილნერი, სიმონსი, ფრანტცი (66. ესვაინი) - კიოტაკე (80. კორშოვსკი), გებჰარტი - პოლტერი (89. პლატენჰარდტი).
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია (62. ლამი), ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ტიმოშჩუკი (53. ხავი მარტინესი), შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, შაჩირი - მანჯუკიჩი (77. პისარო).
**გაძევება:** გებჰარტი (76. ნიურნბერგი)
**გაფრთხილება:** ჩანდლერი, პოლტერი - კროოსი, შვაინშტაიგერი
**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 13-25; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7(2)-7(4); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.
**მაყურებელი:** 50 000

#### ჰამბურგი-მაინცი 1:0

**გოლი:** 1:0 სონი (63)
**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, იანსენი (61. აოგო) - ბადელი, არსლანი (80. რინკონი) - ბაისტერი, ვან დერ ვაარტი (89. ბრუმა), სონი - რუდნევსი.
**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო - პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - კირხჰოფი - პოლანსკი (73. სოტო), მ. კალიჯური (76. ნ. მიულერი) - ივანშიტცი - რისსე (73. მალი), სალაი.
**გაფრთხილება:** ვან დერ ვაარტი, სონი - პოსპეხი
**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 20-11; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 10(4)-14(3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 51 345

#### აინტრახტი-აუგსბურგი 4:2

**გოლები:** 1:0 მიოლდერსი (7-საკ. კარში), 2:0 აიგნერი (32), 2:1 კოო (45), 3:1 ა. მაიერი (52), 3:2 მიოლდერსი (64), 4:2 ა. მაიერი (75-პენ)
**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი (81. ჩელოცი), ა. მაიერი, ინუი (91. კიოლერი) - მატმური (89. ოუშენი).
**აუგსბურგი (4-1-4-1):** ამსიფი - კალსენ-ბრაკერი, ს. ლანგკამპი, კლავანი (29. სანკო), ოსტრცოლეკი - ფოგტი (58. იორლი) - კოო, ოტლი, ბაიერი, ვერნერი (73. სიო) - მიოლდერსი.
**გაფრთხილება:** ს. იუნგი - კლავანი, ოტლი, ვერნერი
**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19(4)-7(2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 47 700

#### ლევერკუზენი-შალკე 2:0

**გოლები:** 1:0 შიურლე (45), 2:0 კისლინგი (67)
**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი, ვოლშაიდი, ტოპრაკი, ჰოსოგაი - რაინარტცი - ლ. ბენდერი (77. ჰეგელერი), როლფესი - კასტრო (88. რენატო), შიურლე (90. კორი) - კისლინგი.
**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰიოვედესი, კ. პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი (74. მორიტცი), ნოიშტედტერი - ფარფანი (68. მარიკა), ჰოლტბი (60. ბარნეტა), დრაქსლერი - ჰუნტელაარი.
*შენიშვნა*
: 81-ე წუთზე კისლინგმა (ლევერკუზენი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)
**გაძევება:** კ. პაპადოპულოსი (82. შალკე)
**გაფრთხილება:** რაინარტცი - ბარნეტა
**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 6-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 18(7)-8(3); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.
**მაყურებელი:** 29 808

#### ვერდერი-ფორტუნა 2:1

**გოლები:** 0:1 ლანგენეკე (10-პენ), 1:1 პეტერსენი (51), 2:1 დე ბრუინი (82)
**ვერდერი (4-1-4-1):** მილიტცი - გებრე სელასიე, ლუკიმია, სოკრატისი, შმიტცი - იუნუზოვიჩი - არნაუტოვიჩი (84. პროდლი), დე ბრუინი, ჰანტი, ელია (78. ფიულკრუგი) - პეტერსენი (89. აკპალა).
**ფორტუნა (4-2-3-1):** გიფერი - ლეველსი, ლანგენეკე, ხუანანი, ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ლამბერტცი - გარბუშევსკი (66. [illegible]), [illegible] (67. [illegible]), ბელინგჰაუზენი - კრუსი.
**გაძევება:** ლუკიმია (77. ვერდერი)
**გაფრთხილება:** არნაუტოვიჩი, ჰანტი - ილსიო, გიფერი, ლამბერტცი
**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 22(6)-4(3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.
**მაყურებელი:** 42 100

#### ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 1:3

**გოლები:** 0:1 ჰასებე (7), 0:2 დოსტი (24), 0:3 ნალდო (78), 1:3 დერდიოკი (88)
**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** ვიზე – ჯონსონი, დელპიერი, იენსენი (77. შიპლოკი), ბეკი – რუდი, უილიამსი (46. გრიფო) – სალიჰოვიჩი, ფოლანდი, ფირმინო – ხოსელუ (67. დერდიოკი)
**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო – ფაგნერი, ნალდო, კიაერი, შეფერი – პოლაკი, ჟოსუე (82. მადლუნგი) – ჰასებე, დიეგო, ოლიჩი (89. კალენბერგი) – დოსტი (90+1. იონსონი)
**გაფრთხილება:** რუდი, იენსენი - ჟოსუე
**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16(7)-6(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%
**მაყურებელი:** 20 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 12 | 10 | 1 | 1 | 33-5 | 31 |
| 2. შალკე | 12 | 7 | 2 | 3 | 22-14 | 23 |
| 3. აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 25-18 | 23 |
| 4. ბორუსია (დ) | 12 | 6 | 4 | 2 | 26-13 | 22 |
| 5. ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-17 | 21 |
| 6. ჰანოვერი | 12 | 5 | 2 | 5 | 25-20 | 17 |
| 7. ვერდერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-18 | 17 |
| 8. მაინცი | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 9. ჰამბურგი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-14 | 17 |
| 10. ფრაიბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-14 | 16 |
| 11. ბორუსია (მ) | 12 | 4 | 4 | 4 | 18-23 | 16 |
| 12. შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 14-20 | 16 |
| 13. ვოლფსბურგი | 12 | 4 | 2 | 6 | 12-19 | 14 |
| 14. ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 3 | 6 | 18-26 | 12 |
| 15. ნიურნბერგი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-18 | 12 |
| 16. ფორტუნა | 12 | 2 | 5 | 5 | 11-18 | 11 |
| 17. ფიურტი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-23 | 7 |
| 18. აუგსბურგი | 12 | 1 | 3 | 8 | 8-22 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი); 8 - კისლინგი (ლევერკუზენი), სალაი (მაინცი); 7 - ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), თ. მიულერი (ბაიერნი).

#### II ბუნდესლიგა

XIV ტური

**კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი 1:0**
**გოლი:** 1:0 ცუკი (13)

**დინამო-ფრანკფურტი 2:1**
**გოლები:** 1:0 შუპანი (5), 2:0 შუპანი (15-პენ), 2:1 ლეკიე (64)

**მიუნხენ 1860-კიოლნი 0:2**
**გოლები:** 0:1 მაკენა (3), 0:2 ჩიპი (75)

**ბრაუნშვაიგი-ინგოლშტადტი 3:0**
**გოლები:** 1:0 კუმბელა (38), 2:0 კუმბელა (75), 2:1 კორტე (81)

**აალენი-პადერბორნი 0:1**
**გოლი:** 0:1 გულდე (58)

**დუისბურგი-აუე 2:1**
**გოლები:** 1:0 ბროზინსკი (29), 1:1 ჰოხშაიდტი (42), 2:1 ბრანდი (66)

**ბოხუმი-ზანდჰაუზენი 5:2**
**გოლები:** 0:1 ლიონინგი (5), 1:1 დედიჩი (20), 1:2 ლიონინგი (23), 2:2 მალტრიტცი (40), 3:2 დედიჩი (44), 4:2 რჟატკოვსკი (51), 5:2 რჟატკოვსკი (71)

**რეგენსბურგი-უნიონი 3:3**
**გოლები:** 1:0 მაჩადო (27), 2:0 სემბოლო (28), 2:1 ტეროდე (31), 2:2 ტეროდე (56), 2:3 ჟოპეკი (75), 3:3 ამაჩაიბუ (81)

**ჰერტა-ზანკტ პაული** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 14 | 10 | 4 | 0 | 25-6 | 34 |
| 2. კაიზერსლ. | 14 | 7 | 7 | 0 | 27-16 | 28 |
| 3. ჰერტა | 13 | 7 | 5 | 1 | 25-12 | 26 |
| 4. კოტბუსი | 14 | 7 | 4 | 3 | 20-13 | 25 |
| 5. ინგოლშტადტი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-16 | 23 |
| 6. პადერბორნი | 14 | 6 | 4 | 4 | 21-14 | 22 |
| 7. ფრანკფურტი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-17 | 21 |
| 8. მიუნხენ 1860 | 14 | 5 | 5 | 4 | 15-12 | 20 |
| 9. აალენი | 14 | 6 | 2 | 6 | 15-13 | 20 |
| 10. უნიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 19-19 | 17 |
| 11. კიოლნი | 14 | 4 | 5 | 5 | 15-17 | 17 |
| 12. ზანკტ პაული | 13 | 3 | 6 | 4 | 13-16 | 15 |
| 13. ბოხუმი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-25 | 14 |
| 14. აუე | 14 | 3 | 4 | 7 | 17-21 | 13 |
| 15. დინამო | 14 | 3 | 3 | 8 | 16-23 | 12 |
| 16. დუისბურგი | 14 | 3 | 3 | 8 | 11-24 | 12 |
| 17. რეგენსბურგი | 14 | 3 | 1 | 10 | 17-25 | 10 |
| 18. ზანდჰაუზენი | 14 | 2 | 3 | 9 | 13-32 | 9 |

**ბომბარდირები:** 9 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი); 8 - სანოგო (კოტბუსი); 7 - კრუპკე (ბრაუნშვაიგი)

#### III ბუნდესლიგა

**ჰაიდენჰაიმი-ზაარბრიუკენი 3:0, ბურგჰაუზენი-ბაბელსბერგი 3:1, ოსნაბრიუკი-არმინია 0:0, შტუტგარტი II-ალემანია 2:1, ჰალეშერი-ბორუსია (დ) II 0:1, ვეენი-ოფენბახი 2:1, ჰანზა-კარლსრუე 0:3, ხემნიტცი-შტუტ. კიკერსი 2:0, პროისენი-უნტერჰახინგი 0:0, დარმშტადტი-ერფურტი 0:1.**

#### თურქეთი

##### სუპერლიგა. XII ტური

**გალათასარაი-ქარაბიუქი 1:3**
გოლები: 0:1 იოზეკი (22), 1:1 ბ. ილმაზი (31), 1:2 მ. ილდიზი (34), 1:3 პარლაკი (90)

**ბუიუქშეჰირი-ელაზიგი 1:1**
გოლები: 1:0 სოკულუ (22), 1:1 გიურლერი (90)

**ესქიშეჰირი-ფენერბაჰჩე 1:1**
გოლები: 1:0 ათესი (45-პენ), 1:1 სოუ (57)

**გენჩლერბირლიგი-სივასი 1:1**
გოლები: 0:1 პედრიელი (19), 1:1 მერიჩი (70-პენ)

**ქაისერი-გაზიანთეფი 1:1**
გოლები: 1:0 ს. ილმაზი (45), 1:1 თოსუნი (90)

**ახიშარი-კასიმფაშა 0:2**
გოლები: 0:1 პურმაჩი (73), 0:2 ჯალმა (85)

**ბურსა-მერშინი 3:0**
გოლები: 1:0 კირაზი (43), 2:0 ნდიაე (73-პენ), 3:0 ბელუში (93-პენ)

**ანთალია-ბეშიქთაში 3:5**
გოლები: 0:1 ალმეიდა (6), 1:1 პრომისე (21), 1:2 ალმეიდა (43), 1:3 შაჰანი (47), 2:3 დიარა (50), 2:4 ალმეიდა (69), 3:4 სისმანოგლუ (83), 3:5 ფერნანდეში (94)

**ორდუ-ტრაბზონი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 12 | 6 | 4 | 2 | 27-17 | 22 |
| 2. ანთალია | 12 | 7 | 1 | 4 | 23-18 | 22 |
| 3. კასიმფაშა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-12 | 20 |
| 4. ფენერბაჰჩე | 12 | 5 | 5 | 2 | 16-11 | 20 |
| 5. ბეშიქთაში | 12 | 5 | 4 | 3 | 27-19 | 19 |
| 6. ესქიშეჰირი | 12 | 5 | 3 | 4 | 22-15 | 18 |
| 7. გენჩლერბირ. | 12 | 4 | 6 | 2 | 21-15 | 18 |
| 8. ბურსა | 12 | 4 | 5 | 3 | 20-15 | 17 |
| 9. ორდუ | 11 | 4 | 5 | 2 | 15-12 | 17 |
| 10. ტრაბზონი | 11 | 4 | 4 | 3 | 11-8 | 16 |
| 11. სივასი | 12 | 4 | 4 | 4 | 13-15 | 16 |
| 12. ქარაქბიუქი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-22 | 15 |
| 13. ქაისერი | 12 | 4 | 2 | 6 | 16-20 | 14 |
| 14. ბუიუქშეჰირი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-15 | 12 |
| 15. გაზიანთეფი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-19 | 12 |
| 16. ახიშარი | 12 | 2 | 4 | 6 | 7-19 | 10 |
| 17. მერშინი | 12 | 1 | 6 | 5 | 13-21 | 9 |
| 18. ელაზიგი | 12 | 1 | 6 | 5 | 8-23 | 9 |

ბომბარდირები: 9 - უმუთ ბულუთი (გალათასარაი); 7 - ნობრე (მერშინი), ბ. ილმაზი (გალათასარაი).

ესპანეთი. ლა ლიგა. XII ტური

# მესიმ ტურბო ჩართო

## ბერნაბეუზე ბასკთა სიამაყე დაარბიეს

12 თამაშიდან 11 მოგება და ფრე: ასეთი სტარტი მხოლოდ „ბარსას" მოსისხლე მტერ „რეალს" ჰქონდა 1991-92 წლების სეზონში - ტიტო ვილანოვას გუნდი ფანტასტიკურად თამაშობს, რაშიც ლომის წილი უთუოდ ლეო მესიმ დაიდო - 12 ტურში მან 17 გოლი გაიტანა! ახლა მესი 5 გოლით უსწრებს კრიშტიანო რონალდოს „პიჩიჩისთვის" ბრძოლაში, ხოლო „ბარსასა" და „რეალს" შორის 8-ქულიანი სტატუსკვო შენარჩუნებულია.

### მსაჯის და მეკარის წყალობით

„მალაგას" მოუგებელი სერია ლა ლიგაში 4 მატჩამდე გაგრძელდა, მას მერე, რაც „რეინო დე ნავარაზე" ანდალუსიურმა კლუბმა ვერაფერი მოუხერხა აუტსაიდერ „ოსასუნას". ის კი არა, რომ არა **ვილი კაბალიეროს** ორი „სეივი" ბოლო წუთებზე, **მანუელ პელეგრინის** გუნდი შინ სულაც ხელცარიელი ნავიდოდა. სხვათა შორის, „ოსასუნა" უკვე მე-2 წუთზე დაწინაურდებოდა, **ესტრადა ფერნანდესის** თანაშემწეს თამაშგარე მდგომარეობა რომ არ მოეგონებინა - **კიკე სოლას** მსაჯებმა ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს. ბოლო ხუთწუთეულში კაბალიერომ იმავე კიკე სოლას და **ალვარო სეხუდოს** საგოლე დარტყმები აულო. სხვათა შორის, გოლი „მალაგასაც" არ ჩაუთვალეს, მაგრამ ამჯერად მართებულადაც - **ელიზეუს** ჩაწოდებისას **ხოაკინი** თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

### აქაც მსაჯი

„ვალენსიასა" და „ესპანიოლის" მატჩის მეორე ტაიმს არ შეეხედებოდა - უხეშობა ორივე მხრიდან, 7 ყვითელი და 2 წითელი ბარათი - ასეთია ამ 45-წუთეულის „მონაგარი", თუ არ ჩავთვლით **რობერტო სოლდადოს** გადამწყვეტ გოლს პენალტის ნიშნულიდან, რომელმაც „ღამურებს" მოაგებინა. მაგრამ პენალტი ძალზე საეჭვო იყო მექსიკელ **ექტორ მორენოს** ხელზე კი არა უფრო მკერდზე მოხვდა ბურთი. მსაჯთან კამათისთვის კი მორენო და **სერხიო გარსია** გააძევეს, „ესპანიოლმა" მატჩი 9 კაცით დაასრულა - 2:1. პირველი ტაიმი უფრო წააგავდა ფეხბურთს, **ჟონასის** პასით **ვიერამ** გახსნა ანგარიში, ხოლო **ვერდიუს** პასით **ლონგომ** გაათანაბრა. გამარჯვების მიუხედავად, „მესტალიამ" თავის გუნდს უსტვინა.

### მცირე სისხლით

„ბარსელონას" ფეხბურთელებმა სულ სამჯერ დაარტყეს მეკარე **რობერტოს** კარში ზუსტად და სამი გოლი გაიტანეს, აქედან ორი **ლიონელ მესის** ანგარიშზე მოდის, რომელსაც 2012 წელს უკვე 78 გოლი აქვს გატანილი, **ალექს სონგსაც** საგოლე პასი არგენტინელმა გაუკეთა. „სარაგოსას" 3:1 დამარცხებით **ტიტო ვილანოვას** გუნდი აგრძელებს ერთპიროვნულ ლიდერობას. „ბარსას" დაცვის ცენტრში **პიკე-პუიოლის** წყვილი დაუბრუნდა, თუმცა ორივე შორსაა საუკეთესო ფორმისგან.

### გოლთაცვენა და იმედგაცრუებული რონალდო

**ქარიმ ბენზემამ** ბენეფისი მოიწყო, ხოლო „სამეფო კლუბმა" ქვა-ქვაზე არ დატოვა ბასკური კლუბისგან - 5:1. ერთადერთი ვინც უკმაყოფილო დარჩებოდა მასპინძელთა შორის **კრიშტიანო რონალდოა** - მიუხედავად, ხუთი გოლისა, პორტუგალიელის ანგარიშზე ერთიც არაა, არადა ის11-ჯერ (!) დაემუქრა **გორკა ირაისოსის** კარს. ბენზემამ დუბლი შეასრულა, თუმცა შემდეგ ოფიციალურად „რეალის" პირველი გოლი **აურტენეჩეს** ავტოგოლად ჩათვალეს, **სერხიო რამოსმა** თავით გაიტანა, თავი გამოიჩინეს მადრიდელთა გერმანელებმაც. მოკლედ, „ბილბაოს" კარში ყველამ გაიტანა ვისაც არ დაეზარა... რონალდოს გარდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს **ლუკა მოდრიჩის** კარგი თამაში, ალბათ საუკეთესოც კი ხორვატის მადრიდულ კარიერაში.

### ნახევარმცველი კარში

„დეპორტივოს" ძალზე უიღბლო დღე ჰქონდა - „ლევანტესთან" მატჩის პირველ 15 წუთში ლაკორუნიელთა ორივე ცენტრალური მცველი (**მარჩენა და ზე კაშტრო**) გამოსაცვლელი შეიქნა, მეორე ტაიმში კი გუნდს, როცა შეცვლების ლიმიტი ამოწურული იყო, მეკარე **არანსუბია** გაუძევეს. კარში ჩადგომა ნახევარმცველ **ალეხანდრო ბერგანტინოსს** მოუწია. იმ დროისთვის „დეპორი" უკვე აგებდა შეცვლაზე შემოსული ცენტრალური მცველების შეცდომის გამო (გოლი **ობაფემი მარტინსმა** გაიტანა), ხოლო მასპინძელთა ფორვარდმა **რიკიმ მოასწრო** პენალტის გაცუდება. ბერგანტინოსმა მეკარედ ვერ ივარგა, კარში ჩადგომიდან 12 წუთში მან **ბარკეროს** შორეული დარტყმა გაუშვა - 0:2. გალისიური კლუბი გასავარდნ ზონაში დარჩა.

### ატლეტიკო კვალს არ კარგავს

„მალიორკამ" 6-მატჩიანი წაგებათა სერია ვიგოში „სელტასთან" ფრით შეწყვიტა. ებრაელმა **ტომერ ჰემედმა** დააწინაურა სტუმრები, თუმცა კორეელმა **პარკ ჩუ-იუნმა** გაათანაბრა. მადრიდში „ხეტაფემ" რთული თამაში შემოატრიალა, „ვალიადოლიდი" **ოსკარის** გოლით იგებდა, მაგრამ შანსები ვერ გამოიყენა და დაისაჯა, **ალექსისმა** და შეცვლაზე შესულმა **ლაფიტამ** მასპინძლებს მოაგებინეს. ათ-კაციანმა „ატლეტიკომ" **არდა თურანის** გოლის წყალობით აჯობა „გრანადას" და ლიდერთან 3-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**მომდევნო ტური**

23 ნოემბერი: **რეალ სოსიედადი-ოსასუნა.**

24 ნოემბერი: **რაიო ვალეკანო-მალიორკა, ვალიადოლიდი-გრანადა, მალაგა-ვალენსია, ბეტისი-რეალი.**

25 ნოემბერი: **ესპანიოლი-ხეტაფე, ბილბაო-დეპორტივო, ატლეტიკო-სევილია, ლევანტე-ბარსელონა.**

26 ნოემბერი: **სარაგოსა-სელტა.**



ბასკებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, თუმცა რონალდოს მაინც არ გაატანინეს

### ოსასუნა-მალაგა 0:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - დამია, არიბასი, ფლანიო, ნანო - ლო, ტიმორი (75. ოიერი) - სეხუდო, სისი, ლამა (69. რ. ტორესი) - კიკე სოლა (86. ომვუ).

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიქელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ტულალანი, ნაჩო კამაჩო - ხოაკინი, ისკო (81. დუდა), პორტილიო - სავიოლა (70. სანტა კრუსი).

**გაფრთხილება:** დამია, ომვუ, ლო, არიბასი - ტულალანი

**კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 5-10; **კარში დარტყმა:** 18-14 (8-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 17 900

### ვალენსია-ესპანიოლი 2:1

**გოლები:** 1:0 ვიერა (16), 1:1 ლონგო (31), 2:1 სოლდადო (89-პენ)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, რუისი, გუარდადო - ალბელდა (66. ბანეგა), ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი (79. ვალდესი), ვიერა (67. ბერნატი) - სოლდადო.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი - ვ. სანჩესი, რ. როდრიგესი, მორენო, ვ. ალვარესი - ფორლინი, კ. გომესი (70. ტეხერა) - ს. გარსია, ვერდიუ, ვაკასო - ლონგო (80. ალფონსო).

**გაფრთხილება:** ალბელდა, ჟონასი, სოლდადო, რუისი, კოსტა, გუარდადო, ბარაგანი - ალვარესი, როდრიგესი, ფორლინი, ვაკასო

**გაძევება:** მორენო (88), ს. გარსია (88)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 30-17; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 10-11 (6-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 45 900

### ბარსელონა-სარაგოსა 3:1

**გოლები:** 1:0 მესი (15), 1:1 მონტანიესი (23), 2:1 სონგი (28), 3:1 მესი (60)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მონტოია, პიკე, პუიოლი (74. ბარტრა), ალბა - ჩავი, სონგი, ინიესტა - პედრო (77. ფაბრეგასი), მესი, ვილია (60. ტელიო).

**სარაგოსა (4-4-2):** რობერტო - გონი, პინტერი, ალვარო, პარედესი - სუკულინი (57. ვილჩესი), მოვილია, აპონიო, მონტანიესი - არანდა (80. ბაბოვიჩი), ვ. როდრიგესი (72. პოშტიგა).

**გაფრთხილება:** სუკულინი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 6-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 78 500

### რეალი-ბილბაო 5:1

**გოლები:** 1:0 აურტენეჩე (12 ს.კ.), 2:0 სერხიო რამოსი (30), 3:0 ბენზემა (32), 3:1 ი. გომესი (42), 4:1 იოზილი (56), 5:1 ხედირა (72)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი - კალეხონი (69. დი მარია), იოზილი (61. ხედირა), რონადლო - ბენზემა (73. მორატა).

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, აურტენეჩე - იტურასპე, გურპეგი (79. კასტილიო) - სუსაეტა, მუნიაინი (ფ. ლორენტე), ი. გომესი - ადურისი (66. ტოკერო).

**გაფრთხილება:** რამოსი - ადურისი, იტურასპე, გურპეგი, სუსაეტა

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 29-11 (18-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 70 100

### დეპორტივო-ლევანტე 0:2

**გოლები:** 0:1 მარტინსი (40), 0:2 ბარკერო (82)

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, მარჩენა (7. აიტამი), ზე კაშტრო (13. აგილარი), აიოსე - ბერგანტინიოსი, ხ. დომინგესი (61. ბოდიპო) - გამა, ვალერონი, კამუნიასი - რიკი.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, ბარკერო - ელ-ზარი (76. პალიარდო), მიჩელი (56. ლელი), ხუანლუ - მარტინსი (81. ანხელი).

**გაფრთხილება:** არანსუბია, მარჩენა, რიკი, კამუნიასი, აიტამი, აგილარი - ლოპესი, ბარკერო, ელ ზარი

**გაძევება:** ლოპესი (54), არანსუბია (70)

**შენიშვნა:** რიკიმ (55) ვერ გაიტანა პენალტი

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 24-12 (4-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 29 800

### სელტა-მალიორკა 1:1

**გოლები:** 0:1 ჰემედი (22), 1:1 პარკი (56)

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, ვილა, ტუნიესი, ბელვისი - ოუბინია, ა. ლოპესი - ა. ფერნანდესი (63. დე ლუკასი), პარკი, კრონ-დელი (84. ტომასი) - ასპასი (72. ბერმეხო).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ჩ. ნავარო, ჟერომელი, ა. კონსეისაო, ბიგასი - პინა, ფონტასი (71. მარტი) - ნსუე, ვიქტორი, მ. პერეირა (71. არისმენდი) - ჰემედი (85. კევინი).

**გაფრთხილება:** ასპასი - ბიგასი, ჟერომელი, ფონტასი

**კუთხური:** 4-12; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-15 (2-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 19 800

### ხეტაფე-ვალიადოლიდი 2:1

**გოლები:** 0:1 ოსკარი (44), 1:1 ალექსისი (73), 2:1 ლაფიტა (77)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, ალექსისი, მანე - ხ. ტორესი, მიჩელი (57. ბარადა) - პედრო ლეონი, დ. კასტრო (57. ალვარო), გავილანი (66. ლაფიტა) - ალკასერი.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, რუედა, პენია, ბალენსიაგა - რუბიო (75. სასტრე), ვ. პერესი - ებერტი, ოსკარი, ომარი (80. ბუენო) - მანუჩო (68. გერა).

**გაფრთხილება:** გავილანი, ლოპო

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 19-13 (8-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 7 500

### გრანადა-ატლეტიკო 0:1

**გოლი:** 0:1 არდა თურანი (61)

**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ნიომი, დიახატე, ბ. გომესი, სიკეირა - ირინეი (75. ორტისი), მ. რიკო - ტორჯე (71. ორელიანა), ბრაიმი (71. იგჰალო), დ. ბენიტესი - ელ-არაბი.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, გაბი - არდა თურანი (72. ტიაგო), რ. გარსია (58. კოკე), ადრიან ლოპესი (46. დ. კოშტა) - ფალკაო.

**გაფრთხილება:** ირინეი, დიახატე - სუარესი, გოდინი, კოშტა, ფილიპე

**გაძევება:** მ. სუარესი (71)

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-12 (2-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 19 500

### სევილია-ბეტისი 5:1

**გოლები:** 1:0 რეიესი (1), 2:0 ფასიო (5), 3:0 რეიესი (32), 4:0 ფასიო (42), 4:1 რ. კასტრო (66), 5:1 რაკიტიჩი (90)

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - სისინიო, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, მადურო (77. ერვასი) - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, რეიესი (63. პეროტი) - ნეგრედო (83. ბ. დიავარა).

**ბეტისი (4-3-3):** ადრიანი - ნელსონი, პაულაუ, მარიო (47. ამაია), ა. მარტინესი - ბენიატი, კანიასი (27. ხ. პერეირა), რ. პერესი - პოსუელო, რ. კასტრო, ხუან კარლოსი (71. სევილია).

**გაფრთხილება:** სპაჰიჩი, პალოპი, მედელი - პაულაუ, პოსუელო, პერესი

**გაძევება:** რ. პერესი (62)

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-4 (15-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 22 000

### სოსიედადი-ვალეკანო დღეს. 00:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 39-15 | 34 |
| 2. ატლეტიკო | 12 | 10 | 1 | 1 | 25-11 | 31 |
| 3. რეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 32-9 | 26 |
| 4. ლევანტე | 12 | 6 | 2 | 4 | 15-16 | 20 |
| 5. მალაგა | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 6. ბეტისი | 12 | 6 | 1 | 5 | 19-21 | 19 |
| 7. სევილია | 12 | 5 | 3 | 4 | 18-15 | 18 |
| 8. ვალენსია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-14 | 18 |
| 9. ხეტაფე | 12 | 5 | 1 | 6 | 14-19 | 16 |
| 10. ვალეკანო | 11 | 5 | 1 | 5 | 16-25 | 16 |
| 11. ვალიადოლიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-14 | 15 |
| 12. სარაგოსა | 12 | 5 | 0 | 7 | 15-21 | 15 |
| 13. ბილბაო | 12 | 4 | 2 | 6 | 17-26 | 14 |
| 14. სოსიედადი | 11 | 4 | 1 | 6 | 12-16 | 13 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 13-20 | 12 |
| 16. სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 14-18 | 11 |
| 17. გრანადა | 12 | 3 | 2 | 7 | 11-19 | 11 |
| 18. დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 18-27 | 10 |
| 19. ოსასუნა | 12 | 2 | 3 | 7 | 11-15 | 9 |
| 20. ესპანიოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 13-20 | 9 |

ბომბარდირები: 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - არიც ადურისი (ბილბაო).

### სეგუნდა დივიზიონი. XIV ტური

**სპორტინგი-პონფერადინა 2:3**

გოლები: 1:0 სანგოი (18), 1:1 აკორანი (23), 2:1 დ. როდრიგესი (25), 2:2 იური (57-პენ), 2:3 ნანო (90)

გაძევება: სამუელი (81. პონფერადინა)

**რასინგი-ვილიარეალი 0:3**

გოლები: 0:1 ტრიგეროსი (33), 0:2 უჩე (39), 0:3 უჩე (53)

**მურსია-ბარსელონა II 1:0**

გოლი: 1:0 მატილია (28)

**ლუგო-ჟირონა 1:2**

გოლები: 0:1 აკუნია (8), 1:1 დიასი (69), 1:2 ლუსო (75)

**ლას პალმასი-ხერესი 1:1**

გოლები: 1:0 გერერო (31), 1:1 რედონდო (58)

**კორდობა-ერკულესი 1:2**

გოლები: 0:1 კაბრერა (9), 1:1 ხუანრა (32 ს.კ.), 1:2 სარდინერო (82)

**უელვა-საბადელი 2:5**

გოლები: 1:0 ვალე (20), 1:1 ლანსაროტე (22-პენ), 1:2 იდალგო (35), 2:2 ჩული (64), 2:3 დავილა (68), 2:4 არტეაგა (73-პენ), 2:5 დავილა (81)

გაძევება: ვეგა (21. უელვა), პარდო (72. უელვა)

**ელჩე-ალკორკონი 1:0**

გოლი: 1:0 პაუელი (68)

**უესკა-გვადალახარა 2:1**

გოლები: 0:1 აკზორა (26), 1:1 სპეციე (53), 2:1 ნაჩო ნოვო (58)

გაძევება: ნაჩო ნოვო (61. უესკა)

**მირანდესი-რეალი II 0:0**

გაძევება: კანედა (24. მირანდესი)

**ნუმანსია-ალმერია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 14 | 10 | 2 | 2 | 23-8 | 32 |
| 2. ჟირონა | 14 | 9 | 3 | 2 | 28-11 | 30 |
| 3. ალმერია | 14 | 8 | 4 | 2 | 23-13 | 28 |
| 4. ვილიარეალი | 14 | 7 | 5 | 2 | 18-11 | 26 |
| 5. ალკორკონი | 14 | 8 | 1 | 5 | 20-15 | 25 |
| 6. საბადელი | 14 | 6 | 4 | 4 | 20-14 | 22 |
| 7. უელვა | 14 | 7 | 1 | 6 | 21-26 | 22 |
| 8. მურსია | 14 | 6 | 3 | 5 | 17-14 | 21 |
| 9. კორდობა | 14 | 6 | 3 | 5 | 17-16 | 21 |
| 10. ბარსელონა II | 14 | 6 | 2 | 6 | 28-23 | 20 |
| 11. ხერესი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-19 | 19 |
| 12. ლას პალმასი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-23 | 19 |
| 13. რეალი II | 14 | 5 | 2 | 7 | 25-27 | 17 |
| 14. ნუმანსია | 14 | 3 | 7 | 4 | 13-16 | 16 |
| 15. პონფერადინა | 14 | 5 | 1 | 8 | 19-23 | 16 |
| 16. ლუგო | 14 | 4 | 4 | 6 | 13-19 | 16 |
| 17. უესკა | 14 | 3 | 6 | 5 | 14-17 | 15 |
| 18. სპორტინგი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| 19. რასინგი | 14 | 3 | 5 | 6 | 9-13 | 14 |
| 20. მირანდესი | 14 | 2 | 5 | 7 | 11-16 | 11 |
| 21. ერკულესი | 14 | 3 | 2 | 9 | 10-23 | 11 |
| 22. გვადალახარა | 14 | 2 | 3 | 9 | 15-27 | 9 |

ბომბარდირები: 8 - იური (პონფერადინა); 7 - ხოსე როდრიგესი (რეალი II).

### ბელგია

**ჟუპილერლიგა. XVI ტური**

| | |
|---|---|
| ს. ბრიუგე-გენკი | 3:1 |
| შარლერუა-მეხელენი | 1:1 |
| ლიერსი-გენტი | 2:0 |
| ლუვენი-მონსი | 1:3 |
| ბევერენი-ბრიუგე | 2:6 |
| ვარეგემი-სტანდარდი | 0:0 |
| ანდერლეხტი-კორტრიიკი | 1:0 |
| ლოკერენი-ბეერსხოტი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 16 | 10 | 4 | 2 | 36-14 | 34 |
| 2. ვარეგემი | 16 | 9 | 3 | 4 | 27-18 | 30 |
| 3. ლოკერენი | 16 | 9 | 3 | 4 | 27-19 | 30 |
| 4. გენკი | 16 | 7 | 7 | 2 | 29-20 | 28 |
| 5. ბრიუგე | 16 | 7 | 4 | 5 | 37-31 | 25 |
| 6. კორტრიიკი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-14 | 25 |
| 7. მონსი | 16 | 7 | 3 | 6 | 30-31 | 24 |
| 8. ლუვენი | 16 | 6 | 6 | 4 | 32-25 | 24 |
| 9. სტანდარდი | 16 | 7 | 2 | 7 | 28-24 | 23 |
| 10. გენტი | 16 | 5 | 5 | 6 | 20-25 | 20 |
| 11. მეხელენი | 16 | 5 | 4 | 7 | 25-26 | 19 |
| 12. ბეერსხოტი | 16 | 5 | 2 | 9 | 21-28 | 17 |
| 13. ლიერსი | 16 | 3 | 7 | 6 | 18-26 | 16 |
| 14. შარლერუა | 16 | 4 | 3 | 9 | 15-30 | 15 |
| 15. ს. ბრიუგე | 16 | 3 | 2 | 11 | 20-35 | 11 |
| 16. ბევერენი | 16 | 2 | 5 | 9 | 15-32 | 11 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური




ადებაიორმა გაუგონარი უხეშობით ტოტენჰემი დაალალატა

# სიტიმ იუნაიტედი ჩამოაქვეითა

## დერბი: ტოტენჰემი ადებაიორმა დაალალატა

**"არსენალმა" "ტოტენჰემი" გაანადგურა. "დეზები" 72 წუთის განმავლობაში რიცხვნაკლულნი თამაშობდნენ, მაგრამ მათ ეს ცოდვა ემანუელ ადებაიორს უნდა მოჰკითხონ, ვინც სანტი კასორლას წინააღმდეგ ქუჩური ჩხუბის ელემენტი გამოიყენა, როცა ესპანელზე გაშლილი ფეხით წავიდა. ჰოვარდ ვებმა ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო: ტოგოელი მინდვრიდან მიაბრძანა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს პრემიერლიგაში 4 წითელი ბარათი აქვს. 4-დან 3-ჯერ ის სწორედ ვებმა გააძევა.**

### არსენალის ალალი სამი ქულა

თამაში სტუმართა უპირატესობით დაიწყო. **ვილიამ გალასმა** მე-9 წუთზე თამაშგარედან გაიტანა, რაც, ცხადია, არ ჩაითვალა. ერთ წუთში კი ანგარიში ადებაიორმა გახსნა. მან **ვოიცეხ შჩესნის** მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა. მალე **აარონ ლენონს** მართებდა უპირატესობის გაზრდა, მაგრამ ბურთი ძელს ოდნავ ააცილა. სწორედ ამ დროს უღალატა გუნდს ტოგოელმა, რის შემდეგაც "მეთოფეებმა" ბრძოლის ველი მთლიანად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. **პერ მერტეზაკერმა** ისეთ სტილში გაიტანა, რომ მის ავტორობას ნებისმიერი თავდამსხმელი მოაწერდა ხელს. გერმანელის თავური ზუსტად იმ კუთხეში წავიდა, რომელსაც **უგო ლორისი** აკონტროლებდა, მაგრამ ფრანგმა გუნდი მაინც ვერ იხსნა. ტაიმის მიწურულს "არსენალმა" 3 წუთში 2 გოლი გაიტანა. ჯერ **ლუკას პოდოლსკიმ** გამოიჩინა თავი, მერე კასორლამ უკვე **ოლივიე ჟირუს** გაატანინა. მეორე ნახევარში მასპინძელს შეტევები არ შეუნელებია. მე-60 წუთზე **თეო უოლკოტი**-პოდოლსკის კომბინაცია კასორლამ დააგვირგვინა. სტუმართაგან რეალურად მხოლოდ **გარეთ ბეილი** იბრძოდა ბოლომდე. უელსელმა ერთი ბურთი გაქვითა, მეორის შანსიც ჰქონდა, მაგრამ შჩესნიმ ბოლო წამს ბურთს ფეხი დაახვედრა და მოიგერია. დერბის **ალექს-ოქსლეიდ-ჩემბერლენის** პასით უოლკოტმა ბოლო წუთზე დაუსვა წერტილი.

### დი მატეოს საფიქრალი

"ჩელსიმ" ბოლო თამაში პრემიერლიგაში ერთი თვის წინ მოიგო "ტოტენჰემთან". მას მერე "ლურჯებმა" ორჯერ ფრედ ითამაშეს და ორჯერაც დამარცხდნენ. მე-8 ტურის მერე **რობერტო დი მატეოს** გუნდის მიერ მოპოვებული 4-ქულიანი უპირატესობა უკვე 4-ქულიან ჩამორჩენად გადაიქცა. თამაშის შემდეგ ლონდონელთა იტალიელმა თავკაცმა განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს, შარშანდელ სათამაშო სისტემაზე დაბრუნებაზე, რაც დაცვაზე მეტი აქცენტის გადატანას გულისხმობს. რამდენად რეალურია ამის გაკეთება? ეჭვი გვეპარება ამ საქმიდან რამე გამოვიდეს, რადგან "ჩელსის" ამის საშუალებას მისი შემტევი შემადგენლობა არ მისცემს. თუმცა დი მატეომ თავისი საქმისა თვითონ იცის.

პირველი რეალური საგოლე სიტუაცია მე-8 წუთზე შეიქმნა, როცა **რაიან ბერტრანის** დარტყმა **ლაიამ რიჯუელმა** კარის ხაზიდან გამოიტანა. ანგარიში მოულოდნელად გაიხსნა. **ჯეიმს მორისონმა** იდეალური გადაცემა გაუკეთა **შეინ ლონგს**. მასპინძელთა ლიდერმა სეზონში მე-6 გოლი თავით გაიტანა. იმავე ლონგს 35-ე წუთზეც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ კეჰილთან ფლანგზე "ქიდაობის მოგების" შემდეგ ცენტრისკენ შეწეულს კიდევ ერთი მცველი გადაეღობა და კარს ველარ დაუმიზნა. 39-ეზე ანგარიში გათანაბრდა. **ედენ აზარმა სესარ ასპილიკუეტა** საწინააღმდეგო ფლანგზე მოძებნა, თავად კარისკენ დაიძრა და ესპანელის პასი **ბოაზ მაიჰილს** ახლო კუთხეში თავურით შეუგდო. მეორე ტაიმი **დენიელ სტარიჯის** სახიფათო დარტყმით დაიწყო. მასპინძელთა უელსელმა მეკარემ ამჯერად უკვე ბრწყინვალედ ითამაშა. 50-ე წუთზე მატჩის გმირმა ლონგმა მარჯვენა ფლანგიდან **პიტერ ოდემვინგეს** თავზე "დაასვა" ბურთი. ვეტერან ნიგერიელს ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია. "ჩელსი" ნაგებას არ შეეგუა და მთლიანად შეტევაზე გადაერთო. სტარიჯს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ მას ერთხელ მაიჰილმა აუღო, მეორედ კი სიზუსტემ უმტყუნა. სტუმრები საჯარიმოში **ვიქტორ მოზესის** წაქცევისთვის პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ **მაიკლ ოლივერმა** სხვაგვარად განსაჯა.

### ეს უკვე რაღაცას ნიშნავს

"ლივერპული"-"უიგანის" პირველი 45 წუთი უინტერესოდ წარიმართა. პირველი საინტერესო ეპიზოდი მხოლოდ ტაიმის შუანელს მოხდა, როცა **ალი ალ-ჰაბსიმ სუსოს** დარტყმული აიღო. 32-ე წუთზე **რაჰემ სტერლინგისა** და **ბენ უოტსონის** საჰაერო ორთაბრძოლაში უკანასკნელმა ფეხი მოიტეხა, რისთვისაც "ლივერპულის" 17 წლის ვარსკვლავმა თამაშის შემდეგ მეტოქეს პატიება სთხოვა. მეორე ტაიმში ანგარიში მალევე გაიხსნა. სტერლინგმა **მეინორ ფიგეროას** მისამართით გაკეთებული პასი ჩაჭრა და **ლუის სუარესს** იდეალურ პოზიციაში დაუგორა. 59-ე წუთზე ურუგვაელი **ხოსე ენრიკეს** პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა და ისე გაიტანა. 65-ე წუთზე სტერლინგის დარტყმა ალ-ჰაბსიმ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე პირველი ბურთთან ხოსე ენრიკე გაჩნდა. სტუმარს შეეძლო პრესტიჟის გოლის გატანა, თუმცა **არუნა კონემ** წარმოუდგენელი მომენტი გააფუჭა: ორი მეტრიდან ძელს მოარტყა.

### ცოტა ხელი წაშველა

ტურის წინა მიმოხილვაში ამ მატჩის პროგნოზში დავწერეთ, რომ, წესით, მასპინძელს ორი ან მეტი ბურთით უნდა მოეგო. ასე რომ, "ეტიჰადზე" ბირმინგემელების რბევა გამოვიცანით. ვფიქრობთ, ანგარიშიდან გამომდინარე შეხვედრაზე დაწვრილებით წერა არ ღირს, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მთავარმა არბიტრმა **ჯონათან მოსმა** და მისმა თანაშემწე **საიმონ ბეკმა ბრედ გუზანის** კარში ერთი აბსურდული და ერთიც საეჭვო პენალტი დანიშნეს. დარწმუნებულები ვართ, **რობერტო მანჩინის** გუნდი ისედაც გაიმარჯვებდა. სამწუხაროა, რომ მსაჯებმა მშვენიერ სანახაობას თავისი ცუდი კვალი დაატყვეს.

### ცუდი იუნაიტედი

"იუნაიტედმა" მთელი თამაშის განმავლობაში თითებზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტები შექმნა. გვახსენდება მხოლოდ **რობინ ვან პერსის, დენი უელბეკისა და... სებასტიან ბასონგის** დარტყმები. უკანასკნელი საკუთარ კარში, ბუნებრივია, შემთხვევით ურტყამდა. და პირიქით, მაქსიმალურად იყო მობილიზებული მასპინძელი. "იადონებს" **ენტონი პიკლინგტონის** ბრწყინვალე გოლის გარდა კიდევ შეეძლოთ გატანა. **ჯონათან ჰოუსონი** მეკარეს პირისპირ შეეყარა, თუმცა შორეული დარტყმით მომენტი ქარს გაატანა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

#### მომდევნო ტური

**24 ნოემბერი:** სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-ნორვიჩი, მანჩესტერ იუნაიტედი-ქუინზ პარკი, სტოკ სიტი-ფულჰემი, უიგანი-რედინგი, ასტონ ვილა-არსენალი

**25 ნოემბერი:** სუონსი-ლივერპული, საუთჰემპტონი-ნიუკასლი, ჩელსი-მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი-ვესტ ჰემი

## შოტლანდია

#### პრემიერლიგა. XIV ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-კილმარნოკი | 3:3 |
| აბერდინი-სელტიკი | 0:2 |
| დანდი-ჰიბერნიანი | 3:1 |
| ჰართსი-სტ. მირენი | 1:0 |
| სტ. ჯონსტონი-როს ქაუნთი | 1:1 |
| ინვერნესი-მოზერველი | 1:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 13 | 7 | 4 | 2 | 24-12 | 25 |
| 2. ჰიბერნიანი | 14 | 7 | 3 | 4 | 26-20 | 24 |
| 3. აბერდინი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-14 | 21 |
| 4. მოზერველი | 14 | 5 | 5 | 4 | 22-19 | 20 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-18 | 20 |
| 6. კილმარნოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 23-18 | 19 |
| 7. ინვერნესი | 14 | 4 | 7 | 3 | 27-26 | 19 |
| 8. ჰართსი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-14 | 17 |
| 9. დანდი იუნ | 13 | 4 | 5 | 4 | 16-18 | 17 |
| 10. როს ქაუნთი | 14 | 3 | 7 | 4 | 16-20 | 16 |
| 11. სტ. მირენი | 14 | 3 | 3 | 8 | 17-27 | 12 |
| 12. დანდი | 14 | 3 | 2 | 9 | 9-24 | 11 |

#### არსენალი-ტოტენჰემი 5:2

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (10), 1:1 მერტეზაკერი (24), 2:1 პოდოლსკი (42), 3:1 ჟირუ (45), 4:1 კასორლა (60), 4:2 ბეილი (71), 5:2 უოლკოტი (90)

**არსენალი** (4-3-3): შჩესნი – ვერმალენი, კოშელნი, მერტეზაკერი, სანია – უილშირი (71. რემსი), არტეტა, კასორლა – პოდოლსკი (80. სანტოსი), ჟირუ (86. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), უოლკოტი

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი (46. დოუსონი), გალასი, ვერტონგენი, ნაუტონი (46. დემპსი) – ლენონი, სანდრო, ჰადლსტოუნი (71. ჯერმეინ), ბეილი – დეფო, ადებაიორი

**გაფრთხილება:** პოდოლსკი – ლენონი, სანდრო

**გაძევება:** ადებაიორი (18)

**კარში დარტყმა:** 11-4 (8-2) **კუთხური:** 6-6 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 13-12 **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 60 111

#### ლივერპული-უიგანი 3:0

**გოლები:** 1:0 სუარესი (47), 2:0 სუარესი (58), 3:0 ხ. ენრიკე (66)

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – ხ. ენრიკე, შკრტელი, აგერი (82. კარაგერი), უისდომი – სტერლინგი, ალენი, ჯერარდი, გ. ჯონსონი – სუსო (36. ჰენდერსონი), სუარესი (87. შელვი)

**უიგანი** (4-4-2): ალ-ჰაბსი – რამისი, კოლდუელი (69. გომესი), გიგეროა, ბოისი – უოტსონი (32. ჯონსი), მაკარტი, ბოსეჟური, მელონი – დი სანტო (69. მაიჩი), კონე

**გაფრთხილება:** ფიგეროა, დი სანტო, კოლდუელი

**კარში დარტყმა:** 17-8 (7-2) **კუთხური:** 10-5 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 8-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 44 913

#### სიტი-ასტონ ვილა 5:0

**გოლები:** 1:0 დ. სილვა (42), 2:0 აგუერო (54-პენ), 3:0 ტევესი (65-პენ), 4:0 აგუერო (67), 5:0 (74)

**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – კლიში (73. კოლაროვი), ნასტასიჩი, კომპანი, მაიკონი – ბერი, ი. ტურე – ნასრი, ტევესი, დ. სილვა (76. სინკლერი) – აგუერო (68. ჯეკო)

**ასტონ ვილა** (4-3-3): გუზანი – ლოუტონი, ვლაარი, კლარკი, სტივენსი – ბენანი, ვესტვუდი, აირლანდი (62. ოლბრაიტონი) – ვაიმანი (62. ჰოლმენი), ბენტეკე (82. ბოუერი), აგბონლაჰორი

**გაფრთხილება:** ბენანი

**კარში დარტყმა:** 22-4 (11-2) **კუთხური:** 9-4 **თამაშგარე:** 1-4 **ჯარიმა:** 9-4 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 47 072

#### ნიუკასლი-სუონსი 1:2

**გოლები:** 0:1 მიჩუ (58), 0:2 დე გუზმანი (87), 1:2 ბა (90+2)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული - სანტონი, ტეილორი, უილიამსონი, სიმპსონი (75. ბიგირიმანა) – ფერგიუსონი (46. ს. ამეობი), ტიოტე, ანიტა, ბენ არფა – შ. ამეობი (80. მარვო), ბა

**სუონსი** (4-2-3-1): ტრემელი – რანხელი, უილიამსი, მონკი, დევისი – დე გუზანი, ბრიტონი – დაიერი (63. რუტლეჯი), მიჩუ (82. გრემი), ერნანდესი – შეხტერი (66. აგუსტინი)

**გაფრთხილება:** სანტონი – შეხტერი, ბრიტონი, რანხელი

**კარში დარტყმა:** 22-14 (9-8) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 6-8 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 49 403

#### ქუინზ პარკი-საუთჰემპტონი 1:3

**გოლები:** 0:1 ლამბერტი (23), 0:2 პანჩეონი (45), 1:2 ჰოილეტი (49), 1:3 ა. ფერდინანდი (83-ს.კ-ში)

**ქუინზ პარკი** (4-4-2): ჟულიო სეზარი – ტრაორე, ნელსენი, ა. ფერდინანდი, ბოსინგვა (74. ფაბიო) – ტაარაბტი, გრანერო, ფორლინი (46. მაკი), დიაკიტე (71. დერი) – ჯ. სისე, ჰოილეტი

**საუთჰემპტონი** (4-1-4-1): გასანიგა – კლაინი, ფონტე, იოშიდა, შოუ (74. ფოქსი) – შნაიდერლინი – კორკი, პანჩეონი, რამირესი (62. დევისი), ლალანა – ლამბერტი (90. როდრიგესი)

**გაფრთხილება:** ბოსინგვა

**კარში დარტყმა:** 10-16 (5-12) **კუთხური:** 4-13 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 11-9 **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 18 174

#### რედინგი-ევერტონი 2:1

**გოლები:** 0:1 ნეისმიტი (10), 1:1 ლე ფონდრე (51), 2:1 ლე ფონდრე (79)

**რედინგი** (4-4-2): ფედერიჩი – შორი, გორკსი, მორისონი, განტერი – მაკანუფი, ტაბი, ლიგერტვუდი, რობსონ-კანუ – ლე ფონდრე (81. ჰანტი), რობერტსი

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – კოულმენი, ჰეიტინგა, იაგიელკა, ბეინსი – ნეისმიტი (80. ოვიედო), ოსმანი, ფელაინი, ჰიტცლშპერგერი (82. ველიოსი) – პიენაარი - იელავიჩი

**გაფრთხილება:** რობერტსი, გორკსი, ჰანტა – კოულმენი, ფელაინი

**კარში დარტყმა:** 13-16 (3-7) **კუთხური:** 7-13 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 11-15 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 24 182

#### ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი 2:1

**გოლები:** 1:0 ლონგი (10), 1:1 აზარი (39), 2:1 ოდემვინგე (50)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): მაიჰილი – რიჯუელი, ოლსონი, ტამაში, ჯონსი – მულუმბუ, იაკობი – გერა (70. ბრანტი), მორისონი (70. დორანსი), ოდემვინგე – ლონგი (80. როსენბერგი)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ლუისი, კეჰილი, ბერტრანი – მიკელი (80. რამირესი), რომეუ (62. ოსკარი) – სტარიჯი, აზარი, მოზესი - ტორესი (63. მატა)

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 7-14 (5-7) **კუთხური:** 0-12 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 7-12 **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 25 933

#### ნორვიჩი-იუნაიტედი 1:0

**გოლი:** 1:0 პიკლინგტონი (60)

**ნორვიჩი** (4-2-3-1): რადი – გარიდო, ბასონგი, ტერნერი, უიტეკერი – ჯონსონი, ტეტი – პიკლინგტონი, ჰულაჰანი (83. ჰოუსონი), სნოდგრასი (90. ბენეტი) – ჰოლტი (83. მორისონი)

**იუნაიტედი** (4-4-2): ლინდეგორი – რაფაელი, რ. ფერდინანდი (83. ანდერსონი), სმოლინგი, ევრა – ვალენსია (69. სქოულზი), კერიკი, გიგზი, იანგი – ვან პერსი, ერნანდესი (69. უელბეკი)

**გაფრთხილება:** რაფაელი

**კარში დარტყმა:** 11-10 (5-7) **კუთხური:** 0-12 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 12-7 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 24 840

#### ფულჰემი-სანდერლენდი 1:3

**გოლები:** 0:1 ფლეტჩერი (50), 1:1 პეტრიჩი (62), 1:2 კუელიარი (65), 1:3 სესინიონი (70)

**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი – რიისე, ჰანგელანდი, ჰიუზი, რიტერი – სიდუელი, კარაგუნისი (35. სენდეროსი) – კაჩანიკლიჩი (27. როდალიეგა), რუისი (60. პეტრიჩი), დაფი - ბერბატოვი

**სანდერლენდი** (4-2-3-1): მინიოლე – ბერდსლი, ოშეი, კუელიარი, როუზი – კატერმოული, კოლბეკი (80. ვონი) – ლარსონი (71. მაკლინი), სესინიონი, ა. ჯონსონი – ფლეტჩერი

**გაფრთხილება:** სიდუელი – ა. ჯონსონი, ოში, კატერმოული

**გაძევება:** ჰანგელანდი (31)

**კარში დარტყმა:** 14-8 (9-6) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 10-13 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 25 646

#### დღეს:

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-სტოკ სიტი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 8 | 4 | 0 | 25-10 | 28 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 0 | 3 | 29-17 | 27 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 19-13 | 23 |
| 5. ევერტონი | 12 | 5 | 5 | 2 | 22-16 | 20 |
| 6. არსენალი | 12 | 5 | 4 | 3 | 23-13 | 19 |
| 7. ვესტ ჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 14-11 | 18 |
| 8. ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 9. ფულჰემი | 12 | 4 | 4 | 4 | 25-22 | 16 |
| 10. სუონსი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-16 | 16 |
| 11. ლივერპული | 12 | 3 | 6 | 3 | 17-16 | 15 |
| 12. ნიუკასლი | 12 | 3 | 5 | 4 | 13-17 | 14 |
| 13. ნორვიჩი | 12 | 3 | 5 | 4 | 9-18 | 14 |
| 14. სტოკ სიტი | 11 | 2 | 6 | 3 | 9-10 | 12 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 6 | 3 | 10-12 | 12 |
| 16. უიგანი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-21 | 11 |
| 17. რედინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 14-19 | 9 |
| 18. ასტონ ვილა | 12 | 2 | 3 | 7 | 10-22 | 9 |
| 19. საუთჰემპტონი | 12 | 2 | 2 | 8 | 18-30 | 8 |
| 20. ქუინზ პარკი | 12 | 0 | 4 | 8 | 9-23 | 4 |

**ბომბარდირები:** 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), 8 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), დემბა ბა (ნიუკასლი), 7 - მიგელ მიჩუ (სუონსი)

#### ჩემპიონშიპი. XVII ტური

**ბირმინგემი-ჰალ სიტი 2:3**
გოლები: 0:1 ალუკო (14), 0:2 ალუკო (26), 0:3 ელმოჰამადი... [as printed: 0:3 ?ქსტერი (33)], 1:3 მორისონი (38), 2:3 კინგი (46)

**ბოლტონი-ბარნსლი 1:1**
გოლები: 1:0 კევინ დევისი (24), 1:1 კრეიგ დევისი (65)

**ბრისტოლი-ბლექპული 1:1**
გოლები: 1:0 დევისი (81), 1:1 კილკენი (90)

**ბარნლი-ჩარლტონი 0:1**
გოლი: 0:1 ჰეინსი (69)

**კარდიფი-მიდლსბრო 1:0**
გოლი: 1:0 კონოლი (19)

**კრისტალ პალასი-დერბი 3:0**
გოლები: 1:0 მარი (17), 2:0 მორიტცი (58), 3:0 მარი (82)

**ჰადერსფილდი-ბრაიტონი 1:2**
გოლები: 0:1 ბაკლი (5), 0:2 ბაკლი (40), 1:2 ჩარჩი (90)

**ლესტერი-იპსვიჩი 6:0**
გოლები: 1:0 ნაჯენტი (8), 2:0 ნაჯენტი (18), 3:0 დაიერი (27), 4:0 ნოკერტი (44), 5:0 ვოგჰორნი (53), 6:0 ფუკატსი (82)

**ნოტინგემი-შეფილდ უენ. 1:0**
გოლი: 1:0 ლიერა (75-ს.კ-ში)

**უოტფორდი-ვულვზი 2:1**
გოლები: 1:0 ჩალობა (35), 1:1 საკო (54), 2:1 დინი (68)

**პიტერბორო-ბლექბერნი 1:4**
გოლები: 0:1 ფორმიკა (3), 0:2 როუდსი (20), 0:3 როუდსი (39), 0:4 როუდსი (79), 1:4 ტომლინი (85)

**მილუოლი-ლიდსი 1:0**
გოლი: 1:0 ვუდი (85)
გაძევება: ვერნი (48. ლიდსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრ. პალასი | 17 | 11 | 3 | 3 | 35-22 | 36 |
| 2. კარდიფი | 17 | 11 | 1 | 5 | 34-23 | 34 |
| 3. მიდლსბრო | 17 | 10 | 2 | 5 | 28-21 | 32 |
| 4. ჰალ სიტი | 17 | 10 | 1 | 6 | 27-23 | 31 |
| 5. ლესტერი | 17 | 9 | 3 | 5 | 29-16 | 30 |
| 6. ბლექბერნი | 17 | 7 | 7 | 3 | 26-20 | 28 |
| 7. ბრაიტონი | 17 | 7 | 6 | 4 | 24-15 | 27 |
| 8. ჰადერსფილდი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-23 | 27 |
| 9. მილუოლი | 17 | 7 | 5 | 5 | 30-26 | 26 |
| 10. ნოტინგემი | 17 | 6 | 8 | 3 | 24-20 | 26 |
| 11. უოტფორდი | 17 | 8 | 2 | 7 | 27-24 | 26 |
| 12. ბლექპული | 17 | 6 | 5 | 6 | 28-25 | 23 |
| 13. დერბი | 17 | 6 | 5 | 6 | 25-24 | 23 |
| 14. ჩარლტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 23-23 | 23 |
| 15. ბარნლი | 17 | 7 | 2 | 8 | 30-32 | 23 |
| 16. ვულვზი | 17 | 6 | 4 | 7 | 23-23 | 22 |
| 17. ბოლტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 24-26 | 21 |
| 18. ლიდსი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-29 | 20 |
| 19. ბირმინგემი | 17 | 5 | 5 | 7 | 20-26 | 20 |
| 20. ბარნსლი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-25 | 16 |
| 21. შეფილდ უენ. | 17 | 4 | 3 | 10 | 21-30 | 15 |
| 22. იპსვიჩი | 17 | 3 | 4 | 10 | 13-38 | 13 |
| 23. ბრისტოლი ს. | 17 | 3 | 3 | 11 | 25-34 | 12 |
| 24. პიტერბორო | 17 | 4 | 0 | 13 | 19-29 | 12 |

**ბომბარდირები:** 17 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი), 15 - გლენ მარი (კრისტალ პალასი), 11 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), 10 - ტომ ინსი (ბლექპული)

#### ლიგა ერთი. XVIII ტური

ტრანმერი-მილტონი 0:1, ბორნმუთი-ოლდჰემი 4:1, კარლაისლი-ლეიტონი 1:4, კოლჩესტერი-ბერი 2:0, ქროული-უოლსოლი 2:2, ჰარტლპული-ქოვენთრი 0:5, პორტსმუთი-დონკასტერი 0:1, პრესტონი-ბრენტფორდი 1:1, სკანტორპი-ნოთს ქაუნთი 2:2, შეფილდ იუნ-სტივენეიჯი 4:1, შრუსბერი-ქროუ 1:0, სუინდონი-იოვილი 4:1

#### ლიგა ორი. XVIII ტური

ბარნეტი-აკრინგტონი 1:1, უიმბლდონი-ალდერშოტი 1:1, ბრედფორდი-ექსეტერი 0:1, ბარტონი-დაგენჰემი 3:2, ჩესტერფილდი-ოქსფორდი 2:1, ფლიტვუდი-პლიმუთი 3:0, ჯილინგემი-მორკემბი 2:1, ნორთჰემპტონი-უიკომბი 3:1, პორტ ვეილი-იორკი 2:2, როჩდეილი-ბრისტოლ როვერსი 2:1, როტერჰემი-ჩელტენჰემი 4:2, ტორკი-საუთენდი 1:4

● იტალია. სერია A. XIII ტური

# სამი ლიდერის ქულა

## ფიორენტინა სამეულში შექვრა

**XIII ტური დახუნძლული იყო საინტერესო მოვლენებით. ლიდერთა სამეული მხოლოდ ქულას დასჯერდა, რამაც ყველაზე მეტად "ფიორენტინას" წისქვილზე დაასხა წყალი. ფლორენციული გუნდი პროგრესის გზას ადგას, რაც "ატალანტასთან" შეხვედრაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. "ინტერს" ისევ ჩამოეძინა, ბოლონიაში კი "პალერმომ" თამაში 8 ფეხბურთელით ჩაამთავრა. რაც შეეხება ტურის ცენტრალურ შეხვედრებს, მათზე ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.**

### აჯობეს, მაგრამ ვერ მოუგეს

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს. თავად განსაჯეთ, ტურინელებმა 16-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, მაშინ, როდესაც რომაელებმა მხოლოდ 4-ჯერ სცადეს ბედი. ბურთის ფლობაშიც მასპინძლები ჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ ეს ყველაფერი რომ ყოველთვის მოგების საწინდარი არაა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ტურინელები მთელი 90 წუთის განმავლობაში

რაც შეეხება "ლაციოს", გუნდი მჭიდროდ მოქმედებდა მოედნის ცენტრში, ხშირად მიმართავდა პრესინგს და აქტიურად იყენებდა კოლექტიურ ართმევას. **მიროსლავ კლოზეს** გარდა, ყველა დაცვიდან ირჯებოდა და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იყო კონცენტრირებული. ეს საქმე რომაელებს ძალიან კარგად გამოუვიდათ და ნათლად გამოჩნდა, რომ "ლაციოს" მეორე ნომრად თამაში შესანიშნავად შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ "იუვენტუსი" მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა, "ლაციოს" აღებულ ქულას ვერავინ დაამადლის. **ვლადიმირ პეტკოვიჩის** შეგირდებმა კიდევ ერთი თამაში ჩაატარეს მაღალ დონეზე და მთლიანობაში, შედეგს ლოგიკური ეთქმის.

**ანჯელო ალესიო (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი):** *"შეგირდების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს, რადგან მთლიანობაში, ძალიან კარგად გავისარჯეთ. ამ მატჩში იყო ყველაფერი გოლის გარდა და სამწუხაროდ, სწორედ ის ერთი გოლი დაგვაკლდა სამი ქულის მოსაპოვებლად. "ლაციომ" პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა და ამისთვის ქებას იმსახურებს".*

ლომბარდიულ გრანდს ორ გოლად დაუჯდა. ჯერ კიდევ მე-4 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **გეკჰან ინლერმა** დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, აბიატი მარცხენა კუთხეში გადაიხარა, ბურთი კი საპირისპირო მხარეს შევარდა. როგორც ნამატჩევს "მილანის" კიპერმა განაცხადა, ბურთი მოულოდნელად მოიჭრა და მიმართულება ჰაერში შეიცვალა. მეორე გოლი **ლორენცო ინსინიეს** ანგარიშზეა, რომელმაც ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო და არც თუ ძლიერად დაარტყა - აბიატის ბურთი ხელიდან გაუვარდა და ბადეში შეგორდა. 30-ე წუთისთვის "ნაპოლი" უკვე ორი ბურთის სხვაობით იგებდა და ბევრმა ჩათვალა, რომ მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

"მილანი" არ შეეგუა მარცხს და ერთი ბურთი ჯერ კიდევ პირველი ტაიმის დასრულებამდე გაქვითა... საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი **სტეფან ელ შაარავის** მიუგორდა, რომელმაც ერთი შეხებით გადაწყვიტა დარტყმა და სწორადაც მოიქცა - 2:1. ბურთი პირდაპირ ცხრიანში გაეხვა, გოლი კი მეტად ეფექტური გამოვიდა. მეორე ტაიმში ალეგრიმ **რობინიო** და **ჯამპაოლო პაცინი** ჩართო თამაშში - შედეგად, ერთი ხანობა "როსონერის" მო-



სტეფან ელ შაარავიმ "ნაპოლისთან" დუბლი შეასრულა

უტრიალებდნენ რომაელთა კარს, მაგრამ ერთი გოლი რაა, ისიც ვერ შეაგდეს. ამაში, დიდწილად **ფედერიკო მარკეტია** დამნაშავე, რომელმაც სუპერშეხვედრა ჩაატარა, თუმცა არც მცველებს უნდა დავუკარგოთ შესანიშნავი გარჯა.

მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ტურინელთა შორის ყველაზე აქტიური **სებასტიან ჯოვინკო** გახლდათ. მის მეწყვილე **ფაბიო კვალიარელას** არ გამოუვიდა თამაში და დიდად არც მის შემცვლელს **ალესანდრო მატრის** გამოუჩენია თავი. სახიფათო მომენტებს უფრო უკანახაზელები ქმნიდნენ, გატანის ყველაზე რეალური შანსი კი სულაც **ლეონარდო ბონუჩის** ჰქონდა, რომელმაც ახლო დისტანციიდან ბურთი ხარიხას გაარტყა. ისიც აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე სეზონში, პირველად გამოჩნდა მოედანზე **სიმონე პეპე** - ახლადგამოჯანმრთელებულის კვალობაზე საკმაოდ კარგად გაისარჯა, თუმცა ციდან ვარსკვლავები არც მას მოუწყვეტია

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციოს მთავარი მწვრთნელი):** *"არ დავმალავ, რომ აღებული ქულით მეტად კმაყოფილი ვარ... მით უმეტეს, მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და მოგების მეტი შანსიც მათ ჰქონდა. "იუვე" ძალიან ძლიერია, ნათლად დავინახე ის ყველაფერი, რამაც ამ გუნდის ხანგრძლივი წაუგებელი სერია განაპირობა".*

### ელ შაარავის სუპერგოლით

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა ნეაპოლში, სადაც 'ნაპოლიმ" და "მილანმა" ქულები გაიყვეს. როგორც იტალიელი საფეხბურთო ექსპერტები ირწმუნებიან, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში და რომ არა **კრისტიან აბიატის** ბავშვური შეცდომები, აუცილებლად სამ ქულას აიღებდა. დიახ, "მილანის" გამოცდილმა კარის დარაჯმა ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რაც

ედანზე 4 ნომინალური ფორვარდი ჰყავდა. ამან შედეგი მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე გამოიღო, ელ შაარავი რობინიოს პასით ნეაპოლელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა და ბურთის კარში შეგორება აღარ გასჭირვებია - 2:2. დარჩენილი დრო მილანელთა იერიშებში გაილია, თუმცა ანგარიში აღარ შეცლილა.

ნამატჩევს მასიმილიანო ალეგრიმ ამაყად განაცხადა, რომ ეს იყო მისი გუნდის საუკეთესო შეხვედრა მიმდინარე სეზონში, დაღონებულმა **ვალტერ მაცარიმ** კი ისღა თქვა, ორი ქულა ქარს გავატანეთო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური:**

**24 ნოემბერი:** პალერმო-კატანია.
**25 ნოემბერი:** პესკარა-რომა, სამპდორია-ბოლონია, ტორინო-ფიორენტინა, ატალანტა-ჯენოა, კიევო-სიენა, მილანი-იუვენტუსი.
**26 ნოემბერი:** კალიარი-ნაპოლი, პარმა-ინტერი.
**27 ნოემბერი:** ლაციო-უდინეზე.

**იუვენტუსი-ლაციო 0:0**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბონუჩი, ბარცალი, კიელინი – ისლა (70. პეპე), ვიდალი, პოგბა (84. ბენდტნერი), მარკიზიო, ასამოა – ჯოვინკო, კვალიარელა (67. მატრი).
**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ბიავა, დიასი (20. სიანი), რადუ - კანდრევა, გონსალესი, ლედესმა, ბროკი (57. ედერსონი), ერნანესი – კლოზე (81. კოზაკი).
**გაფრთხილება:** ბონუჩი, ვიდალი - მარკეტი, ლედესმა.
**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-3(4-0); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 39 000

**ნაპოლი-მილანი 2:2**

**გოლები:** 1:0 ინლერი (4), 2:0 ინსინიე (30), 2:1 ელ შაარავი (44), 2:2 ელ შაარავი (82).
| მათიაშვილი | 34 | 15 | 4 | 2 | 0 | 1 | 21 |

***მსაჯები:*** *ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი*

**17.11. თბილისი**

**სამედიცინო 63 : 106 ოლიმპი**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო | 21 | 11 | 16 | 15 |
| ოლიმპი | 25 | 28 | 32 | 21 |

| სამედიცინო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არწივიძე | 13 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 |
| შიოლაშვილი | 19 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ტუკვაძე | 7 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 |
| გაბისონია | 25 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ლ. რევაზაშვილი | 16 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |
| გაფრინდაშვილი | 26 | 2 | 5 | 2 | 1 | 0 | 8 |
| მაისურაძე | 21 | 5 | 2 | 2 | 1 | 0 | 13 |
| ფერიაშვილი | 8 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 |
| გ. რევაზაშვილი | 35 | 10 | 0 | 2 | 0 | 0 | 13 |
| ჭიჭვეიშვილი | 18 | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ელიაძე | 8 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაბედაშვილი | 8 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 15 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 14 |
| სოკი | 19 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 5 |
| ბერიშვილი | 17 | 5 | 3 | 0 | 0 | 0 | 9 |
| მიქელაძე | 20 | 2 | 5 | 2 | 1 | 0 | 2 |
| თენიეშვილი | 14 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 6 |
| ფაცაცია | 25 | 12 | 5 | 0 | 1 | 0 | 17 |
| ტუტუსი | 20 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | 17 |
| ა. დვალიშვილი | 20 | 6 | 1 | 2 | 5 | 0 | 15 |
| ლობჟანიძე | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ჰოგერი | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| მილოშევიჩი | 27 | 12 | 2 | 2 | 0 | 2 | 16 |

***მსაჯები:*** *დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი*

**17.11. თბილისი**

**თსუ 72 : 90 რუსთავი**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| თსუ | 22 | 11 | 16 | 23 |
| რუსთავი | 32 | 15 | 21 | 22 |

| თსუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 30 | 2 | 4 | 3 | 2 | 0 | 8 |
| ასელაინი | 28 | 10 | 1 | 3 | 1 | 1 | 4 |
| მჭედლიშვილი | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| თავამაიშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ტეტელაშვილი | 16 | 3 | 4 | 4 | 1 | 0 | 9 |
| ხანიაშვილი | 25 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 21 |
| კოზიძე | 22 | 7 | 0 | 2 | 1 | 1 | 8 |
| ბერუაშვილი | 25 | 6 | 4 | 6 | 4 | 1 | 3 |
| ჩქარეული | 24 | 1 | 4 | 3 | 0 | 0 | 4 |
| ხიზანიშვილი | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ნოზაძე | 12 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 26 | 4 | 4 | 2 | 2 | 0 | 19 |
| ცეკვავა | 26 | 5 | 3 | 0 | 2 | 0 | 7 |
| აბაიშვილი | 19 | 5 | 3 | 2 | 3 | 0 | 12 |
| ჩაჩანიძე | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუგავა | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ნელსონი | 32 | 8 | 7 | 0 | 1 | 0 | 22 |
| ჭოჭუა | 16 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 | 0 |
| ტუჯანი | 28 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 13 |
| ათანელიშვილი | 12 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 8 |
| მაჭავარიანი | 13 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 9 |
| არაბული | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხველიძე | 8 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

***მსაჯები:*** *მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი*

**17.11. თბილისი**

**სტუ 56 : 73 შსს აკადემია**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 9 | 19 | 14 | 14 |
| შსს აკადემია | 16 | 19 | 16 | 22 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარჩიგაია | 11 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| თევზაძე | 17 | 4 | 2 | 4 | 1 | 1 | 4 |
| კორკოტაძე | 33 | 8 | 1 | 2 | 2 | 0 | 2 |
| მინაშვილი | 12 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 |
| მაჩალაძე | 23 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 |
| პირველაშვილი | 30 | 3 | 1 | 5 | 3 | 0 | 18 |
| დ. დვალიშვილი | 14 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| შერმადინი | 11 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| კუჭავა | 8 | 2 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 |
| ჯანაშია | 27 | 4 | 0 | 4 | 0 | 1 | 21 |
| ქორიძე | 8 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 32 | 5 | 9 | 3 | 7 | 0 | 7 |
| როგავა | 4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გ. ლეჟავა | 34 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 15 |
| გოქოლიშვილი | 29 | 3 | 0 | 5 | 1 | 0 | 9 |
| ლონდარიძე | 22 | 6 | 5 | 2 | 0 | 1 | 8 |
| პრევიტი | 23 | 6 | 0 | 1 | 1 | 1 | 8 |
| იმნაძე | 9 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 3 |
| ლომოური | 14 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| მჭედლიშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ანთაძე | 3 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ბეჟაური | 23 | 10 | 0 | 4 | 1 | 0 | 15 |

***მსაჯები:*** *მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი*

ნოემბრის ტესტები

# დავღეჭეთ, მაგრამ ვერ გადავყლაპეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველო-იაპონია 22:25**

საქართველო (15-9) ყიასაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, შარიქაძე (ზიბზიბაძე 69), თოდუა, კვირიკაშვილი (ხმალაძე 67), აბუსერიძე (ბეგაძე 67). (1-8) ხინჩაგიშვილი (ნარიაშვილი 59), მამუკაშვილი (ნატრიაშვილი 49), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 54), ნემსაძე (ვ. მაისურაძე 59), დათუნაშვილი (თხილაიშვილი 67), სუთიაშვილი, კოლელიშვილი, გორგოძე.

ლ,გ,5ს: კვირიკაშვილი.

სინბინი: კოლელიშვილი.

იაპონია (15-9) გორომარუ, ჰიორში, სენბა (არუგა 58), ტატეკავა, ონოძავა, ონო, ტანაკა (ჰივასა 67). (1-8) ნაგაე, ჰორი, ჰატაკეიამა (იამაშიტა 58), ონო, თომპსონი (ბროდჰერსტი 52), ტუი (ჰოლანი 52), ლიტჩი, კიკუტანი.

ლ: ონოძავა. 5ს,გ: გორომარუ. ა: კ.ონო.

მსაჯი: გლენ ჯექსონი (ახალი ზელანდია)

*„სამწუხაროა, საკუთარ მოედანზე ზედიზედ 23 მატჩის მოგების შემდეგ დამარცხება. ვფიქრობ, რომ არ უნდა წაგვეგო. დაცვაში კარგად ვითამაშეთ, შეტევაშიც შიგადაშიგ კარგად გამოვიყურებოდით. ერთი ნაკლი გვქონდა - დისციპლინა და თამაშის ორგანიზაცია. ამის დასტურად ვიქტორ კოლელიშვილის სინბინიც გამოდგება. გვიჭირდა სტატიკური მდგომარეობიდან ბურთის გამოტანა“* - ასე შეაფასა გუნდის თამაში ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა.**

„ბორჯღალოსნებმა“ ნოემბრის ტესტების პირველ მატჩში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იაპონიის ეროვნულ გუნდთან 22:25 წააგეს. ვერ ვიტყვით, რომ სწრაფ და კარგად ორგანიზებულ იაპონელებს ჩვენმა მორაგბეებმა ვერაფერი დაუპირისპირესო, მაგრამ სტუმართა გუნდის საბოლოოდ დაჯაბნა მაინც ვერ შეძლეს.

თავლშისაცემია ერთი დეტალი. ჩვენი გუნდი საგრძნობ უპირატესობას ორივე ტაიმის საწყის 13 წუთში ფლობდა. პირველი ნახევრის მე-13 წუთზე საქართველოს ნაკრები 9:0 იგებდა და ტაიმის ბოლომდე მონაგარს ველარაფერი შემატა. ასე მოხდა შესვენების შემდეგაც. 53-ე წუთზე ჩვენი გუნდი 22:13 იგებდა და მატჩის დასასრულამდე დარჩენილ 27 წუთში შედეგიანი იერიში ვერ განახორციელა.

იაპონელებმა კი მაქსიმალური თავდადებისა და სათამაშო კლასის ხარჯზე ორივე შემთხვევაში შეძლეს გარდატეხის შეტანა და უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ტაიმის დასაწყისი ჩვენი ნაკრების აქტივშია. „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქე მოედნის საკუთარ ნახევარში გამოკეტეს, ისე, რომ მე-15 წუთამდე სტუმრები ჩვენს ნახევარზე არც გადმოსულან.

ანგარიშის გახსნა უკვე მე-2 წუთზე შეგვეძლო. იაპონელთა 22-მეტრიან ზონაში წარმოქმნილ რაკში თამაშისას ჩვენი გუნდის კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემ** იაქტიურა, მეტოქეს ბურთი დააკარგვინა. ის მესამეხაზელის **ვიქტორ კოლელიშვილის** ნადავლი შეიქნა. „ვიტომ“ იაპონელთა არეული დაცვა გაიარა, ჩათვლის მოედნამდე მისული კი შებოჭეს და სცადა ბურთი უკან თანაგუნდელისთვის გადაეწოდებინა, თუმცა ის წინ გადაგორდა და მეტოქის სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა.

მიუხედავად ამისა, „ბორჯღალოსნებმა“ დაწინაურება მალევე შეძლეს. ნაკრების მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა,** რომელმაც გუნდს საბოლოოდ 22 ქულა შესძინა, ანგარიში მე-5 წუთზე საჯარიმოთი გახსნა. მანვე მე-8 და მე-13 წუთებზე კიდევ ორჯერ დაარტყა კარში ზუსტად და საქართველოს ნაკრები ცხრა ქულით დაწინაურდა - 9:0.

აღსანიშნავია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენი მორკინალები აქტიურობდნენ. ცდილობდნენ მეტოქე მოკლე დარტყმებითა და აილე-მიეძალეს ხერხით მოეღალათ. თუმცა მას შემდეგ, რაც ანგარიშში საგრძნობლად დავწინაურდით გუნდში რაღაც მოიშალა.

იაპონელები გააქტიურდნენ და თავიანთ თამაშს მიაგნეს. პირველი სამი ქულის მოპოვება კი მათ მხოლოდ 26-ე წუთზე შეძლეს. ფულბეკმა **აიუმუ გორომარუმ** ერთი გაცუდებული საჯარიმოს შემდეგ კარში ზუსტად ურტყა და ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ორი საჯარიმო გაიტანა - 6:9.

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქე ჩათვლის მოედანს მიაჯაჭვეს. შერკინებაში იაპონელებს თამაში ძალიან უჭირდათ და მორიგი რკენისას ისევ დაჯარიმდნენ. კვირიკაშვილს კარში დარტყმაც შეეძლო, თუმცა ჩვენი გუნდის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, საჯარიმოს ნაცვლად ისევ შერკინება მოითხოვეს, რათა მეტოქე ლელოში შეეთრიათ ან საჯარიმო ლელოს გამორჩენოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს მორაგბეებს შერკინებიდან ბურთი გამოუვარდათ და მერე რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ.

იაპონელებმა საჯარიმო სწრაფად გაათამაშეს და შეტევა ჯერ მარჯვენა, გრძელ ფრთაზე განავითარეს, მერე ცხრა ნომერმა **ფუმიაკი ტანაკამ** ბურთი მოედნის ცენტრში, შუისკენ გამოათამაშა, იქ წარმოქმნილი რაკიდან კი შეტევა მარცხნივ განაგრძეს, სადაც სტუმართა უკანახაზელები რიცხობრივ უპირატესობაში აღმოჩნდნენ. ლელო გარემარბმა **ჰიროტოკი ონოძავამ** მიითვალა. გორომარუმ მოედნის კიდედან გარდასახვა ზუსტად დაარტყა 13:9 და ტაიმიც დასრულდა.



ირაკლი ნატრიაშვილს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევაში მერაბ კვირიკაშვილი ეხმარება

მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისი პირველის ალი-კვალი იყო. საქართველოს ნაკრები სათამაშოდ მაქსიმალურად მობილიზებული გამოვიდა და ანგარიშში დაწინაურება 11 წუთში შეძლო. ორი საჯარიმო 44-ე და 51-ე წუთებზე კვირიკაშვლიმა გაიტანა - 15:13.

მალე, 53-ე წუთზე „ბორჯღალოსნებმა“ ლელოც მიითვალეს. იპონელებმა კვირიკაშვილის მორიგი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ თამაში ცენტრიდან განაახლეს. ბურთი შუამარბმა **დავით კაჭარავამ** მარცხენა ფრთაზე, 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან დაიჭირა. მოწინააღმდეგის რამდენიმე მოთამაშემ მისი შებოჭვა სცადა. კაჭარავას თანაგუნდელები წამოეშველნენ, მოლი შეკრეს, რომელსაც მოულოდნელად მეორე შუამარბი **მერაბ შარიქაძე** მოსწყდა და ცენტრამდე ირბინა.

იქ წარმოქმნილი რაკიდან აბუსერიძემ ბურთი შუისკენ კვირიკაშვილს გაუტანა, ამან შეტევაში მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** ჩართო, რომელმაც ორი მოწინააღმდეგე მიაწვინა და ბურთი იქვე მიმყოლ **ლევან დათუნაშვილს** გადააწოდა, ამან ათიოდ მეტრი გაირბინა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** მოძებნა, რომელმაც მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეაღწია და შებოჭეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი სწრაფად კვირიკაშვილმა აიტაცა და მოკლე, დაუცველ ფრთაზე შეუტია. მას წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. გარდასახვაც თვითონვე გაიტანა და საქართველოს ნაკრები ისევ ცხრა ქულით დაწინაურდა - 22:13.

სტუმრებმა ანგარიშის შემცირება მალევე შეძლეს. 57-ე წუთზე გორომარუმ საჯარიმოთი ახლო მანძილიდან დალაშქრა საქართველოს ნაკრების კარი - 16:22. ათ წუთში კი ჩვენი მორაგბეების მიერ დაშვებული შეცდომების მთელი სერიის გამო დავისაჯეთ. სტუმართა ფულბეკმა ჯერ ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - 19:22, მერე კი იმის ნაცვლად, რომ მეტოქისთვის შეგვეტია, კონტრშეტევა აქეთ მივიღეთ. 72-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** საჯარიმოდან ბურთი აუტში ვერ გადაიტანა. გორომარუმ ბურთი მოედნის ჩვენს ნახევარზე ფეხით უკანახაზელების ზურგსუკან დაჰკიდა. ის გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** დაიჭირა და უკან ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს** გადააწოდა. მას პირდაპირ აუტში დარტყმა არ შეეძლო, ამიტომ მოედანს დაუმიზნა და ისე მოხდა, რომ მეტოქეს გაარტყა. მერე ისევ თავად დაეუფლა, თუმცა შებოჭეს და რაკში თამაშისას დაჯარიმდა. იაპონელთა ფულბეკს ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია - 22:22.

თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე საქართველოს ნაკრებმა სტუმრების ლელოსთან ხანგრძლივი შტურმი მოაწყო. დერეფანი „ბორჯღალოსნებმა“ 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მოიგეს, მოლი შეკრეს და თორმეტიოდე მეტრი გაიარეს. მერე თამაში რაკში გადავიდა. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ კიდევ სამი მეტრით წინ წაიწიეს, თუმცა ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი წინ გაუვარდათ და იაპონელებმა კონტრიერიში წამოიწყეს. ასე ხელდახელ ბურთაობით საკუთარი ლელოს მისადგომებიდან ჩვენს 22-მეტრიან ზონამდე მიაღწიეს და მგეზავმა **კოსი ონომ** არეკნით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 25:22.



ბურთით მამუკა გორგოძე, მისგან მარცხნივ შალვა სუთიაშვილი

**მატჩის შემდეგ**

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ჩვენი ერთ-ერთი მიზანი იყო ფიზიკური სიძლიერე გამოგვეყენებინა. დავაშავეთ ის, რომ ამას ზედმეტად ვცდილობდით და ვერ შევძელით მეტოქესთვის მრავალფეროვანი თამაში შეგვეთავაზებინა.*

*ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ როცა 75 წუთი კარგად ირჯები და ხუთი წუთი ვერა, ძნელია წარმატების მიღწევა. მატჩის მიწურულს შეგვეძლო ლელოს გატანა და გამარჯვება, მაგრამ ერთმა შეცდომამ ყველაფერი უკუღმა შემოატრიალა. როცა თანაბარი ძალის გუნდები ეთამაშებიან ერთმანეთს ასე ხშირად ხდება ხოლმე.*

*ფიჯის ნაკრებთან ძნელი თამაში მოგველის. მოგვიწევს კრიტიკულად შევხედოთ საკუთარ შესაძლებლობებს და მეტოქეს უფრო მეტად დისციპლინირებული, უკეთ ორგანიზებული თამაში დავუპირისპიროთ. ეს წლევანდელი სეზონის ბოლო თამაშია და მორაგბეებს მეტი პასუხისმგებლობით დამუხტვა მართებთ“.*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„25 წუთი დაგვჭირდა იმისთვის, რომ შერკინებით მეტოქე დაგვეჩეჩქვა და მერე თამაში გაგვეშალა, მაგრამ არ გამოვიდა. ბიჭებმა ძალების დაუზოგავად ბოლომდე თავდადებით ითამაშეს. იაპონიასთან მატჩში მეტი გამოცდილება მივიღეთ, გავიზარდეთ. ვფიქრობ, მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.“*

**ედი ჯონსი,** იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ამ მატჩში ჩვენ გაგვიმართლა. კმაყოფილი ვარ ჩემი მორაგბეებით, მათი ჟინით და გამარჯვებისკენ სწრაფვით. ჩვენებმა საქართველოს ნაკრების მიძალებას ლელოდან ხუთ მეტრში თავი შესანიშნავად გაართვეს, ბოლომდე იბრძოლეს.*

*კარგ გუნდთან მოგვიწია თამაშმა. საქართველოს ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე რუმინეთის ეროვნული გუნდი, რომელსაც ერთი კვირის წინ ბუქარესტში მოვუგეთ. ერთი ეგაა, თუ კიდევ წინ სურს სვლა, ცოტა მეტად უნდა გაშალოს თამაში.“*

**ტომიაკი ჰიროში,** იაპონიის ნაკრების კაპიტანი:

*„საწყის 20 წუთში ძალიან გაგვიჭირდა. მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ველოდით. მერე თამაში დავალაგეთ და დარჩენილ დროში გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით.*

*ევროპაში ზედიზედ ორი ტესტი მოვიგეთ, რაც ჩვენთვის დიდი წარმატებაა. ამისკენ ვისწრაფოდით და ძალიან გვიხარია, მიზანს რომ მივაღწიეთ“.*

**ნოემბრის ტესტები**

| | |
|---|---|
| ირლანდია-ფიჯი | 53:0 |
| კანადა-რუსეთი | 35:3 |
| აშშ-ტონგა | 13:22 |
| ნამიბია-ესპანეთი | 37:38 |
| ჩილე-პორტუგალია | 22:28 |

**24 ნოემბერი**

საქართველო-ფიჯი

**ბესიკ ჯანგავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

რაგბი. ტესტები

ბრაის დულინი მაღალ ნახტომში



# სამხრეთი ისევ გვჯობია

## რა სჭირს უელსს?

**ნოემბრის ტესტების მეორე სერიის მატჩები ისევ სამხრეთელთა უპირატესობით წარიმართა. ერთადერთი ევროპული გუნდი, რომელმაც გამარჯვებას მიაღწია, საფრანგეთის ნაკრებია, რომელმაც სწრაფად პროგრესირებადი არგენტინის ნაკრებს სძლია 39:22.**

არგენტინის ეროვნული გუნდი „ლე ბლოსთვის" პრინციპულ მეტოქედ გადაიქცა. „პუმების" უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში ნამყვანი მოთამაშეები არიან და საფრანგეთის ნაკრების სახელოვანი მოთამაშეების კომპლექსი არასდროს ჰქონიათ. ამიტომაც იყო, რომ ბოლო რამდენიმე შეხვედრა არგენტინელთა გამარჯვებით დასრულდა.

ამჯერად საფრანგეთის ნაკრებმა სრული რევაში აილო ყველა მარცხისთვის. არადა არგენტინელებმა თამაში ბევრად უკეთ დაიწყეს და მე-14 წუთისთვის ათი ქულის სხვაობით იგებდნენ - 13:3. ფრანგებმა ანგარიშში დაწინაურება 22-ე წუთზე შეძლეს 15:13 და ამის მერე მატჩის ბოლომდე სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ.

„ლე ბლომ" მეტოქეს სამი ლელო გაუტანა. ყველაზე შედეგიანი კი მგეზავი ფრედერიკ მიშალაკი იყო, რომელმაც ხუთი საჯარიმო, სამი გარდასახვა და ერთი არეკნი მიითვალა (24 ქულა)

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია ავსტრალიის ნაკრების გამარჯვება ლონდონში ინგლისის ეროვნულ გუნდთან 20:14. „ვოლაბებმა" ერთი კვირის წინათ საფრანგეთის ნაკრებთან პირწმინდად წაგებული მატჩის შემდეგ ძალების კონცენტრაცია შეძლეს და მრისხანე ინგლისელებს „თვიქნემზე" ფულბეკი **ბერიკ ბარნსის** ფეხჩუბინობის წყალობით სძლიეს.

ისევ დამარცხდა წლევანდელი ექვსი ერის გამარჯვებული უელსის ნაკრები. „წითელმა ურჩხულებმა" ამჯერად კარდიფში, „მილენიუმზე" შეხვედრა სამოას ნაკრებთან დათმეს - 19:26. მასპინძლები 65-ე წუთისთვის მინიმალური სხვაობით 19:18 იგებდნენ, თუმცა მატჩის დასკვნით ფაზაში სამოელებმა თითო ლელო და საჯარიმო გაიტანეს, რითაც უელსელები პირში ჩალაგამოვლებულნი დატოვეს.

### იტალია-ახალი ზელანდია 10:42

იტალია (15-9) მასი (მაკლინი 65), ვენდეტი, ბენვენუტი, სგარბი, მირ. ბერგამასკო, ორკუერა, გორი (ბოტესი 56). (1-8) ლო ჩიჩერო (დე მარკი), ჯილარდინი (გიაზონი 50), კასტროჯოვანი (ჩიტადინი 56), პავანელო (გელდენჰაუზი 59), მინტო, ძანი (მაურო ბერგამასკო 64), ფავარო (ბარბიერი 46), პარისე.

ლ: სგაბი. ს,გ: ორკუერა.

ახალი ზელანდია (15-9) ბარეტი (ჯეინი 53), გეარი, კ. სმითი, ნონუ, სავეა, კრადენი, ა. სმითი (კერ ბალოუ 61). (1-8) ვუდქოკი (კროკეტი 64), მეალამუ (კოლი 42), ფაუმუნია (ფრენკსი 46), ვილიამსი (ვაითლოქი 53), რეტალიკი, მესამი, კენი, რიდი.

5ლ: სავეა (2), რიდი, ნონუ, ჯეინი. 4გ,3ს: კრადენი.

### ინგლისი-ავსტრალია 14:20

ინგლისი (15-9) გუდი, ეშტონი, ტუილაგი, ბარიტი (ფარელი 73), შარპლსი (ბრაუნი 60), ფლუდი, კერი (იანგზი 60). (1-8) მარლერი (ვუნიპოლა 49), იანგსი, კოლი, პალმერი (ლაჩბერი 53), პერლინგი, ჯონსონი (ვუდი 49), რობშო, ვალდრომი.

ლ: ტუილაგი. 3ს: ფლუდი.

ავსტრალია (15-9) ბარნსი, კამინსი, ეშლი-კუპერი, ტაპუაი იოანი (მიტჩელი 69), ბეილი, ფიპსი. (1-8) რობინსონი (სლიპერი 60), პოლოტა-ნაუ (მური 40), ალექსანდერი (კეპუ 70), ტიმანი, შარფი, დინსი (გილი 76), ჰუპერი, პალუ.

ლ: კამინსი. 4ს,ა: ბარნსი.

### საფრანგეთი-არგენტინა 39:22

საფრანგეთი (15-9) დულინი (ტრინ-დუკი 68), ფოფანა, ფრიცი (უგე 63), მერმოსი, კლერი, მიშალაკი, მაშენო (პარა 56). (1-8) ფორესტერი (დომინგო 50), შჟარჟევსკი (კაიზერი 50), მასი (დებატი 69), პაპე, მაესტრი (სუტა 61), ნიანგა, უოდრაოგო, პიკამოლი (შული 74).

3ლ: კლერი (2), ნიანგა. 3გ,5ს,ა: მიშალაკი.

არგენტინა (15-9) ამოროსინო, აგუჯა, ტიესი (კამაჩო 59), ბოსხი, იმოფი, სანჩესი, ლანდახო (კუბელი 65). (1-8) აიერსა (ლობო 73), გუნასუ (კრევი 48), ფიგაჯო (კოდელა 61), კარისა, კაბეჯო (ვალეხოსი 61), ფერნანდეს ლობე, ლეგუსამონი, სენატორე (დე ლა ვეგა 50).

ლ: ბოსხი. 4ს,გ,ა: სანჩესი.

### შოტლანდია-სამხ. აფრიკა 10:21

შოტლანდია (15-9) ჰოგი, ლამონტი, დე ლუკა, სკოტი, ვიზერი, ლაიდლოუ (ჯექსონი 69), ბლერი (პირგოსი 48). (1-8) გრანტი, ფორდი (ჰალი 69), მურეი (კროსი 69), გრეი (კელოკი 22), ჰამილტონი, ბრაუნი, ბარკლი, დენტონი.

ლ: პირგოსი. გ,ს: ლაიდლოუ.

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირხნერი, პიტერსენი, დე იონგი, დე ფილიერსი, ჰუგარი, ლამბიე (სტეინი 74), პინარი. (1-8) სტენკამპი (ფან დერ მერვე 69), სტრაუსი (ბრაიტსი 77), დუ პლესი (ფან დერ ლინდე 52), ესტებესი, კრუხერი, ლოუ, ალბერტსი (კუცია 53), ვერმულენი.

2ლ: სტრაუსი. 3ს,გ: ლამბიე.

### უელსი-სამოა 19:26

ბესიკ ჯანგავაძე

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დაუმარცხებელი აღარ დარჩა

## ახალმა ლიდერმა ფლოიდ მეივეზერი ახეირა

სეზონში პირველი მატჩი წააგო „ნიუ იორკ ნიქსმა". ლიდერს მხოლოდ ერთი ტაიმი ეყო ენერგია „მემფისის" წინააღმდეგ საბრძოლველად, რის შემდეგაც, მეტოქის 21:3 სპურტი გამოეპარა. ამ დროის განმავლობაში, ნიუიორკელებმა ცხრიდან რვა ბურთი ააცილეს კალათს, სამჯერ დაკარგეს ბურთი და მსაჯებს 10 (!) პერსონალური გამოსტყუეს, თანაც, აქედან სამი ტექნიკური იყო და კიდევ ერთი - არასპორტული.

„ნიქსს" არ მისდიოდა სამქულიანები (19-დან 5), ხოლო „მემფისის" ლიდერები სტაბილურად აგროვებდნენ ქულებს. თუმცა „ნიუ იორკი" არ დანებდა და მეოთხე მეოთხედში მატჩის გადარჩენა სცადა. სტუმრებმა 21-ქულიანი ჩამორჩენა რვა ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ მეტის გაკეთების საშუალება „გრიზლისმა" აღარ მისცა მეტოქეს". ბოლო 193 წამში **გეიმ** რვა ქულა დააგროვა და შეუნარჩუნა თავის გუნდს უპირატესობა. თანაც, ფორვარდმა კარიერაში 8000-ქულიან ზღვარს გადააჭარბა. ეს მეორე შედეგია „გრიზლისის" ისტორიაში - უფრო მეტი ქულა მხოლოდ **პაუ გასოლს** აქვს (8966).

მეორე დღეს, „მემფისთან" მიმართებაში კიდევ ერთ ისტორიულ მომენტს ჰქონდა ადგილი. „გრიზლისმა" სტუმრად დაამარცხა „შარლოტი" და თავის 17-წლიან ისტორიაში პირველად გახდა მთელი რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი. თანაც, ეს სრულიად დამსახურებული წარმატებაა - „შარლოტის" დამარცხებამდე, **ლაიონელ ჰოლინზის** შეგირდებმა ზედიზედ მოუგეს მოქმედ ჩემპიონ „მაიამის", შარშანდელ ფინალისტ „ოკლაჰომას" და ამ სეზონის სენსაციას - „ნიუ იორკს".

სხვათა შორის, „მემფისის" ბოლო მოგებამ ამერიკელ მოკრივეს **ფლოიდ მეივეზერს** მოუტანა სარგებელი, რომელიც აზარტული თამაშების დიდი მიყვარულია. ცოტა ხნის წინ, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა მოკრივემ ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთ მატჩზე ფსონი დადო და დაახლოებით მილიონი დოლარი მოიგო. ახლა კი ფლოიდი „მემფისის" პირველი ტაიმის მოგებაზე 200 ათას დოლარს ჩავიდა. „გრიზლისმა" პირველი ნახევარი ცხრა ქულის სხვაობით მოიგო, რამაც მეივეზერს 166 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

გია თვალაბეიშვილი



ფინიქსი-მაიამი

სხვა მატჩები

# რონდო 20 პასით დაბრუნდა

დებიუტი ჰქონდა „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის რანგში **მაიკ დ'ენტონის**, რომელმაც თავისი გუნდის მორიგი თამაშის წინ განაცხადა: „*თუ ჩვენ 110-115 ქულას ვერ დავაგროვებთ, მაშინ კალათბურთელებთან სერიოზული ლაპარაკი მომიწევს*". სხვათა შორის, დ'ენტონის მეტოქედ ის გუნდი ჰყავდა, რომელშიც ჯერჯერობით ყველაზე შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია - „ფინიქსი".

სერიოზულ ლაპარაკამდე საქმე არ მივიდა, რადგან კალიფორნიელებმა 114 ქულა ჩააგდეს. მეოთხე მეოთხედამდე „ფინიქსი" ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას და ბოლო შესვენებამდე ორი წუთით ადრე, დრაგიჩმა სამქულიანით გაათანაბრა ანგარიში. თუმცა სენსაცია არ შედგა - მეოთხე მეოთხედის სტარტზე **ბრაიანტმა** და კომპანიამ 12:0 გაქცევა მოაწყო. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა კომფორტული უპირატესობის მოსაპოვებლად, რომელიც მასპინძლებს ხელიდან აღარ გაუშვიათ.

■ ■ ■

შესანიშნავ ფორმაში შევიდა „კლიპერსი", რომელმაც ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო. კალიფორნიელებს პრინციპული მეტოქე ჰყავდათ „ჩიკაგოს" სახით. განსაკუთრებით მოინდომა ამ მატჩში დასავლეთის ერთ-ერთი ფავორიტის რეზერვისტმა **ჯამალ კროუფორდმა**, რომელმაც, თავის დროზე, ოთხი წელი გაატარა „ბულზში", მაგრამ მასთან ერთად ერთხელაც არ გასულა პლეი ოფში. მცველმა მარტო მეორე მეოთხედში 17 ქულა დააგროვა და დიდი შესვენებისთვის თავის გუნდს 13-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მეორე ტაიმში უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა და ბოლო ექვს წუთში **ბლეიკ გრიფინის** მიერ დაგროვილი 12 ქულის წყალობით, სხვაობა 20 ქულას გადაცდა.

■ ■ ■

ორმატჩიანი პაუზის შემდეგ „ბოსტონს" დაუბრუნდა **რაჟონ რონდო** და მაშინვე ბევრი რამ მოწესრიგდა. პლეიმეიკერმა 20 შედეგიანი პასი დააგროვა „ტორონტოს" წინააღმდეგ, თანაც ასეთი რამ სეზონში მეორედ გააკეთა.

უკვე პირველ ტაიმში რონდოს ანგარიშზე 11 გადაცემა იყო, რითაც მან 33 მატჩამდე გააგრძელა სერია, რომლის დროსაც მინიმუმ 10 შედეგიან პასს აგროვებდა მატჩში. ამ მხრივ, აბსოლუტური რეკორდი ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** ეკუთვნის, რომელიც ზედიზედ 46 შეხვედრაში გადასცდა 10-პასიან ზღვარს.

### 16 ნოემბერი

**ფილადელფია-იუტა 99:93**

30:20, 22:23, 19:21, 28:29

ფ: ჰოლიდეი (26+6 მოხსნა+7 პასი), რიჩარდსონი (20+8 მოხსნა), ტ. იანგი (14+8 მოხსნა), ნ. იანგი (12), ტერნერი (11), ალენი (10+8 მოხსნა).

ი: მილსეპი (22+7 მოხსნა), კეროლი (17), ჯეფერსონი (15+9 მოხსნა), მო უილიამსი (12+5 პასი).

**დეტროიტი-ორლანდო 106:110**

25:22, 25:22, 25:27, 31:39

დ: მონრო (23+7 მოხსნა), პრინსი (18), სინგლერი (14), მაქსიელი (11), ნაითი (10+6 მოხსნა+12 პასი), დრამონდი (10).

ო: რედიკი (23+5 პასი), აფლალო (19), დევისი (17+13 მოხსნა), ნელსონი (13+10 პასი), ვუჩევიჩი (11+13 მოხსნა).

**ინდიანა-დალასი 103:83**

24:24, 24:25, 28:18, 27:16

ი: უესტი (15+7 მოხსნა), ჰილი (15+7 პასი), ჰიბერტი (14+8 მოხსნა), იანგი (14), სტივენსონი (12), ჯორჯი (11).

დ: მაიო (19), კოლისონი (10), კარტერი (10), კამანი (8+10 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა 95:110**

18:36, 19:30, 30:28, 28:16

ნ-ო: ანდერსონი (15+7 მოხსნა), ლოპესი (12), მესიონი (11), დევისი (8+11 მოხსნა).

ო: დურანტი (27+9 მოხსნა+5 პასი), მარტინი (27), იბაკა (15+3 დაფარება), სეფოლოშა (11), უესტბრუკი (10+12 პასი).

**მინესოტა-გ. სტეიტი 98:106**

27:22, 23:31, 19:29, 29:24

მ: უილიამსი (23+7 მოხსნა+4 დაფარება), შვედი (22+7 პასი), კირილენკო (18+6 მოხსნა+4 დაფარება), კანინგემი (14+6 მოხსნა).

გ-ს: ლი (18+13 მოხსნა), ჰ. ბარნსი (18+9 მოხსნა), კარი (17+6 პასი), ლენდრი (15+7 მოხსნა), ჯეკი (13), ტომპსონი (12).

**მემფისი-ნიუ იორკი 105:95**

29:25, 25:24, 31:18, 20:28

მ: გასოლი (24+7 მოხსნა), რენდოლფი (20+15 მოხსნა), გეი (17+4 დაფარება), კონლი (16+8 პასი), ალენი (9).

ნ-ი: ენტონი (20), ფელტონი (18+5 პასი), უოლასი (13).

**საკრამენტო-ატლანტა 96:112**

20:34, 36:24, 14:28, 26:26

ს: ტომპსონი (19+10 მოხსნა), ტორნტონი (17), ტ. ევანსი (14), ბრუქსი (13), კაზინსი (9+16 მოხსნა+7 პასი).

ა: კორვერი (22+7 მოხსნა), უილიამსი (21+5 პასი), ჰორფორდი (20+10 მოხსნა), სმიტი (19+8 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ტიგი (15).

**პორტლენდი-ჰიუსტონი 119:117 (ო)**

22:27, 29:31, 27:21, 33:32, 8:6

პ: ბატუმი (35+6 მოხსნა+5 დაფარება), ოლდრიჯი (29+6 მოხსნა), ლილარდი (27+5 პასი), მეტიუზი (15+5 პასი).

ჰ: ჰარდენი (29+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), პარსონსი (19+11 მოხსნა), აშიქი (16+16 მოხსნა), მორისი (16), პატერსონი (15), ლინი (11+6 მოხსნა+11 პასი).

**ლეიკერსი-ფინიქსი 114:102**

35:30, 27:27, 30:27, 22:18

ლ: ბრაიანტი (31+6 პასი), უორლდ პისი (22+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (18+12 მოხსნა), გასოლი (16+10 მოხსნა), ჰილი (10).

ფ: დრაგიჩი (22+7 პასი), სკოლა (18+8 მოხსნა), ბიზლი (14+9 პასი), ო'ნილი (12), დადლი (11).

### 17 ნოემბერი

**ბოსტონი-ტორონტო 107:89**

30:17, 17:25, 32:22, 28:25

ბ: ტერი (20), პირსი (19+6 მოხსნა), გარნეტი (15), სალინჯერი (12+11 მოხსნა), რონდო (6+20 პასი).

ტ: ბარნიანი (15), ლუკასი (15), კლეიზა (10), როსი (10), კალდერონი (10+9 პასი), დეროზანი (10).

**ვაშინგტონი-იუტა 76:83**

17:15, 23:23, 23:27, 13:18

ვ: ჯორ. კროუფორდი (20+8 პასი), არიზა (16+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოკაფორი (8+14 მოხსნა).

ი: ჯეფერსონი (21+13 მოხსნა), გ. ჰეივორდი (15+5 პასი), მო უილიამსი (12+6 პასი), ფეივორსი (9+10 მოხსნა+3 დაფარება), მილსეპი (6+10 მოხსნა).

**კლიპერსი-ჩიკაგო 101:80**

18:15, 35:25, 25:21, 23:19

კ: გრიფინი (26+10 მოხსნა), კროუფორდი (22), ბარნსი (13+6 მოხსნა), ბლედსოუ (10), პოლი (8+10 პასი+3 ჩაჭრა).

ჩ: ბუზერი (22+12 მოხსნა), დენგი (14+8 მოხსნა), ჰემილტონი (14), რობინსონი (11), ჰაინრიხი (1+10 პასი).

**შარლოტი-მემფისი 87:94**

19:25, 19:22, 22:28, 27:19

შ: მალენსი (18+9 მოხსნა), უოკერი (17+8 პასი), კიდ-გილკირსტი (12+8 მოხსნა), სეშენსი (12), გორდონი (10).

მ: კონლი (20), რენდოლფი (18+12 მოხსნა), გეი (16+3 ჩაჭრა), გასოლი (12+9 მოხსნა+7 პასი), ალენი (12+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-დალასი 95:103**

24:24, 28:27, 21:24, 22:28

კ: ირვინგი (26), გიბსონი (16+5 პასი+3 ჩაჭრა), უეიტერსი (16), გი (15+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტომპსონი (10+12 მოხსნა).

დ: მაიო (19), კამანი (15+8 მოხსნა+6 დაფარება), კოლისონი (14+8 პასი), კარტერი (14+6 მოხსნა), მერიონი (10+10 მოხსნა), ჯონსი (10+5 პასი).

**მილუოკი-ნიუ ორლეანი 117:113**

25:27, 35:31, 31:33, 26:22

მ: ელისი (22+9 პასი), ჯენინგსი (22+9 პასი+4 ჩაჭრა), დანლივი (17+9 მოხსნა+5 პასი), დალემბერი (15+8 მოხსნა), ილიასოვა (10), ჰარისი (10).

ნ-ო: დევისი (28+11 მოხსნა), ანდერსონი (20), ვასკესი (13+11 პასი), მესიონი (10).

**სან ანტონიო-დენვერი 126:100**

33:15, 27:25, 30:28, 36:32

ს-ა: ჯინობილი (20), ბლეირი (19+8 მოხსნა), გრინი (15), პარკერი (14+6 პასი), დანკანი (14+3 დაფარება), მილსი (10).

დ: გალინარი (15+7 მოხსნა), ფარიდი (14), ბრიუერი (13+7 მოხსნა), ლოუსონი (13+5 პასი+5 არიეპტ), მაკგი (12+8 მოხსნა), ფურნიე (10).

**ფინიქსი-მაიამი 88:97**

23:23, 29:29, 19:23, 17:22

ფ: მორისი (16), ბიზლი (14+8 მოხსნა), ბრაუნი (14), დრაგიჩი (12+8 პასი+4 ჩაჭრა), ო'ნილი (10+6 მოხსნა).

მ: ბოში (24+9 მოხსნა), ჯეიმსი (21+7 მოხსნა), ბატიე (12), ჩელმერსი (11+3 ჩაჭრა).

გია თვალაბეიშვილი

კრივი

# ნოკაუტი კლიჩკოს მწვრთნელისგან

გასულ უქმეებზე საკრივო სამყაროში რამდენიმე საჩემპიონო ბრძოლა გაიმართა. მაგალითად, საშუალო წონაში IBF-ის ტიტულისთვის ბრძოლაში ინტრიგა არ ყოფილა. ამ საჩემპიონო ქამრის მფლობელმა **კარლ ფროჩმა** (29-1, 22KO) ძალიან იოლად დაამარცხა ამერიკელი **იუსეფ მეკი** (31-5-2, 17KO) - მესამე რაუნდში ნოკაუტით დაასრულა შეხვედრა.

მეკი, რომელსაც ამ ბრძოლისთვის ერთი წონითი კატეგორიით დაქვეითება დასჭირდა, სასტარტო გონგიდან განწირული იყო. 32 წლის პრეტენდენტი პირველივე რაუნდში ნოკდაუნში აღმოჩნდა, მესამე სამწუთეულში კი ამერიკელის აგონია დასრულდა - მორიგი ნოკდაუნის შემდეგ, იუსეფმა ძლიერი დარტყმა გაატარა და მსაჯის ათ დათვლამდე ველარ წამოდგა.

35 წლის ფროჩის მორიგი მეტოქე რუმინელი მოკრივე **ლუჩიან ბუტე** იქნება, რომელსაც „კობრა" (ფროჩის მეტსახელი) გაზაფხულზე მონრეალში შეხვდება.

■ ■ ■

ფილიპინელმა **ბრაიან ვილორიამ** (32-3, 19KO) უმჩატეს წონაში **ერნან მარკესის** (34-3, 25KO) დამარცხებით WBA-ისა და WBO-ის ტიტულები გააერთიანა.

პირველივე რაუნდში მარკესი ნოკდაუნში მოხვდა, მაგრამ ამან არ გამოიწვია ბრძოლის ნაადრევად დასრულება. უფრო მეტიც, შეხვედრის შუაში 24 წლის ერნანმა ინიციატივა მოიპოვა და საკმაოდ აგრესიულად მოქმედებდა რინგზე.

მიუხედავად ამისა, ამან მხოლოდ გადაავადა მისი გარდაუვალი წაგება - მეცხრე რაუნდში ვილორიამ მესამედ გაგზავნა მოწინააღმდეგე ნოკდაუნში, ბრძოლის განახლების შემდეგ კი გააგრძელა მარკესის დამუშავება. ამ უკანასკნელის საწვრთნელ შტაბს ისლა რჩებოდა, რინგზე პირსახოცი გადაეგდო.

■ ■ ■

მოგეხსენებათ, რომ უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** ახალი მწვრთნელი ჰყავს - 30 წლის ამერიკელი **ჯონათან ბენქსი**, რომელიც მოქმედი მოკრივეცაა (29-1-1, 19KO). ბენქსმა გასულ კვირას, ატლანტიკ-სიტიში თანამემამულე **სეტ მიტჩელთან** (25-1-1, 19KO) იჩხუბა და მას კარიერაში პირველი მარცხი აგემა.

ამ ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე რაუნდი, რომელშიც ბენქსმა სამჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში. მორიგი წაქცევის შემდეგ, რეფერიმ მიზანშეწონილად არ ჩათვალა შეხვედრის გაგრძელება.


ფროჩი-მეკი

ჰოკეი

# ბეტმენი უკვე იდიოტია

ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დღეს გაიმართება, - იტყობინება ESPN. NHL-ის კომისრის თანაშემწემ **ბილ დეილიმ** ხაზი გაუსვა იმას, რომ შეხვედრის ინიციატორები ჰოკეისტთა წარმომადგენლები არიან. შეგახსენებთ, ბოლოს შეხვედრა დაპირისპირებულ მხარეებს შორის 11 ნოემბერს გაიმართა.

*„ჩვენ შაბათს დავუკავშირდით ერთმანეთს და ორშაბათს შეხვედრა გადავწყვიტეთ, - აღნიშნავს დეილი. - ეს პროფკავშირების ინიციატივაა, ასე რომ, მზად ვართ მათი ახალი წინადადების მოსასმენად".*

ამასობაში, სიტუაცია ყოველდღიურად იძაბება. ჰოკეისტები უკვე დაუშვებელი ხერხებით გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას. მაგალითად, „დეტროიტ რედ უინგზის" მცველმა **იან უაიტმა** ლიგის კომისარ **გერი ბეტმენს** „იდიოტი" უწოდა.

*„სიმართლე გითხრათ, პირადად მე მას იდიოტად მივიჩნევ. მას შემდეგ, რაც მან ეს პოსტი დაიკავა, დღემდე სასარგებლო არაფერი გაუკეთებია - მხოლოდ აფუჭებდა თამაშს. მოლაპარაკებების პროცესის განმავლობაში მას მუდმივად იმედგაცრუება მოაქვს. ვფიქრობ, ბოლო შეხვედრების დროს გარიგება შესაძლებელი იყო, მაგრამ მათ ჩვენს მხარეს ნაბიჯი არ გადმოდგეს. ეს მაცოფებს. არ იყო საჭირო ამდენი თამაშის გამოტოვება და სეზონისთვის ასეთი ზიანის მოტანა.*

*ყოველდღე ვუყურებ კალენდარს და ვსწავლობ მხარეების პოზიციებს და მიმაჩნია, რომ არაფერი არ იცვლება. სიტუაცია ტრაგიკულთან ახლოსაა", -* ამბობს უაიტი.

კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

# ორი ოვერტაიმი

### ტურის მოთამაშე

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა „ეფეს პილსენის" მცველი **საშა ვუიაჩიჩი**. „მილანის" წინააღმდეგ მატჩში, „ლეიკერსის" ყოფილმა მოთამაშემ 29 ქულა დააგროვა, რასაც სამი შედეგიანი პასი, თითო ჩაჭრა და დაფარება დაუმატა. სლოვენიელის ეფექტურობის რეიტინგმა 31 ქულა შეადგინა.

რეიტინგში მეორე ადგილი გაიყვეს **იაკა ბრაჟიჩმა** („ოლიმპია"), **დარიუს ლავრინოვიჩმა** („ჟალგირისი") და **მიკაელ ჟელაბალემ** („ცედევიტა").

### ტურის სიმბოლური

იაკა ბლაჟევიჩი („ოლიმპია") - 32:30: 30 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი;

მიკაელ ჟელაბალი („ცედევიტა") - 43:35: 23 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება;

საშა ვუიაჩიჩი („ეფესი") - 34:27: 29 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება;

კოსტას პაპანიკოლაუ („ოლიმიაკოსი") - 22:56: 13 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება;

დეიან მიუსლი („პარტიზანი") - 16:00: 14 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

**A ჯგუფი**

**ხიმკი-ფენერბაჰჩე 71:70**

17:18, 22:11, 17:22, 15:19

ხ: რივერსი (14), ფრიძონი (12), პლანიჩიჩი (11).

ფ: ანდერსენი (17), ერმიში (11+4 პასი), ბოგდანოვიჩი (11).

**ოლიმპია-კანტუ 81:79**

17:22, 25:17, 17:23, 22:17

ო: ბლაჟიჩი (30), პეიჯი (14), ბეინსი (13+10 მოხსნა), პრეპელიჩი (13).

კ: არადორი (20), მარკოიშვილი (15), ლეუნენი (11+8 მოხსნა+4 პასი).

**პანათინაიკოსი-რეალი 79:68**

12:16, 30:19, 23:17, 14:16

პ: ლასმე (15+8 მოხსნა), პანკო (14+8 მოხსნა), მაჩიულისი (12), უკიჩი (11).

რ: სუარესი (16).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 2 | 30 |
| 2. ხიმკი | 4 | 2 | -1 |
| 3. პანათინაიკოსი | 3 | 3 | 3 |
| 4. ფენერბაჰჩე | 3 | 3 | -6 |
| 5. ოლიმპია | 2 | 4 | -32 |
| 6. კანტუ | 1 | 4 | 6 |

**B ჯგუფი**

**პროკომი-შალონი 70:76**

20:13, 17:21, 17:17, 16:25

პ: ხრიცანიუკი (17+10 მოხსნა), კომარეკი (14+5 პასი), ბლესინგეიმი (12), რობინსონი (11).

შ: რაში (18), შილბი (15+7 მოხსნა+4 პასი), ევტიმოვი (13).

**მაკაბი-უნიკახა 62:64**

21:17, 16:21, 12:11, 13:15

მ: ჯეიმსი (14+9 მოხსნა), ჰიკმენი (13+5 ჩაჭრა), ტომასი (11).

უ: უილიამსი (12), დრაგიჩი (10).

**ალბა-მონტეპასკი 73:75**

17:21, 17:18, 18:21, 21:15

ა: ტომპსონი (20+8 მოხსნა), ავდალოვიჩი (13+4 პასი), იდბიპი (12), ჯედოვიჩი (10+10 მოხსნა).

მ: ბრაუნი (21+6 პასი), კანგური (13), ჰეკეტი (12).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 5 | 1 | 67 |
| 2. უნიკახა | 5 | 1 | 16 |
| 3. მონტეპასკი | 3 | 3 | 26 |
| 4. ალბა | 2 | 4 | -7 |
| 5. შალონი | 2 | 4 | -32 |
| 6. პროკომი | 1 | 5 | -70 |

**C ჯგუფი**

**ცედევიტა-ჟალგირისი 108:106 (2ო)**

19:28, 20:12, 24:20, 22:25, 15:15, 8:6

ც: ჟელაბალი (23+10 მოხსნა), რაიტი (20), სუპუტი (18+4 პასი), ილიევსკი (16).

ჟ: დ. ლავრინოვიჩი (24), პოპოვიჩი (19), კაუკენასი (15+7 პასი), იანკუნასი (15+6 მოხსნა), დარდენი (10+7 მოხსნა).

**ეფესი-მილანი 77:71**

20:18, 7:18, 27:16, 23:19

ე: ვუიაჩიჩი (29), გონლუმი (10+12 მოხსნა), ლუკასი (10+5 პასი).

მ: ლენგფორდი (15+6 პასი), ჰეირსტონი (14), მელი (10).

**კ. ლაბორალი-ოლიმპიაკოსი 72:89**

19:22, 21:25, 11:22, 21:20

კ-ლ: ოლესონი (13), სან ემეტერიო (12), ნოჩიონი (12), ერტელი (11+6 მოხსნა+6 პასი).

ო: ჰაინსი (18), სპანულისი (14+8 პასი), პაპანიკოლაუ (13+9 მოხსნა), პაუელი (12+2 დაფარება), პრინტეცისი (11+6 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ჟალგირისი | 5 | 1 | 68 |
| 2. ეფესი | 4 | 2 | 45 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | -8 |
| 4. მილანი | 2 | 4 | -17 |
| 5. ცედევიტა | 2 | 4 | -52 |
| 6. კ. ლაბორალი | 1 | 5 | -36 |

**D ჯგუფი**

**ლ. რიტასი-ცსკა 62:71**

16:14, 16:19, 14:20, 16:18

ლ-რ: რადოშევიჩი (15), სეიბუტისი (11).

ც: უიმსი (13), ტეოდოშიჩი (13), კაუნი (11).

**ბამბერგი-ბარსელონა 66:86**

22:23, 20:24, 11:17, 13:22

ბამ: ნახბარი (18+8 მოხსნა+4 პასი), გიპსონი (12), ჰაველი (11).

ბარ: მიკელი (17+7 მოხსნა), ლორბეკი (14), ნავარო (13).

**პარტიზანი-ბეშიქთაში 87:72**

24:19, 27:24, 19:22, 17:7

პ: მილოსავლევიჩი (16), მიუსლი (14+8 მოხსნა), ლუჩიჩი (14), ვეტერმანი (13+8 პასი), გორდონი (13+9 მოხსნა).

ბ: ჯერელსი (20), მარკოტა (16+6 მოხსნა), ვიდმერი (7+10 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 0 | 86 |
| 2. ცსკა | 5 | 1 | 31 |
| 3. ბეშიქთაში | 3 | 3 | -17 |
| 4. ბამბერგი | 2 | 4 | -45 |
| 5. პარტიზანი | 1 | 5 | -22 |
| 6. ლ. რიტასი | 1 | 5 | -33 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მექსიკა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ამერიკა-მორელია | 1:2 |
| ლეონი-კრუს ასული | 3:0 |
| ტოლუკა-გვადალახარა | 3:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-ბარსელონა | 0:2 |
| ოლმედო-დეპ. კუენკა | 0:2 |
| ინდეპენდიენტე-ლდუ კიტო | 1:0 |
| მანტა-ტექ. უნივერსიტარიო | 4:0 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| ტაკუარი-გუარანი | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-რუბიო ნუ | 2:2 |
| ნასიონალი-ოლიმპია | 4:1 |
| სპორტივო-სოლ დე ამერიკა | 1:0 |
| ლიბერტადი-დეპ. კარაპეგუა | 2:1 |
| პრეზიდენტი-სერო პორტენიო | 0:5 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| დანუბიო-რივერ პლეიტი | 0:2 |
| დეფენსორი-ბელა ვისტა | 4:0 |
| სერო ლარგო-სენტრალი | 0:0 |
| პროგრესო-პენიაროლი | 1:3 |
| სერო-ფენიქსი | 1:2 |
| ლივერპული-მონტევიდეო | 2:3 |
| რასინგი-ელ ტანკე | 0:1 |
| ნასიონალი-ხუვენტუდი | 3:1 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ნეფთჩი-სუმგაიტი | 8:1 |
| ბაქუ-ხაზარი | 2:0 |
| ყარაბახი-შიმურქი | 2:1 |
| ინტერი-თურანი | 2:0 |

**მინი-ფეხბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| იტალია-კოლუმბია | 3:0 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ბრაზილია | 2:2 დ.დ. 2:3 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბაიერნი | 76:68 |
| ბაიროიტი-მიტლდოიჩე | 84:69 |
| ტრირი-ჰესენი | 73:48 |
| ალბა-სკაილაინერსი | 91:65 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-რეტიმნო | 70:86 |
| დრამასი-პანათინაიკოსი | 60:63 |
| იკაროსი-პერისტერი | 66:55 |
| პანელეფსინიაკ.-ილისიაკოსი | 96:84 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ხუვენტუდი | 80:62 |
| კანარიასი-ვალენსია | 69:73 |
| მურსია-გრან კანარია | 97:99 (ო) |
| სარაგოსა-სევილია | 86:55 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 76:79 |
| კახა ლაბორალი-ობრადოირო | 68:77 |
| უნიკახა-ესტუდიანტესი | 74:85 |
| მანრესა-რეალი | 84:97 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| აველინო-ბიელა | 74:82 |
| ბრინდიზი-მონტეგრანარო | 97:78 |
| რეჯო ემილია-ვირტუსი | 77:68 |
| სკავოლინი-კანტუ | 66:76 |
| ვენეცია-რომა | 67:75 |
| ვარეზე-სასარი | 85:84 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-თოფაზი | 74:66 |
| ალიაგა-ოლინი | 85:80 (ო) |
| ბანვითი-ბეშიქთაში | 79:69 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შალონი-შოლე | 99:95 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| სავეჰოფი-ვეშპრემი | 22:32 |
| პარტიზანი-მონპელიე | 29:32 |
| უნივერსიტეტი-სილკებორგი | 23:35 |
| ჰამბურგი-ფლენსბურგი | 30:28 |
| მეტალურგი-კელცე | 21:23 |
| პიკ სეგედი-ბარსელონა | 28:33 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ავტომობილისტი | 3:0 |
| იუგრა-ტრაქტორი | 2:1 (ო) |
| ატლანტი-ლევ პოპრადი | 2:1 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 3:2 |
| სევერსტალი-სკა | 4:3 (ბ) |
| სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2:1 |
| ტორპედო-სლოვანი | 3:2 (ბ) |
| დინამო (მნ)-დინამო (მ) | 2:3 (ო) |
| დონბასი-აკ ბარსი | 3:2 (ო) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ზალცბურგი | 2:0 |
| ვილახი-ალბა | 5:4 (ბ) |
| გრაცი-ზნოიმო | 3:0 |
| დორნბირნი-ინსბრუკი | 9:3 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 1:0 |
| ოლიმპია-ლინცი | 2:3 (ბ) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| იზერლონი-დიუსელდორფი | 3:2 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 2:1 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 5:3 |
| მიუნხენი-აუგსბურგი | 5:0 |
| ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 3:4 (ო) |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 2:1 |
| კიოლნი-აისბარენი | 0:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტრიერნენი | 7:0 |
| რუსენბორგი-ლილეჰამერი | 1:7 |
| ტონსბერგი-ლორენსკოგი | 5:8 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-პიესტანი | 3:1 |
| ზვოლენი-პოპრადი | 7:3 |
| მარტინი-ბისტრიცა | 7:1 |
| ნიტრა-ჟილინა | 4:3 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 4:5 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 3:4 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1:2 |
| სპარტა-სლავია | 2:4 |
| კლადნო-ზლინი | 1:4 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 3:1 |
| ხომუტოვი-პლზენი | 2:3 (ბ) |

TV პროგრამა

**19 ნოემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. ფლუმინენსე-კრუზეირო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ლევერკუზენი-შალკე.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. აიაქსი-ვენლო.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. არსენალი-ტოტენჰემი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ვესტ ჰემი-სტოკი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-ეინდჰოვენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12;15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ინდიანა.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ფორტუნა.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ჰამბურგი-ფლენსბურგი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი.
22:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
00:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბრიუგე-ნიუკასლი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 13 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 21 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 14 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 8 | 20 | (მზე) |
| გორი | 5 | 13 | (მზე) |
| თელავი | 6 | 12 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 6 | 10 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 13 | (მზე) |
| ბორჯომი | 0 | 16 | (მზე) |
| მესტია | -3 | 14 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1268 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6706 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6491 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2670 |

ჩოგბურთი




# როჯერმა წელი დაგეგმა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** 2013 წლისთვის საკუთარი გამოსვლის განრიგი გამოაქვეყნა. უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიელის კალენდარში არ არის ბაზელის საშინაო ტურნირი. როგორც წინა ნომერში ვწერდით, როჯერმა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ორგანიზატორებს დაახლოებით 2 მილიონი დოლარი მოსთხოვა.

როჯერ ფედერერმა 2013 წელს შემდეგ ტურნირებში დაგეგმა მონაწილეობა:

1. **ავსტრალიის ღია**
2. **როტერდამი**
3. **დუბაი**
4. **ინდიან უელსი**
5. **მადრიდი**
6. **რომი**
7. **როლან გაროსი**
8. **ჰალე**
9. **უიმბლდონი**
10. **მონრეალი**
11. **ცინცინატი**
12. **აშშ-ის ღია**
13. **შანხაი**
14. **პარიზი**

გარდა ამისა, ფედერერი იმედოვნებს, რომ სეზონის შედეგების მიხედვით წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

## დევისის თასი. ფინალი

| ჩეხეთი–ესპანეთი | |
|---|---|
| 0:1 რადეკ შტეპანეკი-დავიდ ფერერი | 3:6, 4:6, 4:6 |
| 1:1 ტომაშ ბერდიხი-ნიკოლას ალმაგრო | 6:3, 3:6, 6:3, 6:7(5), 6:3 |
| 2:1 ბერდიხი/შტეპანეკი-გრანოლერსი-ფ. ლოპესი | 3:6, 7:5, 7:5, 6:3 |
| 2:2 ტომაშ ბერდიხი-დავიდ ფერერი | 2:6, 3:6, 5:7 |
| 3:2 რადეკ შტეპანეკი-ნიკოლას ალმაგრო | 6:4, 7:6(0), 3:6, 6:3 |

კალათბურთი

# დაფასებული ჯაბარი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ კლუბის ლეგენდარული ცენტრის **ქარიმ აბდულ-ჯაბარის** დაფასება გადაწყვიტა და „სტეიპლს-ცენტრის" არენის წინ კალათბურთელის ქანდაკება გახსნა. საზეიმო ცერემონია გუშინ გაიმართა.

თავისი 20-წლიანი კარიერის განმავლობაში, ლეგენდარულმა ცენტრმა ექვსი საჩემპიონო ბეჭედი მოიპოვა, მათ შორის ხუთი სწორედ კალიფორნიული კლუბის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ჯაბარი ექვსჯერ იყო აღიარებული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. 1995 წელს, ქარიმი დიდების დარბაზში შეიყვანეს.



ფორმულა 1. აშშ-ის გრანპრი

# ბრაზილიამდე უნდა [illegible]

## ფეტელმა მხოლოდ სამი ქულით გაზარდა ალონსოსთან უპირატესობა და ტიტულის განაღდება სან პაულუს რბოლისთვის გადადო

მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპს ამერიკის ქალაქ ოსტინის ახალი ტრასა მასპინძლობდა. **სებასტიან ფეტელი** ტეხასში ჩემპიონატის ლიდერის რანგში ჩავიდა - ის ათი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარ **ფერნანდო ალონსოს**. შაბათს, სწორედ გერმანელმა მოიგო პოული, ესპანელი კი მხოლოდ მეცხრე იყო კვალიფიკაციაში - ფერნანდომ თავის თანაგუნდელზე უარესი დრო აჩვენა.

თუმცა ალონსომ სტარტამდე მოიგო ორი პოზიცია - თავდაპირველად, **გროსჟანი** დაჯარიმდა გადაცემათა კოლოფის გამოცვლისთვის, შემდეგ კი „ფერარიში" გადაწყვიტეს იმავეს გაკეთება **მასას** მანქანაზე - მათ ფელიპეს პოზიცია ალონსოსთვის შესწირეს, რომელმაც, საბოლოოდ, მეშვიდე პოზიციიდან აიღო სტარტი.

სტარტზე მხოლოდ **ბატონმა და როსბერგმა** აირჩიეს ხისტი საბურავები, დანარჩენებმა საშუალედო რეზინით დაიწყეს რბოლა.

სასტარტო ნიშნის შემდეგ ფეტელმა შეინარჩუნა პოულის უპირატესობა, **უებერმა ჰემილტონს** გაუსწრო, ალონსო კი მეოთხე პოზიციაზე გადავიდა - პირველი ოთხეული მალე დაშორდა კონკურენტებს. **ჰიულკენბერგმა**, გროსჟანმა, **რაიკონენმა** და **დი რესტამ შუმახერს** გაუსწრეს. მეოთხე წრეზე ჰემილტონმა უებერის გასწრებით დაკარგული პოზიცია დაიბრუნა.

ხუთი წრის შემდეგ პირველი ათეული ასე გამოიყურებოდა: ფეტელი-ჰემილტონი-უებერი-ალონსო-ჰიულკენბერგი-გროსჟანი-რაიკონენი-დი რესტა-შუმახერი-მასა.

მეშვიდე წრეზე გროსჟანი მე-19 მოსახვევში მოსრიალდა. ფრანგმა მაშინვე დაკარგა რამდენიმე პოზიცია, მოგვიანებით კი კიდევ უფრო დაქვეითდა საბურავის მწყობრიდან გამოსვლის გამო და პელოტონის ბოლოში მოექცა. ფართო ტრასა გასწრების საშუალებას იძლეოდა - პილოტები აქტიურად იბრძოდნენ პოზიციებისთვის.

მე-14 წრეზე კობაიაშიმ პიტსტოპი ჩაატარა, მე-15 წრეზე შუმახერმა შეცვალა საბურავები, **ვერნმა** კი მანქანა ტრასის მიღმა გააჩერა საბურავის მწყობრიდან გამოსვლის გამო. მე-17 წრეზე უებერი გამოეთიშა ბრძოლას გენერატორის დაზიანების მიზეზით.

ფეტელმა და ჰემილტონმა საუკეთესო წრეები გაცვალეს, ლუისი თანდათან ამცირებდა ლიდერთან ჩამორჩენას და მალე შესატევ მანძილზე მიუახლოვდა ფეტელს. თუმცა ბრიტანელის მანქანაზე საბურავმა ეფექტურობა დაკარგა და სებასტიანმა გაქცევა მოახერხა.

ოცი წრის შემდეგ პირველი ათეული ასე გამოიყურებოდა: ფეტელი-ჰემილტონი-ალონსო-რაიკონენი-მასა-დი რესტა-**პერესი-სენა-ბატონი-რიკარდო**.

მე-20 წრეზე ჰემილტონმა და ალონსომ შეცვალეს საბურავები. „ფერარის" ბოქსებში ფერნანდოს მომსახურებისას გარკვეული პრობლემები შეიქმნა. ერთი წრით გვიან შევიდა ბოქსებში ფეტელი და შეინარჩუნა ლიდერობა.

პირველი ათეული 37 წრის შემდეგ: ფეტელი-ჰემილტონი-ალონსო-რაიკონენი-მასა-გროსჟანი-ბატონი-ჰიულკენბერგი-სენა-**მალდონადო**.

ამასობაში, ჰემილტონი ისევ მიუახლოვდა ფეტელს - ლიდერები ფანტასტიკურ ტემპში გადიოდნენ წრეებს.

39-ე წრეზე ბატონმა გაუსწრო გროსჟანს მეექვსე ადგილისთვის ბრძოლაში, მასამ კი მეოთხე ადგილი ჩამოართვა რაიკონენს. 42-ე წრეზე კი ლიდერი შეიცვალა - ჰემილტონმა DRS-ის ზონაში გაასწრო ფეტელს.

პირველი ათეული 47 წრის შემდეგ: ჰემილტონი-ფეტელი-ალონსო-მასა-ბატონი-რაიკონენი-გროსჟანი -ჰიულკენბერგი-სენა-მალდონადო.

52-ე წრეზე მალდონადომ გაუსწრო სენას - მოხდა კონტრაქტი, მაგრამ პილოტებმა შეძლეს ბრძოლის გაგრძელება.

ლუის ჰემილტონმა ზედიზედ მეორედ მოიგო აშშ-ის გრანპრი - ხუთი წლის წინ, მან ინდიანაპოლისში გაიმარჯვა. ბრიტანელისთვის ეს იყო სეზონში მეოთხე და კარიერაში 21-ე მოგება. ტიტულის პრეტენდენტები - ფეტელი და ალონსო პოდიუმზე ავიდნენ და მათ შორის ბრძოლის ბედი ერთი კვირის შემდეგ, ბრაზილიაში გადაწყდება. გუშინდელი რბოლის შემდეგ, ფეტელის უპირატესობა 13 ქულამდე გაიზარდა.

რაც შეეხება კონსტრუქტორთა თასს, ზედიზედ მესამე გუნდური პირველობა „რედ ბულმა" მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| აშშ-ის გრან-პრი. XIX ეტაპი | |
|---|---|
| **ოსტინი (56 წრე, 308.896 კმ)** | |
| 1(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:35.55,269 (1 პიტსტოპი) |
| 2(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +0,600 (1) |
| 3(7). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +39,200 (1) |
| 4(11). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +46,000 (1) |
| 5(12). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +56,400 (1) |
| 6(4). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +1.04,400 (1) |
| 7(8). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +1.10,300 (1) |
| 8(6). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდიან, გერმანია) | +1.13,700 (1) |
| 9(9). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +1.14,500 (2) |
| 10(10). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | +1.15,100 (1) |
| 11(15). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +1.24,300 (1) |
| 12(18). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +1.24,800 (1) |
| 13(17). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.25,500 (1) |
| 14(16). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე (1) |
| 15(13). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 16(5). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 17(21). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | 1 წრე (1) |
| 18(22). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | 1 წრე (1) |
| 19(19). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | 1 წრე (1) |
| 20(20). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | 2 წრე (1) |
| 21(23). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 2 წრე (1) |
| 22(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 2 წრე (1) |
| 23(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 39 წრე |
| 24(14). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 41 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 273 (5 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 260 (3); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 206 (1); 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 190 (4); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 167 (2); 6. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 163 (2); 7. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 107; 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 96; 9. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 93 (1); 10. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 66; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 58; 12. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 53; 13. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 46; 14. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 45 (1); 15. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 43; 16. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 31; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 12; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 10.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 440; 2. **ფერარი** - 367; 3. **მაკლარენი** - 353; 4. **ლოტუსი** - 302; 5. **მერსედესი** - 136; 6. **ზაუბერი** - 124; 7. **ფორს ინდია** - 99; 8. **უილიამსი** - 76; 9. **ტორო როსო** - 22.

## ამბები

კალათბურთი

### ლეიკერსი სმიტს უმიზნებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელები ბოლო თვეების განმავლობაში განიხილავდნენ „ატლანტას" ფორვარდ **ჯოშ სმიტის** ტრეიდის მეშვეობით გადაბირების ვარიანტებს.

ვარაუდობენ, რომ კალიფორნიელები ამ გაცვლაში ფორვარდ **პაუ გასოლის** ჩართვას აპირებენ, თუმცა წყაროს ინფორმაციით, „ჰოქსი" არ არის დაინტერესებული ამგვარი ტრეიდით.

### ბინუმი ბოულინგმა დაღუპა

„ფილადელფია სიქსერზის" ცენტრმა **ენდრიუ ბინუმმა** ბოულინგის თამაშის დროს მარცხენა მუხლი დაიზიანა. კალათბურთელი რეაბილიტაციის კურსს გადიოდა მარჯვენა მუხლის ტრავმის შემდეგ, მაგრამ თავი ვერ შეიკავა საყვარელი საქმიანობისგან, რაც არ არის აკრძალული NBA-ის მოთამაშეთა სტანდარტული კონტრაქტების მიხედვით. რამდენიმე დღის წინ, ბინუმმა ახალი ტრავმის შესახებ ილაპარაკა, მაგრამ დაზიანების მიზეზები დამალა. შეგახსენებთ, რომ ექიმების წინასწარი ვარაუდით, ფილადელფიელი იანვრამდე ვერ დაბრუნდება მოედანზე.

### ვაშინგტონმა პარგო მოიშორა

„ვაშინგტონ უიზარდსის" ხელმძღვანელობამ განწყვიტა კონტრაქტი 33 წლის მცველ **ჯანერო პარგოსთან**. მიმდინარე სეზონში პარგომ შვიდი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 3.0 ქულა და 2.0 პასი დააგროვა.

გათავისუფლებულ ადგილზე დედაქალაქურმა კლუბმა 27 წლის **შონ ლივინგსტონი** აიყვანა. გასულ სეზონში, ეს მოთამაშე „მილუოკიში" გამოდიოდა და საშუალოდ 5.5 ქულითა და 2.1 პასით ეხმარებოდა „ირმებს".

### სპურსმა ლეონარდი დაკარგა

„სან ანტონიოს" ფორვარდი **კავაი ლეონარდი** 10-დან 14 დღემდე გამოტოვებს. სამედიცინო შემოწმებამ მარცხენა მუხლში დაზიანება აღმოაჩინა.

ასე რომ, შარშანდელი დებიუტანტი ვერ გაჰყვება თავის გუნდს ექვსმატჩიან გასვლით ტურნეში, რომელიც 29 ნოემბერს დასრულდება. ამ სეზონში ლეონარდი სტატისტიკა 10.6 ქულასა და 5.6 მოხსნას უდრის.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608